

ნანა პათიაშვილი

**კვ. წ. III—I სს. კოლხეთის ქალაქების  
ეკონომიკური ისტორიიდან  
(კერამიკული მასალის მიხედვით)**

ნაშრომში განხილულია ელინისტური ხანის (ძვ. წ. III—I სს.) კოლხეთის ქალაქების ეკონომიური ისტორიის საკითხები. იგი დაფუძნებულია ძველი კოლხეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო სახელოსნო ცენტრებიდან — ვანიდან, ოჩამჩირიდან, სოხუმიდან მომდინარე ადგილობრივი და იმპორტული კერამიკის შესწავლის შედეგებზე. აღნიშნული მასალის კლასიფიკაციის, დათარიღების და საწარმოო ცენტრების განსაზღვრის საფუძველზე მოცემულია აღნიშნული ხანის ეკონომიკის ძირითადი დარგების ვაჭრობისა და კერამიკული წარმოების განვითარების პერიოდიზაცია, განსაზღვრულია ცალკეული პერიოდების თავისებურებები საერთაშორისო მოვლენების ფონზე, დახასიათებულია განვითარების საერთო ტენდენცია.

ნაშრომი საყურადღებოა როგორც ძველი კოლხეთის, ისე ელინიზმის ისტორიის კვლევის თვალსაზრისითაც.

## შესავალი

ძვ. წ. III—I სს., ელინიზმის ხანას კოლხეთის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ ეპოქის მნიშვნელობა განაპირობებს იმ საერთაშორისო ხასიათის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა მოვლენებმა, რომლებიც თან დაერთვნენ მის დაწყებას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აქემენიდური ირანის განადგურება და კიროს-ფაზისის მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო გზის ამოქმედება<sup>1</sup>. ამ უკანასკნელს ქვეყნისათვის ეკონომიურის გარდა კულტურული მნიშვნელობაც ჰქონია, ვინაიდან მისი ერთი ნაწილის კოლხეთის მიწა-წყალზე არსებობამ ხელი შეუწყო ამ მხარის ელინისტურ სამყაროსთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებას და, გარკვეული თვალსაზრისით, მის შემადგენელ ნაწილად გადაქცევას<sup>2</sup>.

მომხდარი გარდატეხის გამოძახილი უნდა იყოს კოლხური სამონეტო სისტემის შეცვლა. ამ დროს წინამორბედ ხანაში გავრცელებული კოლხური თეთრის ნაცვლად, რომელიც მხოლოდ შიდა ბაზრისათვის იყო განკუთვნილი, როგორც ცნობილია, ანტიკური მონეტების ადგილობრივი მინაბადების მოჭრა დაიწყო<sup>3</sup>. ეს გარემოება სამეფო ხელისუფლების გაძლიერების უტყუარ საბუთად გვევლინე-

---

<sup>1</sup> ამ გზის შესახებ იხ. მაქ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, ქ. ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 100 და შემდ.; ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მომბე“, XIX — В, 1957, გვ. 377 და შემდ.; Г. К. Г о з а л и ш - в и л и, О древнем торговом пути в Закавказье, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 1956, გვ. 153 და შემდ.

<sup>2</sup> ამ გზის მნიშვნელობის შესახებ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც. იხ. კ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, აზერბაიჯანის ისტორიის მოკლე მრმოხილვა, ტფ., 1936, В. Г у р к о - К р я ж и н, Прошлое и настоящее советской Армении в связи с мировой торговлей древн. времен (V в. до н. э. — XV в. н. э.), Ереван, 1930 ეს მოსაზრება დამაჯერებლადაა გაკრიტიკებული მ. ბერძენიშვილის დასახ. წიგნში. იხ. გვ. 100 და შემდ.

<sup>3</sup> Д. К а п а н а д з е, О древнейших золотых монетах Грузии, ВДИ, 1949, 3, с. 156, 159.

ზა (ოქროს მონეტის მოჭრის უფლება ხომ მხოლოდ ამ უკანასკნელის რეგალიას წარმოადგენდა)<sup>4</sup>; ამასთანავე იგი საფუძველს გვაძლევს მთელი ქვეყანა და არა მხოლოდ სანაპირო ზოლი ვივარაუდოთ საერთაშორისო ვაჭრობის სფეროდ. თავისთავად კი ეს მოვლენა ქვეყნის შემდგომი ეკონომიური წინსვლისა და საერთაშორისო არენაზე მისი გარკვეული მნიშვნელობის მაჩვენებელია.

ზემოთქმული ძვ. წ. III—I სს. კოლხეთის ეკონომიკის შესწავლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ქვეყნის შინაგანი განვითარების, ისე საერთოდ ელინიზმის თავისებურებების კვლევის თვალსაზრისითაც.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის შესწავლას არცთუ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი წინ წამოწევა ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. პირველი ცდები აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელთანაა დაკავშირებული. მის ნაშრომებში საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული შრომის საზოგადოებრივი დანაწილების და მის ნიადაგზე ადგილობრივი ქალაქების აღმოცენების, ტრანსპორტის, ფულადი ურთიერთობებისა და ადგილობრივი მონეტის არსებობის, აგრეთვე ელინისტური ხანის კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ<sup>5</sup>. აღსანიშნავია, რომ მის მიერ გამოყოფილი ორი პერიოდი (ძვ. წ. IV—II სს. და ძვ. წ. II ს. მომდევნო ხანა) საკმაოდ სრულად ასახავს აღნიშნული ხანის სიტუაციას<sup>6</sup>.

საინტერესო მოსაზრებებს ვხვდებით აგრეთვე მაქსიმე ბერძნიშვილის გამოკვლევაში — ქ. ფაზისის ისტორიისათვის. აღნიშნულ გამოკვლევაში ავტორს წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე განხილული აქვს ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქების, გზების, არხების, ფულადი მიმოქცევის საკითხები, საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული გარესამყაროსთან ურთიერთობის შესახებ, ენება კოლხეთის ბუნებრივ სიმდიდრეს (ხე-ტყე, ზოხობი, სურინჯი, სელი, კანაფი), როგორც ექსპორტის საგანს. დაწვრილებით ცნობებს იძლევა სელის ტილოს წარმოების ტექნოლოგიის შესახებ<sup>7</sup>.

<sup>4</sup> Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 31.

<sup>5</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 136.

<sup>6</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 131.

<sup>7</sup> მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, ქ. ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 34—46, 53—60 (ნაშრომი შესრულებული იყო 1942 წ. წიგნად მხოლოდ 1969 წ. გამოიცა).



ელინისტური ხანის კოლხეთის ეკონომიკის ცალკეული დარგების, კერძოდ ვაჭრობისა და ხელოსნობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებებს ვხვდებით აგრეთვე ბ. კუფტინის ნაშრომებში. მას იმპორტული კერამიკისა და სამარხთა ზოგიერთი ტიპის მიხედვით აღნიშნულ ხანაში ბერძნულ სამყაროსთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობის არსებობა აქვს ნაგარაუდევრი; ხოლო ადგილობრივი ნაწარმის შესწავლის საფუძველზე გამოთქმული აქვს მოსაზრება ხელოსნური წარმოების (ოქრომკვედლობა, მეთუნეობა...) განვითარების მაღალი დონის შესახებ, დაშვებული აქვს კრამიტისა და ამფორების კოლხეთში წარმოების შესაძლებლობა<sup>8</sup>.

მაგრამ კოლხეთის ეკონომიური ისტორიის ფართო მეცნიერულ შესწავლას ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ეს გარემოება განაპირობა არქეოლოგიური გათხრების გაფართოებამ და ფაქტიური მასალის დაგროვებამ.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მ. ინაძის გამოკვლევები, გამოქვეყნებული 1962 წ. ცალკე სტატიის<sup>9</sup>, ხოლო 1968 წ. ვრცელი მონოგრაფიის სახით<sup>10</sup>. ამ ნაშრომებში საგანგებოდაა შესწავლილი ელინისტური ხანის კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობები. ანტიკური წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მონაცემების საფუძველზე ავტორს ამ ურთიერთობათა მანამდე არნახული აღმავლობა აქვს ნაგარაუდევრი. მისი აზრით, ამ დროს გარდა მესოპოტამიისა და ეგვიპტისა, კოლხეთს ურთიერთობა აქვს დამყარებული შუა აზიასა და ინდოეთთან; აღნიშნულ ხანაში ვაჭრობის გაფართოება აქვს ნაგულისხმევი აგრეთვე ქვეყნის შიდა რაიონებშიც, სავაჭრო ურთიერთობათა შესუსტება მხოლოდ გვიანელინისტური ხანის მიწურულისათვისაა დაშვებული.

მ. ინაძის 1968 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ელინისტური ხანის ეკონომიკის სხვა დარგების, კერძოდ სოფლის მეურნეობისა (მარცვლეული და სელის კულტურები, მევენახეობა) და ხელოსნური წარმოების (კერამიკული, ლითონდამამუშავებელი, გემთსამშენებლო და სხვ.)

<sup>8</sup> Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949, с. 7 და შემდ.; მ ი ს ი ე ვ, Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, с. 5 და შემდ.

<sup>9</sup> მ. ინაძე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 106—119.

<sup>10</sup> М. П. И н а д з е, Причерноморские города Колхиды, Тбилиси, 1968, с. 197—227.

დახასიათებასაც. ლაპარაკია აგრეთვე საქალაქო ცხოვრების გაფართოებაზე, ახალ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების (აფსაროსი, პიტიუსი, ეშერი) აღმოცენებაზე<sup>11</sup>.

აღსანიშნავია აგრეთვე ა. კახიძის ნაშრომები, მიძღვნილი ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური ნამოსახლარის მონაპოვრისადმი, რომლებშიც განხილულია ამ ნაქალაქარის ვაჭრობისა და ხელოსნობის საკითხები ელინისტურ ხანაში. ამ ნაშრომებში აღნიშნულია გაცხოველებული ურთიერთობის არსებობა ბერძნული სამყაროს მნიშვნელოვან ცენტრებთან, კერძოდ სინოპესთან, როდოსთან, მცირე აზიის ქალაქებთან და სხვ. წარმოდგენილი მოსაზრებები არგუმენტირებულია კერამიკული მასალის, უმთავრესად იმპორტული ამფორების შესწავლის მონაცემებით. საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ხელოსნობის, მათ შორის მეთუნეობის განვითარების დონის შესახებ. ამ მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოა მოსაზრება ე. წ. წაბლისფერკეციანი ამფორების ერთი ნაწილის ქობულეთ-ფიჭვნარის მიდამოებში არსებულ კერამიკულ სახელოსნოსთან დაკავშირების შესახებ<sup>12</sup>.

ელინისტური ხანის სავაჭრო ურთიერთობები მონოგრაფიულადაა შესწავლილი ოთ. ლორთქიფანიძის წიგნში — ანტიკური სამყარო და კოლხეთი. ამ გამოკვლევაში აღნუსხულია კოლხეთის ტერიტორიაზე იმპორტული კერამიკის აღმოჩენის ყველა ფაქტი, დადგენილია ბერძნული სამყაროს ის ძირითადი ცენტრები (როდოსი, სინოპე, პერგამონი), რომლებსაც ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ კოლხეთთან, შესწავლილია აგრეთვე ზღვისპირა ქალაქების შიდა რაიონებთან დამაკავშირებელი გზების საკითხი. საინტერესო დაკვირვებებია წარმოდგენილი ადგილობრივი კერამიკის შესწავლის შედეგად. ამ მხრივ აღსანიშნავია მოსაზრება წაბლისფერკეციანი ამფორების კოლხური წარმომავლობის შესახებ, აგრეთვე ვარაუდები წარმოებაში ელინისტური ტრადიციების დანერგვის შესახებ და სხვა<sup>13</sup>.

<sup>11</sup> М. П. И н а д з е. დასახ. ნაშრ., გვ. 188—196.

<sup>12</sup> ა. კ ა ხ ი ძ ე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების ისტორიისათვის, კრ. „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, IV, 1965; მ ი ს ი ვ ე, К истории городов Восточного причерноморья в античную эпоху (Кобулет-Пичвнари). Автореферат дисс. на соиск. учен. степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1965.

<sup>13</sup> ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 117 და შემდ.

ელინისტური ხანის კოლხეთის ეკონომიკის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ა. ბოლტუნოვას. ავტორის ვარაუდით სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველება კოლხეთში ადრე-ელინისტურ ხანაში დასტურდება. ძვ. წ. II ს. კი ელინისტური სახელმწიფოების კრიზისისა და მცირე აზიაში ამტყდარი ომების გამო შესუსტება შეინიშნება. ხოლო ეკონომიური კავშირების ხელახალი გამოცოცხლება მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის დაპყრობის შემდგომ ხანაშია დაშვებული<sup>14</sup>.

გვიანელინისტური ხანის, კერძოდ, ძვ. წ. II—I სს. კოლხეთის ეკონომიკის რიგი დარგები აქვს განხილული გ. ლორთქიფანიძეს თავის გამოკვლევაში, სადაც ახალი არგუმენტებითა აქვს დადასტურებული მოსაზრება სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობის განვითარების მაღალი დონის შესახებ, საინტერესო მასალები აქვს მოტანილი მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის არსებობის ვარაუდის მტკიცებისათვის, შესწავლილი აქვს ამ ხანის კოლხეთის საწონებისა და ფულადი მიმოქცევის საკითხები<sup>15</sup>.

ელინისტური ხანის კოლხეთის ეკონომიური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული კრებული. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (I ტომი), რომელშიც არსებული სპეციალური ლიტერატურის შეჭერების შედეგად მოცემულია განზოგადებული მოსაზრებების წარმოდგენის ცდა.

აღნიშნული ნარკვევების XI თავში, აკად. გ. მელიქიშვილს ელინისტური ხანის კოლხეთის სოციალური და პოლიტიკური ისტორიის საკითხებთან ერთად განხილული აქვს სავაჭრო ურთიერთობათა საკითხიც.

გამოკვლევაში ცალ-ცალკეა განხილული კოლხეთის ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთი ნაწილები, ე. ი. ისევე როგორც 1959 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში — «К истории древней Грузии», აქაც, კოლხეთი წარმოდგენილია დანაწევრებულ ერთეულად როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით. ამდენად, როგორც ჩანს, ამჯერადაც გატარებულია ადრე გამოთქმუ-

<sup>14</sup> А. И. Болтунова, Процесс исторического развития стран Закавказья в античную эпоху, Studien zur geschichte und philosophie des alternum, Budapest, 1968, გვ. 270—280; მისივე, Античные города Грузии и Армении, Античный город, М., 1968, с. 153—170.

<sup>15</sup> Г. А. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды, Тбилиси, 1970, с. 43—112.

ლი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც განვითარებული კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ ცენტრალურ კოლხეთშია დაშვებული. ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებში კი — გვაროვნული წყობილება და ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური დაქუცმაცებულობაა ნავარაუდები. აქედან გამომდინარე, განსხვავებული ვითარებაა წარმოდგენილი ეკონომიური განვითარების თვალსაზრისითაც. აღნიშნულ თავში საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის საკითხი წარმოდგენილია ცენტრალური კოლხეთისა და სამხრეთ რაიონების ზღვისპირა ნაწილთან კავშირში<sup>16</sup>.

ა. აფაქიძის მიერ ამავე ნარკვევების XV თავში განხილულია ანტიკური ხანის საქართველოს ხელოსნობის ცალკეული დარგები, კერძოდ მეთუნეობა, ოქრომჭედლობა, საფეიქრო წარმოება. ნაშრომში ხაზგასმულია მოსაზრება ხელოსნობის აღნიშნული დარგების განვითარების მაღალი დონის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკვლევრის მიერ წარმოდგენილი მოსაზრება კერამიკულა წარმოების შესახებ. იგი ხელოსნობის აღნიშნული დარგის განვითარებაში ორ ტენდენციას შენიშნავს. კერძოდ, შინსახმარი ჭურჭლის მხატვრული ღირსებების დაქვეითებას, რაც ლითონის ჭურჭელზე მოთხოვნილების გაზრდასთანაა დაკავშირებული და სამშენებლო და სამეურნეო კერამიკის წარმოების მასშტაბების გაფართოებას. ეს უკანასკნელი გარემოება ახსნილი აქვს საქალაქო ცხოვრებისა და სასაქონლო მეურნეობის გაზრდით<sup>17</sup>.

ამგვარად, დღეისათვის უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ელინისტური ხანის კოლხეთის ეკონომიური ისტორიის კვლევის ხაზით. მეტ-ნაკლებად შესწავლილია აღნიშნული ხანის ეკონომიკის ძირითადი დარგები: სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, წარმოება, ვაჭრობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორცაა ვაჭრობა და ხელოსნობა. მაინც მკირედ შესწავლილ საკითხებად უნდა ჩაითვალოს. როგორც დავინახეთ, ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებები ეხება მთელ ელინისტურ ხანას და, ამდენად, წარმოდგენას არ იძლევა ამ ეპოქის ცალკეული პერიოდებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე. ამ თავისებურებათა გარკვევა კი საშუალებას მოგვცემდა გამოგვეყო ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების ეტაპები, განგვესა-

<sup>16</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 468—483, შტრ. გ. მელიქიშვილი, *История древней Грузии*, с. 300 და შემდ.

<sup>17</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 746 და შემდ.

ზღვრა მისი მასშტაბები და ხასიათი, წარმოგვედგინა ქვეყნის საერთო მდგომარეობა განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო არენაზე.

აღნიშნული საკითხების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია კერამიკის შესწავლას. ეს გარემოება გაპირობებულია კერამიკის განსაკუთრებული როლით. როგორც ცნობილია, ანტიკურ ხანაში, მცირე გამოჩაყლისის გარდა, ყოველგვარი ქურქელი თიხისაგან მზადდებოდა; თიხის ნაწარმს იყენებდნენ კულტის მსახურებაში, მშენებლობაში, მეურნეობაში, წარმოებაში. შემთხვევითი არ არის, რომ ანტიკურობის გამოჩენილი მკვლევარი კ. ბიუხერი ამ ხანას თიხის ხანას უწოდებს<sup>18</sup>.

ამიტომაც რომ არქეოლოგიურ მონაპოვარში კერამიკას რაოდენობრივად ყოველთვის პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ მის მნიშვნელობას მხოლოდ რაოდენობა როდის განსაზღვრავს — გარდა იმისა, რომ არქეოლოგიური კვლევისას ზოგჯერ ერთადერთ დამატარებელ საშუალებად გვევლინება, იგი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის საშუალებას იძლევა, როგორცაა ქვეყნის შინაგანი განვითარების დონე, გარესამყაროსთან ურთიერთობა-დამოკიდებულების ხასიათი, ტექნიკური პროგრესი და სხვ. ამასთანავე, გარკვეული თვალსაზრისით, მისი მომხმარებელი ხალხის კულტურისა და გემოვნების ამსახველიცაა. ამდენად, ელინისტური ხანის კოლხეთის კერამიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული ხანის ეკონომიური ისტორიის კვლევის საქმეში. მით უფრო, რომ ეპიგრაფიკული ძეგლების უქონლობისა და წერილობითი წყაროების სიმცირის გამო იგი ერთ-ერთ პირველწყაროდ გვევლინება.

პირველი ცნობები კოლხეთში აღმოჩენილი ელინისტური ხანის კერამიკის შესახებ დამოწმებული აქვს ვ. სიზოვს ქ. სოხუმის მიდამოებში წარმოებული გათხრების ანგარიშში<sup>19</sup>. აღნიშნული მასალის შესახებ ცნობების გამრავლება კი მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებს, კოლხეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების<sup>20</sup> გაფართოების

<sup>18</sup> К. Б ю х е р, Очерки экономической истории Греции, М., 1924, с. 101—102.

<sup>19</sup> В. В. С и з о в, Восточное побережье Черного моря, МАК, II, 1889.

<sup>20</sup> ნაშრომში წარმოვადგინეთ ელანისტური ხანის კერამიკის მხოლოდ აღმოჩენის ფაქტები და შესწავლის მდგომარეობა არქეოლოგიური კვლევა-ძიების ზოგადი მომხილვის გარეშე, ვინაიდან ამგვარი საშუალო უკვე ჩატარებულია და მისი განმეორება საჭიროდ არ ჩავთვალეთ. იხ. გ. გო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხ-

ხანას უკავშირდება. ამ პერიოდში გამოვლენილი და შესწავლილი ძეგლებიდან აღსანიშნავია ეშერისა (1934—1935 წწ.) და დაბლაგომის (1936 წ) სამაროვნები და ოჩამჩირის (1935—1936 წწ.) ნამოსახლარი.

ოჩამჩირის ნამოსახლარის ანტიკური ხანის კერამიკული მასალის შესწავლის შედეგები წარმოდგენილია ნ. ივაშჩენკოს მოკლე ანგარიშში. ამ ნაშრომში კერამიკა გამოყენებულია ფენების დასათარიღებლად<sup>21</sup>. ამავე ნამოსახლარის კერამიკის ერთი ნაწილი გამოაქვეყნა ბ. კუფტინმა. ბ. კუფტინის მიერვეა შესწავლილი ეშერისა და დაბლაგომის მასალაც. აღნიშნულ ნაშრომებში ავტორს განხილული აქვს ამ ძეგლებზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის კერამიკის ცალკეული ფორმები, მათი გენეზისისა და განვითარების საკითხი, ყურადღება აქვს გამახვილებული კერამიკული ნაწარმის განვითარებაზე<sup>22</sup>.

40-იან წლებს უკავშირდება ნ. ხოშტარიას მიერ დაბლაგომის არქეოლოგიური ძეგლების მონოგრაფიული შესწავლა. ამ ნაშრომში სათანადო ადგილასაა განხილული ამ ძეგლიდან მომდინარე აღრეელინისტური ხანის კერამიკული ნაწარმიც<sup>23</sup>.

40—50-იან წლებიდან კოლხეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მრავლდება ცნობები ელინისტური ხანის კერამიკის შესახებ: ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. სოლოვიოვის, ალ. კალანდაძის, მ. თრაპზის მიერ სოხუმის მიდამოებში წარმოებული გათხრებისადმი მიძღვნილი ანგარიშები.

ნ. სოლოვიოვის 1947 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში აღნუსხუ-

---

რები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1955; М. П. И н а д з е, Причерноморские города Колхиды, с. 11—38; Н. Ш. К и г у რ ა ჯ დ ე, К истории поселения центральной Колхиды в античную эпоху, Автореферат дисс. на соиск. учен. степени канд. исторических наук, Тб., 1972.

<sup>21</sup> Н. М. И в а ш ч е н к о, Краткий предварительный отчет об археологическом исследовании памятника древности на территории строительства Очамчирского порта, ხელნაწერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქივი, №16.

<sup>22</sup> Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, I, с. 5—133; მ ი ს ი ე, Материалы к археологии..., II, с. 1—149; 259—274.

<sup>23</sup> Н. В. Х о ш т а р и а, Древнее поселение в Даблагоми, Автореф. дисс. на соиск. учен. степени кандидата ист. наук. Тб., 1940.

ლია სოხუმის მიდამოებში აღმოჩენილი ელინისტური ხანის კერამიკის აღმოჩენის ყველა ფაქტი<sup>24</sup>.

ელინისტური ხანის საინტერესო მასალაა წარმოდგენილი ალ. კალანდაძის ნაშრომში, რომელიც მიეძღვნა სოხუმის მთაზე 1950—1951 წწ. წარმოებული არქეოლოგიური კვლევის შედეგებს. ავტორს დაწვრილებით აქვს აღწერილი ელინისტური ხანის სამარხებიდან მომდინარე მასალა, მათ შორის კერამიკა; გარკვეული აქვს მისი წარმომავლობა და თარიღი<sup>25</sup>.

საყურადღებო მასალებს ვხვდებით აგრეთვე სოხუმის მიდამოებში (გუაღ-იხუ, წითელი შუქურა) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებისადმი მიძღვნილ მ. თრაპშის ნაშრომებში. მათში წარმოდგენილია საინტერესო ფაქტები აღნიშნული მასალის აღმოჩენის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცნობა წითელ შუქურასთან კერამიკული საწარმოს ნაშთების აღმოჩენის შესახებ<sup>26</sup>.

ცალკე უნდა აღინიშნოს 1958 წ. და 1959 წ. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრები (გათხრებს აწარმოებდა ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი და აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი) და იქიდან მომდინარე მცირერიცხოვანი, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი ელინისტური ხანის კერამიკა. ცნობები ამ კერამიკის შესახებ წარმოდგენილია ლ. შერვაშიძის, ლ. სოლოვიოვის<sup>27</sup>, მ. თრაპშის<sup>28</sup>, ა. აფაქიძის და ოთ. ლორთქიფანიძის ანგარიშებში<sup>29</sup>.

40-იან წლებშივე იწყება ვანის ნაქალაქარის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა და იქ აღმოჩენილი მონაპოვრის, მათ შორის კერამიკის გამოქვეყნება<sup>30</sup>.

<sup>24</sup> Л. Н. С о л о в ь е в, Диоскурия—Севастополис—Цхум, ТАГМ, I, 1947.

<sup>25</sup> ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954.

<sup>26</sup> М. М. Т р а п ш, Труды, II, Тб., 1970, с. 313.

<sup>27</sup> А. А. Ш е р в а ш и д з е, Л. Н. С о л о в ь е в, Исследование древнего Севастополиса, СА, 1960, 3, с. 172 და შემდგ.

<sup>28</sup> М. М. Т р а п ш, Раскопки древнего Севастополиса в р-не Сухумской крепости в 1959 г., ТАИЯЛИ, XXXIII—XXXIV, 1963.

<sup>29</sup> А. М. А п а к и д з е, О. Д. Л о р д к и п а н и д з е, Новые материалы к археологии Диоскурии-Севастополиса, ТАИЯЛИ, XXXIII—XXXIV, 1963, с. 209 და შემდგ.

<sup>30</sup> Б. ხოშტარია, არქეოლოგიური გათხრები ვანში, 1947 წ. „მიომხილველი“, 1, 1948; მისივე, Археологические исследования в Ван и Ванском р-не в 1952 г., მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, 1959.

40-იან წლების მიწურულში სოფ. ფარცხანაყანევი ელინისტური ხანის ქვევრსამარხების აღმოჩენასთან დაკავშირებით ქვეყნდება ნ. ივამჩენკოს ნაშრომი<sup>31</sup>, რომელშიც ფართოდაა განხილული აღნიშნული სამარხებიდან მომდინარე კერამიკა, მოტანილია ანალოგიური მასალა ეშერადან და ოჩამჩირედან, რის საფუძველზედაც სამაროვანი, და შესაბამისად კერამიკა, ძვ. წ. III—II სს-ითაა დათარიღებული.

40—50-იან წლებს უკავშირდება აგრეთვე სამხ.-დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებისადმი ინტერესის გაფართოება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკვე XIX ს. მეორე ნახევარში მიიპყრო ამ რაიონმა მკვლევართა ყურადღება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ექ. თაყაიშვილის მიერ ჩატარებული მცირე გათხრები სოფ. ხუტუბანში, აგრეთვე შლიმანის სურვილი ამ რაიონის ძეგლების არქეოლოგიური შესწავლისა.

აღნიშნულ ხანაში სამხ.-დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყების დღის წესრიგში დაყენება განაპირობა მონეტების განძების აღმოჩენებმა 1941, 1948 და 1952 წწ<sup>32</sup>. ამ აღმოჩენებს შედეგად მოჰყვა 1953, 1956 და 1959 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიერ არქეოლოგიური გათხრების წამოწყება. ამ სამუშაოებმა საფუძველი მოუმზადა შემდგომი არქეოლოგიური გათხრების ფართოდ გაშლას<sup>33</sup>.

60-იან წლებში კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შემდგომ განვითარებას შედეგად მოჰყვა მასალის ფართო მეცნიერული შესწავლა. ამ დროს ზოგადი ხასიათის ნაშრომების გარდა, რომლებიც უმთავრესად გათხრების (ვანის, ქობულეთ-ფიქვნარის, გონიოს, ბათუმის ციხის, დაფნარის, ვაშნარის, გურიანთის, ეშერის, ენგურის, კოლხეთის სადაზვერვო ექსპედიციების) ანგარიშებს წარმოადგენს<sup>34</sup>, ჩნდება ელინისტური ხანის კერამიკისადმი მიძღვნილი ნაშრომებიც.

<sup>31</sup> Н. М. И в а ш е н к о, Куешинный могильник в Западной Грузии, СА, 1950, XIII, с. 320—330.

<sup>32</sup> К. В. Г о л е н к о, Кобулетский клад серебряных монет середины IV в. до н. э., СА, XXVII, 1957; მ ი ს ი ე ე, Клад селенских и ислхидских монет из Кобулетн (1948), ВДИ, I, 1961. с. 42—52.

<sup>33</sup> სამხრ.-დას. საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიმოხილვა. იხ. ა. კ ა ხ ი ძ ე საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 3—19.

<sup>34</sup> აღსანიშნავია ნ. ხოშტარიას, ოთ. ლორთქიფანიძის, რ. ფუთურიძის, ა. კახიძის, ა. ინაიშვილის, ნ. კილურაძე



ამ მხრივ აღსანიშნავია რ. ფუთურიძის ნაშრომი, რომელიც მიძღვნილია ვანის ნაქალაქარიდან მომდინარე ამფორებისადმი. ავტორს ვანში აღმოჩენილ იმპორტულ ამფორებში გამოყოფილი აქვს როდოსული, სინოპური, კოსური, კნიდოსური ჯგუფები. შესწავლილი აქვს აგრეთვე ე. წ. წაბლისფერკეციანი ამფორები<sup>35</sup>.

ვანში აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკის ერთი ნაწილი გამოქვეყნებული აქვს ნ. კილურაძეს. ავტორს მოცემული აქვს ნაწარმის დახასიათება, თარიღი, განსაზღვრული აქვს საწარმოო ცენტრები<sup>36</sup>.

ვანში აღმოჩენილი სამშენებლო კერამიკა შესწავლილი აქვს ვ. თოლორაძეას. კერამიკის აღნიშნულ სახეობაში ავტორს გამოყოფილი აქვს ადგილობრივი და იმპორტული (სინოპური) ნაწარმი. ადგილობრივი კერამიკი მას სინოპურის მინაბაძად აქვს მიჩნეული<sup>37</sup>.

უკანასკნელ წლებში ცალკეული ძეგლების მონოგრაფიულ შესწავლასთან დაკავშირებით სათანადო ყურადღება დაეთმო ამ ძეგლებზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის კერამიკის შესწავლასაც.

ამ მხრივ აღსანიშნავია ა. კახიძის გამოკვლევა — „საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები“, რომელშიც წარმოდგენილია ქობულეთ-ფიჭვნარის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალა. ამ ნაშრომში სხვა მასალებთან ერთად მოცემულია ამ ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძვ. წ. IV—III სს. ადგილობრივი და შემოტანილი კერამიკის ცალკეული ფორმების დახასიათება. ა. კახიძის მიერვეა შესწავლილი ქობულეთ-ფიჭვნარიდან

---

ძ ი ს, გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს, გ. გ რ ი გ ო ლ ი ა ს, გ. შ ა მ ბ ა ს, ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ი ს, საანგარიშო მოხსენებები, წაითხული სამეცნიერო სესიებზე. იხ. საქართველოში 1960—1970 წწ. წარმოებული სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის ჩოქიჯიძისა თვრცები, თბ., 1960—1970 წწ.; ვანი I, თბ., 1972 წ.; ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ რ, დ. ხ ა ხ უ ტ რ ი შ ვ ი ლ ი, რკინის წარმოების უძველესი კერა ზორობის ქვემო დონეებში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში, სამხ.-დას. საქართველოს ძეგლები, I, თბ., 1964 წ.

<sup>35</sup> რ. ფუთურიძე, ვანში აღმოჩენილი ამფორები, ხელნაწერი; მისივე. Колхидские амфоры эллинистического и псзднеантичного времени, Тезисы докладов посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 г. в СССР, Тб., 1971.

<sup>36</sup> ნ. კილურაძე, შავლაკიანი კერამიკა ვანის ნაქალაქარიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 13, 1965.

<sup>37</sup> ვ. თოლორაძე, ვანის სამშენებლო კერამიკა, ხელნაწერი.

მომდინარე ძვ. წ. IV—III სს. ამფორები. კერამიკის აღნიშნულ სახეობაში ავტორს გამოყოფილი აქვს ქიოსური, თასოსური, სინოპური, კათნიებურძირიანი, ჰერაკლევას, სოლხას ტიპის, პანტიკაპეონის და ადგილობრივი ამფორების ჯგუფები<sup>38</sup>.

სუფსა-ნატანების აუზის ანტიკური ხანის ძეგლებიდან მომდინარე ელნისტური ხანის კერამიკა განხილულია ნ. ვაშაქიძის სტატი-აში — გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ამ ნაშრომში ავტორს მოცემული აქვს აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ელნისტური ხანის კერამიკის დახასიათება, გამოყოფილი აქვს აღნიშნული ხანის ადგილობრივი კერამიკის განვითარებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება. კერძოდ ბერძნული კერამიკისადმი მიბაძვის ტენდენცია, რომელიც აღრევე იყო დამოწმებული ვანური კერამიკის განვითარებაში<sup>39</sup>.

ოჩამჩირის ანტიკური ნამოსახლარის შესწავლისადმი მიძღვნილ დ. კაჭარავას სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ნამოსახლარზე აღმოჩენილი ელნისტური ხანის კერამიკა. იმპორტულ კერამიკაში ავტორს გამოყოფილი აქვს მცირე აზიის, მათ შორის სინოპეს, ჰერაკლევას ნაწარმი. ადგილობრივი კერამიკა დაჯგუფებული აქვს დანიშნულების მიხედვით. ეს უკანასკნელი მას კოლხეთის სხვა პუნქტებში აღმოჩენილ თანადროულ მასალასთან აქვს დაკავშირებული<sup>40</sup>.

დაფნარის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლასთან დაკავშირებით ნ. კილურაძეს განხილული აქვს იქ აღმოჩენილი ელნისტური ხანის კერამიკა. ავტორს მოცემული აქვს სამაროვანსა და ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ნაწარმის დახასიათება და თარიღი<sup>41</sup>.

ამგვარად, კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ელნისტური ხანის კერამიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ დაბლაგომის,

<sup>38</sup> ა. კ ა ხ ი ძ ე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971. მ ი ს ი ვ ე, კერამიკულა ტარა ფიქვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან, სღსძ, II, თბ., 1971, გვ. 28—64.

<sup>39</sup> ნ. ვ ა შ ა ქ ი ძ ე, გურიანთის ანტიკური ხანის ძეგლები, სღსძ, II, თბ., 1971, გვ. 19—23.

<sup>40</sup> Д. Д. К а ч а р а в а, Город Гиенос в античную эпоху, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата ист. наук, Тб., 1972.

<sup>41</sup> Н. Ш. К и г у р а д з е, К истории населения центральной Колхиды в античную эпоху, Автореферат на соискание учен. степени кандидата ист. наук, Тб., 1972.

ეშერის, ფარცხანაყანევის, სოხუმის მთის, გუად-იხუს, ქობულეთ-ფიქვნარის, დაფნარის სამაროვნებზე დამოწმებული ადრეელინისტური ხანის კერამიკა უკვე შეტანილია სამეცნიერო მიმოქცევაში, განსაკუთრებული ვითარებაა ნამოსახლარებზე (გონიო, ქობულეთ-ფიქვნარი, ვანი, ოჩამჩირე, სოხუმი) აღმოჩენილი კერამიკის შესწავლის საქმეში. შედარებით სრულადაა წარმოდგენილი გობიოში, ქობულეთ-ფიქვნარსა და ოჩამჩირეში აღმოჩენილი კერამიკა. რაც შეეხება ვანსა და სოხუმში აღმოჩენილ მასალას, როგორც აღნიშნული იყო, მასზე სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ზოგადი ხასიათის ცნობები არსებობს მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია საკვლევი საკითხის შესწავლაში, ვინაიდან მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს უკავშირდება და განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია აღნიშნული ნაქალაქარების ულინისტური ხანის ფენებიდან მომდინარე კერამიკის შესწავლა — ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, დახასიათება, დათარიღება, წარმომავლობის განსაზღვრა და, აქედან გამომდინარე, ხელოსნობისა და სავაჭრო ურთიერთობის თავისებურებათა დადგენა.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა ვანის ნაქალაქარიდან მომდინარე კერამიკას, ვინაიდან ეს უკანასკნელი ყველაზე უკეთაა არქეოლოგიურად გამოვლენილი, გამოყენებულია აგრეთვე სოხუმისა და ოჩამჩირის მასალა. ცალკეულ შემთხვევაში გათვალისწინებულია სამაროვნებიდან მომდინარე კერამიკაც.

მასალის ამგვარი შერჩევა გაპირობებულია ერთი მხრივ მისი შედარებით სუსტი შესწავლილობით და აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ზოგადად ეკონომიური ისტორიის შესწავლის გარდა, იგი ცენტრალურ და ზღვისპირა ქალაქების განვითარების თავისებურებათა გამოვლენის საშუალებასაც იძლევა.

## ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კერამიკა

ვანის ნაქალაქარის სისტემატიური არქეოლოგიური შესწავლა მცირე ინტერვალებით 1947 წლიდან წარმოებს. ამ კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი ძეგლი ფართოდაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>1</sup>. აღნიშნული გარემოება მის საერთო დახასიათების საჭიროებას გამორიცხავს და უფლებას გვაძლევს უშუალოდ სტრატиграფიული მონაცემები განვიხილოთ.

დღეისათვის გამოვლენილი არქეოლოგიური კომპლექსი ძვ. წ. V—I სს. თარიღდება. მასში მკვეთრად იმიჯნება ძვ. წ. V—IV სს. და ძვ. წ. III—I სს. ფენები.

ძვ. წ. V—IV სს. ფენა შეიცავს მდიდრულ სამარხეულ კომპლექსებს და ხის ნაგებობათა ნაშთებს. ძვ. წ. III—I სს. ფენა თვისობრივად სრულიად განსხვავებული ხასიათის ძეგლებითაა წარმოდგენილი. იგი შეიცავს ქვის ნაგებობათა ნაშთებს და მათთან დაკავშირებულ კულტურულ ფენებს.

ამ ფენის სისქე საშუალოდ 1—2 მ-ია. მასში გამოიყოფა ორი დონე. ზედა დონე, რომელიც უშუალოდ კორდოვანი ფენის ქვეშ დასტურდება დაახლოებით 0,50 მ-მდე გრძელდება. იგი ხშირად დაზიანებულია თანამედროვე მშენებლობისა და მიწის სამუშაოების წარმოების შედეგად; აგრეთვე ნიაღვრებითა და მცირე მეწყურებით. აღნიშნულ დონეს უკავშირდება „თირის“ ნაფლეთი ქვით ნაგები კედლების ფრაგმენტები, რომლებზედაც ამოყვანილი უნდა ყოფილიყო ალიზის კედლები. ამ უკანასკნელის ნაშალი ჭარბადაა შერეული ფენაში. ამიტომ მას „ალიზიანი“ ფენა ეწოდება.

„ალიზიანი“ ფენის ქვემოთ დამოწმებულ დონეს უკავშირდება ქვიშაქვის კვადრებითა და ალიზის ბლოკებით ნაგები მძლავრი კედლების მქონე შენობების ნაშთები. ამ ფენის სისქე ნაგებობა-

---

<sup>1</sup> იხ. ნ. ხოშტარია, არქეოლოგიური გათხრები 1947 წ., „მიზომილველი“, I, 1948, გვ. 297 და შემდ. მისივე, Археологические исследования в Вани и Ванском р-не в 1952 г., მსკი, II, 1959; ვანი, I, 1971.

თა შემორჩენილი დონის შესაბამისია. შენობები ჯგუფებადაა აღ-  
მოჩენილი ზედა, ცენტრალურ და ქვედა ტერასებზე. მათი მნიშვნე-  
ლოვანი ნაწილი საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულები-  
საა.

ქვედა დონეზე ორი ნგრევა დასტურდება. პირველი ნგრევის  
კვალი შემორჩენილია რესტავრირებული კედლების სახით. რეს-  
ტავრირებულია კერძოდ ქვედა ტერასზე „კარბიქის“ კომპლექსი,  
ნახევარწრიული „კოშკი“, „მოზაიკურიატაკიანი“ ტაძარი, 1972 წ.  
150-ე ნაკვეთზე გამოვლენილი არქიტექტურული კომპლექსი. რო-  
გორც ჩანს, ამ ნგრევის შემდეგ ქალაქს ძირითადად შეუნარჩუნებია  
პირვანდელი სახე — თითქმის ყველა შენობა აღუდგენიათ.

მეორე ნგრევა ალიზის კედლებსა და ჩაქცეული სახურავების  
ქვეშ დამოწმებული მძლავრი კულტურული ფენებითაა წარმოდგენი-  
ლი. ამ ნგრევას როგორც ჩანს, კატასტროფული შედეგები მოჰყო-  
ლია. ამის შემდეგ ქალაქს დაუკარგავს თავისი პირვანდელი სახე —  
ქვის ნაგებობათა ძირითადი ნაწილი გაუქმებული ჩანს. ამგვარი ვა-  
რაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ზედა დონეზე და-  
მოწმებული ნაყლეთი თირის ქვითა და ტალახით ნაგები კედლების  
ფრაგმენტები ქვედა დონეზე დამოწმებულ ნაგებობებთან კავშირს  
არ ავლენენ.

აღნიშნული ფენების ქრონოლოგიის საკითხი საბოლოოდ დად-  
გენილი არაა. მიჩნეულია, რომ ზედა „ალიზიანი“ ფენა ყველაზე  
გვიანდელია და ქვის ნაგებობათა მომდევნო სამშენებლო პერიოდს  
უკავშირდება. ქვედა ფენები კი ქვის ნაგებობათა მშენებლობის,  
არსებობისა და ნგრევის პერიოდების შესაბამისია. დღეისათვის ქა-  
ლაქის არსებობის ყველაზე გვიანდელ ხანად ძვ. წ. I ს-ა მიჩნე-  
ული. აქედან გამომდინარე ალიზიანი ფენა ძვ. წ. I ს-თაა დათარიღე-  
ბული, მის ქვემოთ მდებარე ფენები კი ძვ. წ. III—II სს. მიკუთვნე-  
ბული.

აღნიშნული ფენებიდან მომდინარე კერამიკა წარმოდგენილია  
იმპორტული და ადგილობრივი წარმოშობის საოჯახო, სამეურ-  
ნეო და სამშენებლო ნაწარმით.

#### ივანოვსკი კარამიკა

აერთიანებს შავლაკიან, მხატვრულ, წითელლაკიან სუფრის  
ჭურჭელსა და ამფორებს.

ა) შავლაკიანი სუფრის ჭურჭელი

შავლაკიანი სუფრის ჭურჭლის შესწავლის პირველი ცდა ნ. კი-  
ლურაძეს ეკუთვნის<sup>2</sup>. მას განხილული აქვს ამ კერამიკის ერთი ნაწი-  
ლი, კერძოდ 1967 წლამდე აღმოჩენილი მცირეაზიური წარმომავ-  
ლობის ჭგუფი — გამოყოფილი აქვს ზოგიერთი ტიპი, მოცემული  
აქვს ცალკეული ნიმუშების დათარიღების ცდა. გარდა ამისა, ამ კე-  
რამიკის შესახებ ცნობებს ვხვდებით გათხრების ანგარიშებში<sup>3</sup>.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია აღნიშნული ნაწარმის სრულ-  
ლად შესწავლის — კლასიფიკაციის, დათარიღების, წარმომავლობის  
დადგენის ცდა. იგი დაფუძნებულია სპეციალურ ლიტერატურაზე<sup>4</sup>,  
ვანის სტრატოგრაფიულ მონაცემებზე, აგრეთვე ბერძნული ცენტრ-  
რებიდან და კოლხეთის სხვადასხვა პუნქტებიდან მომდინარე პარა-  
ლელურ მასალაზე.

ვანში აღმოჩენილ სადა შავლაკიან კერამიკაში მოყვანილობის  
მიხედვით გამოიყოფა ოთხი ძირითადი ტიპი, კერძოდ — სათევზე  
ლანგრები, თევშები, ნახევარსფერული თასები, პირგადაშლილი  
თასები<sup>5</sup>. თითოეული მათგანი თავის მხრივ რამდენიმე ვარიანტს  
აერთიანებს.

ს ა თ ე ვ ზ ე ლ ა ნ გ რ ე ბ ი ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი.  
ერთს (ტიპი Ia) აქვს თითქმის ბრტყელი ძირი, რელიეფური ქედით  
გამოყოფილ ღრმა სასაწებლე, შვეულად გადახრილი კიდე და მაღა-  
ლი, ღარიანი ქუსლი. ამ ლანგრებისათვის დამახასიათებელია აგრეთ-  
ვე სასაწებლესთან და პირის კიდესთან ლაკის ფონზე ამოკაწრული  
სარტყლები, მოლურჯო ელფერის (ზეთისხილის ფერის) ლაკი და

---

<sup>2</sup> ნ. კ ი ლ უ რ ა ძ ე, შავლაკიანი კერამიკა ვანის ნაქალაქარიდან (ხელნაწე-  
რი), წაკითხულია ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების სხდომაზე, 1967 წ.

<sup>3</sup> ვანი I, გვ. 124, 167.

<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ ელინისტური ხანის ბერძნული სადა შავლაკიან-  
ნი კერამიკა წინამორბედი ხანის ნაწარმთან შედარებით სუსტადაა შესწავლილი. სპე-  
ციალური ნაშრომებიდან შეიძლება აღინიშნოს პ. თომპსონის გამოკვლევა — ელი-  
ნისტური ხანის კერამიკის ორი საუკუნე, რომელშიც ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩო-  
ვებშია განხილული აღნიშნული ხანის ნაწარმი (H. Thompson, Two centu-  
ries of Hellenistic Pottery, Hesperia, 1933) დღესდღეობით ბერძნული სამყაროს  
სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენილი კერამიკის დათარიღებისას ყველა არქეოლოგი  
აღნიშნულ ნაშრომს ეყრდნობა. ვანში აღმოჩენილი კერამიკის კლასიფიკაცია და თა-  
რილი ამ ნაშრომზეა დაფუძნებული.

<sup>5</sup> გარდა აღნიშნულისა ვანში აღმოჩენილია შავლაკიანი კანთაროსების ქუსლე-  
ბის ნატეხებიც, მაგრამ მათი განხილვა მიზანშეწონილად მივიჩნით მხატვრულ კერა-  
მიკასთან, ვინაიდან ამგვარ ჭურჭელს უმეტეს შემთხვევაში საღებავით შესრულებუ-  
ლი ან რელიეფური ორნამენტით ამკობდნენ.

სუფთა მოყვითალო-წაბლისფრად გამომწვარი კეცი. (ტაბ. I, 1, 2; ტაბ. II, 1, 2, 3).

მსგავსი სათევზე ლანგრები აღმოჩენილია ელინისტური სამყაროს მრავალ პუნქტში. მათ შორის ორონტის ანტიოქიაში, ჩრდ. შავიზღვისპირეთის ქალაქებში<sup>6</sup>.

აღნიშნული პარალელებით სათევზე ლანგრების განხილული სახეობა ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდება და ატიკას უკავშირდება. მათი ატიკური წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს კეცისა და ლაკის თავისებურება, აგრეთვე ლაკის ფონზე ამოკაწრული სარტყლები<sup>7</sup>.

მეორე ვარიანტისათვის (ტიპი Iბ) დამახასიათებელია შედარებით ღრმა, მომრგვალებული ძირი, გარეთ გადაშლილი ფართო პირი, პატარა სასაწებლე და რგოლისებური ქუსლი (ტაბ. 1, 3, 4; ტაბ. II, 5, 6).

ტექნოლოგიური თავისებურებების თვალსაზრისით აღსანიშნავია მინარევებიანი, მოწითალო-წაბლისფერი კეცი და თხელი მქრქალი ლაკი. ანალოგიური სათევზე ლანგრები დამოწმებულია ელინისტურ სამყაროს მრავალ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პუნქტში, უმეტესად შუა ელინისტური ხანის (ძვ. წ. II ს.) ფენებში<sup>8</sup>.

ამრიგად, აღნიშნული ლანგრების გავრცელების ხანად ძვ. წ. II საუკუნეა სავარაუდო. აქედან გამომდინარე ვანში აღმოჩენილი სათევზე ლანგრების განხილული სახეობა ძვ. წ. II ს. უნდა დათარიღდეს, ხოლო ტექნოლოგიური თავისებურებების საფუძველზე მცირეაზიურ საწარმოს დაუკავშირდეს. საწარმოო ცენტრის დაზუსტება არ ხერხდება ვინაიდან აღნიშნული ფორმის ჰურპელს თითქმის ყველას ცენტრში ამზადებდნენ. ელინისტურ ხანაში კი შავლაკიანი კერამიკის მრავალი საწარმოო ცენტრია დადასტურებული. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მოყვანილობის სათევზე ლანგრები ხერსონესშიც მზადდებოდა.

თ ე ფ შ ე ბ ი ც ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი. პირველი (ტიპი II ა) შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. მის ფუნქციის დამახასიათებელია ბრტყელი მასიური ძირი, შიგნით ჩაკეცი-

<sup>6</sup> O. W a a g e, Hellenistic and Roman Tableware of North Syria. Antiochos-on-Orontos, IV, 1949, გვ. 7. ტაბ. I (H); F. F. J o n s, The Pottery, Tarsus, I, გვ. 212, II, სურ. 120 (23); Д. Б е л о в, Эллинистический дом в Херсонесе, ТГЭ. VII, 1962, с. 179.

<sup>7</sup> H. T h o m p s o n, დასახ. ნაშრ., გვ. 430.

<sup>8</sup> F. F. J o n s, დასახ. ნაშრ., გვ. 152 და შემდ.

ლი კიდე, პროფილირებული ქუსლი და „ფრჩხილოვანი“ ორნამენტითა და ნატეფრი პალმეტებით შემკული ფსკერა (ტაბ. I, 9; ტაბ. II, 8).

აღნიშნული ფორმა ანტიკურ კერამიკულ წარმოებაში პირველად ძვ. წ. IV ს. დასასრულში შემოვიდა ხმარებაში და მთელი ელინისტური ხანის მანძილზე იარსება. ასე ხანგრძლივი დროის მანძილზე ხმარებაში ყოფნამ განაპირობა გარკვეული ცვლილებები მოყვანილობაში. ამ ცვლილებებისათვის თვალის გადავლების საშუალებას იძლევა ათენის აგორის მონაპოვარი. ამ მონაცემების მიხედვით ანალოგიური თეფშების ადრეულ ცალებზე აშკარად შეინიშნება ტორევეტის გავლენა. მათ აქვთ მასიური, ბრტყელი ძირები და უხვი შემკულობა. მოგვიანებით ფორმა უფრო პლასტიკური ხდება. უფრო ნაკლებად შესამჩნევია ლითონის ნაწარმის გავლენა, კერძოდ ძვ. წ. II ს. დათარიღებულ თეფშებს აქვთ შედარებით ღრმა ძირი და თხელი კედლები. გამარტივებულია შემკულობაც. ძვ. წ. II—I სს. მიჯნით დათარიღებული თეფშები გამოირჩევიან ღრმა, კონუსური ძირებითა და თხელი კედლებით. ამასთანავე თითქმის სრულიად გამქრალა შემკულობა<sup>9</sup>.

ვანში აღმოჩენილი თეფშები მოყვანილობით ყველაზე ადრეულ ცალებს უკავშირდებიან და შესაბამისად ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდებიან. ტექნოლოგიური თვალსაზრისით აღნიშნული თეფშები ერთგვაროვანი არაა. შედარებით მცირე ნაწილისათვის დამახასიათებელია სუფთა, მოყვითალო-წაბლისფერი კეცი, მბრწყინავი ლაკი და გულდასმით გამოყვანილი შემკულობა, აგრეთვე ჩარხზე გამოყვანილი ღარები ძირზე. აღნიშნული დეტალებით იგი ატიკურ ნაწარმს ენათესავენ.

მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ნაწილის კეცი მოწითალო წაბლისფერია, მშრალი, მინარევებიანი; ლაკი ძალიან თხელია, შემკულობა უხეშია, გარეთა პირზე ჩარხზე გამოყვანილი ღარები არა აქვს. აღნიშნულის საფუძველზე ვანში აღმოჩენილი თეფშების ეს ჯგუფი მცირეაზიურ ნაწარმად უნდა ჩაითვალოს.

თეფშების მეორე ვარიანტისათვის (ტიპი II ბ) დამახასიათებელია ბრტყელი, მრგვალქუსლიანი ძირი და ზემოთ აკეცილი შვეული პირი. შავლაკიანი თეფშების ამ ჯგუფსაც ფსკერები შემკული აქვთ ფრჩხილოვანი ორნამენტითა და ნატეფრი პალმეტებით (ტაბ. I, 10; ტაბ. II, 8, 9).

<sup>9</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 434 და შემდ.



ამგვარი თევშების თიხა არაერთგვაროვანია. გვხვდება კარგად განლეკილი, თანაბრად გამომწვარი, სუფთა თიხისაგან დამზადებული, მბრწყინავი ლაკით დაფარული ცალები. ეს შედარებით მცირერიცხოვანი ნიმუშები მაღალი ტექნოლოგიური ნიშნებით ატიკას უნდა დაუკავშირდეს და ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით დათარიღდეს. უმეტესობისათვის კი დამახასიათებელია ნაცრისფრად გამომწვარი, მინარევებიანი (ქარბობს ქარსი და კირქვა) მყიფე სტრუქტურის მქონე კეცი და მქრქალი, არამდგრადი ლაკი (ლაკის ფენა ადვილად იტყიცება კეციდან, ძალიან ხშირია მთლიანად ლაკმემოკლილი ნიმუშები).

ამ კერამიკის საწარმოო ცენტრი უცნობია. კეცის თავისებურებათა საფუძველზე (განსაკუთრებით აღსანიშნავია ქარბი ქარსიანობა) შესაძლებელია მცირე აზიის ჩრდ. ნაწილში არსებულ რომელიმე ცენტრს დაუკავშირდეს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ანალოგიური კერამიკა ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხ. და აღმ. ნაწილში (ტარზუსი, ანტიოქია) დამოწმებული არ არის. ამგვარი კერამიკა ხშირად ჩნდება შავიზღვისპირეთის ქალაქებში.

ასევე დაუდგენელია ანალოგიური მოყვანილობის მქონე ლანგრების ცენტრიც. ამ ლანგრებისათვის (ტიპი II გ) დამახასიათებელია აგრეთვე ქარსიანი, ნაცრისფრად გამომწვარი, მაგრამ მკვრივი სტრუქტურის კეცი. ლაკი თხელია, მაგრამ საკმაოდ მდგრადია, მხოლოდ ნაწილობრივ იქერცლება კეციდან (ტაბ. I, 5, 6, 11).

ამგვარი ლანგრებიდან მხოლოდ პირებისა და ძირების ცალკეული ნატეხებია გადაჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ მძიმე, მასიური კეცი, როგორც ჩანს, ადვილად იმტვრეოდნენ, რაც თავის მხრივ ჭურჭლის დიდი ზომითაც იყო, ალბათ, გაპირობებულა.

საერთოდ, ანალოგიური ლანგრები გამოირჩევიან დახვეწილი შესრულებით. ამ მხრივ აღსანიშნავია ოსტატურად გამოყვანილი პალმეტი, რაც აღნიშნული ხანისათვის საკმაოდ იშვიათია. ლანგრების აღნიშნული სახეობა ძვ. წ. II ს. თარიღდება.

ნ ა ხ ე ვ ა რ ს ფ ე რ უ ლ ი თ ა ს ე ბ ი (ტიპი III) უკეთაა შემონახული. გარდა პირებისა და ძირების ცალკეული ნატეხებისა, გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომლებისგანაც მესამედი ან ნახევარია შემორჩენილი.

ამ ფორმისათვის დამახასიათებელია მაღალი კონუსური ქუსლი და ნახევარსფეროსებური კორპუსი (ტაბ. I, 7, 8, 12, 13; ტაბ. II, 12—13). პირის მოყვანილობის მიხედვით ორი ვარიანტი გამოიყოფა. გვხვდება შესქელებული, ლაკის ფონზე ამოკაწრული და-

რით პროფილირებული და შეთხელებული, ოდნავ შიგნით გადახრილიკიდიანი თასები.

აღნიშნულ თასებს ანალოგები ეძებნებათ ათენის აგორის, ტარზუსის, ანტიოქიის, ჩრდ. შავიზღვისპირეთის ქალაქების მასალებში<sup>10</sup>. აღნიშნული პარალელებითა და აღმოჩენის პირობების მიხედვით შევლაკიანი კერამიკის ეს სახეობა ძვ. წ. III, უმთავრესად კი ძვ. წ. II ს. თარიღდება.

ქრონოლოგიური მნიშვნელობის დეტალების დაქერა არ ხერხდება, ვინაიდან ფორმა საკმაოდ სტაბილურია და თითქმის არ განიცდის ცვლილებებს.

რაც შეეხება აღნიშნული თასების წარმომავლობას, ტექნოლოგიური თავისებურებების საფუძველზე (მოწითალო-წაბლისფერი მინარევებიანი თხვა, მქრქალი ლაკი) ძირითადი მასა მცირე აზიას უკავშირდება. მხოლოდ რამდენიმე ნიმუში, კერძოდ შესქელებულკიდიანი, ლაკის ფონზე ამოკაწრული ღარებით შემკული თასები ატიკის ნაწარმი უნდა იყოს<sup>11</sup>.

პირგადაშლილი თასებისათვის (ტიპი IV) დამახასიათებელია პატარა, ოდნავ მომრგვალებული, ქუსლიანი ძირი და მაღალი, გარეთ გადახრილი სადაკიდიანი კედლები (ტაბ. II, 18—20).

თასების აღნიშნული სახეობა ანტიკურ კერამიკულ წარმოებაში ადრეელინისტური ხანიდანაა დამოწმებული. ადრეულები (ძვ. წ. III ს. და ძვ. წ. II ს. დასაწყისი) ათენის აგორის A და B ცისტერნის მასალების მიხედვით ხასიათდებიან შედარებით მომცრო კორპუსით, თითქმის შეეული, ოდნავ გადაშლილი პირით და ფსკერის უხვი შემკულობით. ძვ. წ. II ს. ნიმუშებს (ათენის აგორის C და D ცისტერნის ცალებს) აქვთ უფრო დიდი ზომის კორპუსი და ფართოდ გადაშლილი პირი. ფსკერი ხშირად შემკულობის გარეშეა. ზოგჯერ შემკულობა უხეშადაა შესრულებული<sup>12</sup>.

ვანში აღმოჩენილ თასებში შეინიშნება როგორც ადრეული, კერძოდ ძვ. წ. III ს. მეორე ნახევრითა და II ს. დასაწყისით დათარიღებული ცალები (ტაბ. II, 11), ისე შედარებით გვიანდელი, ძვ. წ. II ს. თასებიც (ტაბ. II, 12).

<sup>10</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 317; Tarsus, II, 119 (3)-121 (51, 65), 122 (707); O. Waage, დასახ. ნაშრ., ტაბ. II, 13—17.

<sup>11</sup> შეად. H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 317, 7.

<sup>12</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 349 და შემდ.

აღნიშნულის საფუძველზე ვანში აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკის აღნიშნული სახეობა ძვ. წ. III ს. მეორე ნახევრით და ძვ. წ. II ს. თარიღდება, ხოლო ტექნოლოგიური თავისებურებების საფუძველზე (მოწითალო წაბლისფერი, მშრალი მინარევეებიანი თიხა, თხელი მჭრქალი ლაკი) მცირეაზიულ საწარმოო ცენტრებს უკავშირდება. თასების ამ ჯგუფში ატიკური ნაწარმი არ შეინიშნება.

წარმოდგენილი ტიპებით ამოიწურება ვანში აღმოჩენილი სადა შავლაკიანი კერამიკა. როგორც დავინახეთ მისი შედარებით მცირე ნაწილი, რომელიც ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდება, ატიკას უკავშირდება. უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი კი ძვ. წ. III ს. დასასრულითა და ძვ. წ. II ს. თარიღდება და მცირე აზიიდან მომდინარეობს. აღსანიშნავია რომ ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრის მცირეაზიური ნაწარმი ვანში დამოწმებული არ არის.

### ბ) მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი კ ე რ ა მ ი კ ა

ელინისტური ხანის მხატვრული კერამიკის შესწავლა გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. მაგრამ ამისდა მიუხედავად, წინამორბედი ხანის კერამიკასთან შედარებით სუსტადაა შესწავლილი. ეს გარემოება, როგორც ჩანს, თვითონ ნაწარმის ხასიათითაცაა გაპირობებული.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ ხანაში მხატვრულმა კერამიკამ დაჰკარგა ის მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი მნიშვნელობა, რომელიც მას წინამორბედ ხანაში ჰქონდა. მისი ადგილი ამ დროს აღმოსავლეთიდან მოზღვავებულმა ძვირფასი ლითონის ჭურჭელმა დაიკავა. ეს უკანასკნელი უფრო შეესატყვისებოდა ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელ ფუფუნებისაკენ ლტოლვის საერთო ტენდენციას. მხატვრული კერამიკა კი უმთავრესად საშუალო ფენების მოხმარების საგნად იქცა. ამავე დროს ლითონის ჭურჭლის უპირატესობის აღიარებამ გარკვეული კვალი დააჩნია კერამიკის განვითარებას — გამოიწვია მისი საერთო ხასიათის "შეცვლა, რაც თავის მხრივ ელფერისა და ორნამენტაციის ახალი სახეობების დამკვიდრებაში გამოიხატა. ამ დროს კერამიკოსები თიხის ნაწარმისათვის ლითონის ეფექტის მინიჭების მიზნით ლაკს მონაცრისფრო ან მოლურჯო შეფერილობას აძლევენ<sup>13</sup>; ჭედური და გრავირებული ორნამენტის იმიტაციის მიზნით ჭურჭელს რელიეფებით, ლაკის ფონზე

<sup>13</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 430.

ამონაკაწრი და ზედნადები საღებავებით შესრულებული სახე-  
ებით ამკობენ. ამ გარემოებამ აღნიშნული ხანის კერამიკული ნა-  
წარმის მხატვრული ღირსებების ერთგვარი დაქვეითება განაპირობ-  
ბა, თუმცა გარეგნული ეფექტის თვალსაზრისით მნიშვნელოვან  
წარმატებებსაც კი მიაღწია — ელინისტური ხანის კერამიკა მოხდენ-  
ილია, შემკულობა ნატიფია, შესრულებულია ოსტატურად მაგრამ  
უმთავრესად მოკლებულია ინდივიდუალურობას და ტრაფარეტუ-  
ლიც კია.

ელინისტური ხანის მხატვრული კერამიკის შესწავლა უმთავ-  
რესად აღნიშნულ ხანაში გავრცელებული მხატვრული ნაწარმის ზო-  
გადი თავისებურებების გამოვლენის, აგრეთვე ტექნოლოგიური სა-  
კითხების შესწავლის ხაზით წარმოებს. ცალკეული საწარმოო ცენტრ-  
ების დადგენა უმეტეს შემთხვევაში არ ხერხდება, ვინაიდან მასა-  
ლის ტრაფარეტული ხასიათი მისი თავისებურებების გამოვლენის  
საშუალებას თითქმის არ იძლევა. XIX ს. მკვლევრების ცდა ამა თუ  
იმ სტილის კერამიკის რომელამე საწარმოო ცენტრებთან დაკავშირე-  
ბისა უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან გათხრების გაფართოებამ და-  
დასტურა ერთი და იგივე სტილის კერამიკის მრავალ პუნქტში წარ-  
მოების ფაქტი. დღეისათვის ელინისტური ხანის მხატვრული კერამი-  
კის სამი დიდი საწარმოო ცენტრია აღიარებული. ესაა მცირე აზია,  
ატია და იტალია. ცალკეულ შემთხვევაში გამოიყოფა დელოსური,  
პერგამონული, ალექსანდრიული და ა. შ. ნაწარმი, უმთავრესად კი  
მხოლოდ ზოგადად მცირეაზიური, ატიკური და იტალიკური წარმო-  
მავლობის დადგენაა შესაძლებელი<sup>14</sup>.

ელინისტურ ხანაში მხატვრული კერამიკის სამი სახეობა იყო  
გავრცელებული, კერძოდ ლაკის ფონზე ამოკაწრული და მოთეთ-  
რო საღებავით მოხატული, ღია ფერის ფონზე მუქი საღებავით მო-  
ხატული და რელიეფური კერამიკა.

ვანში მხატვრული კერამიკა მცირე რაოდენობითაა აღმოჩენი-  
ლი, მაგრამ ბერძნულ სამყაროში გავრცელებული მხატვრული ნა-  
წარმის თითქმის ყველა სახეობას აერთიანებს.

<sup>14</sup> ელინისტური ხანის მხატვრული კერამიკის შესახებ. იხ. М. И. Максимова, *Обработка изделий (керамика), Эллинистическая техника*, М.-Л., 1948, с. 226 და შემდ.; А. Д. Блаватский, *История античной расписной керамики*, М., 1959; Т. Н. Книпович, *Художественная керамика в городах север. Причерноморья в эпоху эллинизма*, СА, XI, 1949; მისივე; *Художественная керамика север. Причерноморья*, М.-Л., 1955, с. 356. და შემდ.

1. ლაკის ფონზე ნაკაწრი და საღებავით შესრულებული ორნამენტით შემკული კერამიკა სპეციალურ ლიტერატურაში „გნაფის“ სახელით შევიდა. ეს სახელწოდება მისი თავდაპირველი აღმოჩენის ადგილის სახელიდან მომდინარეობს. XX ს. დასაწყისამდე იგი ამ კერამიკის წარმომავლობის მაჩვენებელიც იყო. მოგვიანებით გათხრების გაუართობასთან დაკავშირებით მკვლევრები ამ სტილის კერამიკის არაერთგვაროვნების აღიარებამდე მივიდნენ, კერძოდ, 1901 წ. ათენის აკროპოლის დას. ფერდის განათხარის შესწავლის საფუძველზე ვატცინგერმა გამოჰყო იტალიკურისაგან განსხვავებული ჯგუფი, რომელსაც აღმოჩენის ადგილის მიხედვით უწოდა „დასავლეთ ფერდის“ კერამიკა („west slop ware“) და ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნია<sup>15</sup>.

XX ს. დასაწყისშივე რ. პაგენშტეხერმა „გნაფის“ სტილის კერამიკაში გამოჰყო ატიკური და ალექსანდრიული ნაწარმი და ამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის კლასიფიკაციაში<sup>16</sup>.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ათენის აგორის გათხრები, რომლის მონაპოვრის შესწავლის საფუძველზეც პ. თომპსონმა დაასაბუთა ამგვარი კერამიკის ათენში არამარტო წარმოების ფაქტი, არამედ ამ ცენტრის პრიორიტეტიც კი აღნიშნული სტილის წარმოშობაში<sup>17</sup>.

მცირე ზოიში, კერძოდ პერგამონში, წარმოებული გათხრების შემდგომ გამოიყო პერგამონული ნაწარმიც. მისი გამოყოფის საფუძველად განსხვავებული ლაკი, კეცი, აგრეთვე შემკულობისა და მოყვანილობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი დეტალი იქცა<sup>18</sup>.

ამგვარად, „გნაფის“ სტილის აღმოსავლურბერძნულ კერამიკაში გამოიყოფა ატიკური, მცირეზოიური და ალექსანდრიული ნაწარმი.

ამ კერამიკის ზოგად დამახასიათებელ ნიშნად ლაკის ფონზე ამოკაწრითა და ღია ფერის საღებავით (თეთრი, მოთეთრო, მო-

<sup>15</sup> C. Watzinger, Wasenfunden aus Athen, MAJ (Ath. Mitt), XXVI, 1901, გვ. 67—102.

<sup>16</sup> R. Pagenstecher, Die Gefäße in stein und Thon, Exped. E. von Sieglin, Ausgrabungen in Alexandria, Band II, 1913.

<sup>17</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 438—47.

<sup>18</sup> Т. Н. Книпович, К вопросу о торговых сношениях античных колоний север. Причерноморья в эпоху эллинизма, СА, XI, 1949, с. 274 და შემდგ.

ყვითალო) ან შეთხელებული თიხით შესრულებული შემკულობა გვევლინება. ამგვარი კერამიკის ხმარებაში შემოსვლის ხანად ძვ. წ. IV ს. მიწურული, ხოლო აყვავების ხანად ძვ. წ. III—II სს. ითვლება. ძვ. წ. II ს. შუა ხანებიდან ამ სტილის კერამიკის გადაგვარებას ვარაუდობენ. გადაგვარების ნიშნებად ორნამენტის დაუდევარი შესრულება ან თავისუფალი აგება და ნაკლები დეტალიზებაა მიჩნეული.

გნაფიის სტილის კერამიკის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ამფორები და კანთაროსები. შედარებით იშვიათია მცირე ზომის თასები.

ვანში ღია ფერის საღებავით და ნაკაწრი ორნამენტით შემკული კერამიკის ორი ჯგუფია დამოწმებული — ატიკური და მცირე-აზიური.

ა ტ ი კ უ რ ი — იგივე „west slop ware“ ანუ „დასავლეთ ფერდის კერამიკა“ წარმოდგენილია ძირითადად კანთაროსების ნატეხებით, რომლებისთვისაც ზოგადად დამახასიათებელია კარგი ხარისხის, თანაბრად დადებული, ხშირად ლითონისებურად მბრწყინავი ლაქი; სუფთა, მოყვითალო ან მოვარდისფრო ტონალობის მქონე კეცი; სადა მოყვანილობა; შემკულობის უმთავრესად მოთეთრო საღებავით შესრულება; ამოკაწრული სახეების შეზღუდული გამოყენება.

აღნიშნული ნიმუშებიდან ერთი (3—48/44), რომელიც პირკედლის ორი ნატეხითაა წარმოდგენილი, ცილინდრულკორპუსიან ღრმა კანთაროსს განეკუთვნება. იგი შემკულია ორ ამოკაწრულ სარტყელს შორის მოქცეული ერთმანეთში ჩაწერილი სწორკუთხედებით შედგენილი ფრიზით. ფრიზი მოთეთრო საღებავითაა დატანილი, მოთავსებულია უშუალოდ პირის კიდესთან (ტაბ. III, 1).

ანალოგიური კანთაროსი აღმოჩენილია ათენის აგორზე, A ცისტერნაში და ძვ. წ. IV—III სს. მიჯნით თარიღდება<sup>19</sup>. ამდენად, ვანში აღმოჩენილი ნიმუში შეიძლება ძვ. წ. III ს. დასაწყისით დათარიღდეს.

მეორე ნიმუშისაგან (3—68/186) იმდენად მცირე ზომის ნატეხია გადარჩენილი, რომ ჭურჭლის მოყვანილობის აღდგენა არ ხერხდება. მას აქვს წმინდა, მოვარდისფრო კეცი; დაფარულია ლითონისებურად მოელვარე შავი ლაქის თანაბარი ფენით. შემკულია წნულთ და მძივსაკიდების სარტყლით. შემკულობა შეთხელებული თი-

<sup>19</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., სურ. 6, A 39, გვ. 313—315, 444.

ზითაა დატანილი (ტაბ. IV, 3) განხილული ნიმუში ათენის აგორის მასალებით აგრეთვე ძვ. წ. III ს., უფრო მისი პირველი ნახევრით თარიღდება<sup>20</sup>.

მესამე ნიმუში უკეთაა მოღწეული, მას მხოლოდ პირის ნაწილი და ყურები აქვს ჩამოტეხილი. იგი წაბლისფერი ლაკითაა დაფარული, აქვს დაბალქუსლიანი, ძირისკენ ოდნავ გაფართოებული ღრმა კორპუსი; შემკულია ამოკაწრულ სარტყლებს შორის მოქცეული ერთმანეთის მონაცვლეობით განლაგებული ჰადრაკული დაფით და ერთმანეთში ჩაწერილი სწორკუთხედებით. ორნამენტი დატანილია უშუალოდ პირის კიდესთან, მოყვითალო ფერის საღებავით (ტაბ. III, 2).

განხილული კანთაროსი მოყვანილობითა და შემკულობით გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ზემოაღწერილ კანთაროსთან, მაგრამ გარკვეული თავისებურებითაც ხასიათდება. მას ცილინდრულის ნაცვლად ძირისკენ ოდნავ განზიდული კორპუსი აქვს, დაბალქუსლიანია, გამოირჩევა რამდენიმე დაუდევრად შესრულებული ორნამენტით — თეთრი საღებავით დატანილი ხაზები უთანაბროა, ამოკაწრული სარტყლები უხეში. წარმოდგენილი თავისებურებები აღნიშნული კანთაროსის ძვ. წ. II ს. მეორე ნახევრით დათარიღების საფუძველს იძლევა. აღნიშნული თარიღის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ათენის აგორის მონაცემებიც — ანალოგიური ორნამენტით შემკული ამფორა აღმოჩენილია ძვ. წ. II ს. შუა ხანებით დათარიღებულ კომპლექსში<sup>21</sup>.

შემდგომი ნიმუშებისგანაც (3—67/91) უმნიშვნელო ნატეხია გადარჩენილი. ამიტომ ჭურჭლის მოყვანილობის აღდგენა არ ხერხდება, მაგრამ რადგან მას აქვს საკმარის მასიური კეცი; შეიძლება იგი მცირე ზომის ამფორას დაუკავშირდეს.

ამ ნიმუშისათვის დამახასიათებელია მოყვითალო-წაბლისფერი სუფთა კეცი, დაფარულია საკმარის კარგი ხარისხის შავი ლაკით. შემკულია ამოკაწრული სარტყლითა და თეთრი საღებავით შესრულებული „რომბული“ ბადით (ტაბ. IV, 2).

ანალოგიური ორნამენტით შემკული ამფორა ათენის აგორის E ცისტერნაშია აღმოჩენილი და ძვ. წ. II—I სს. მიჯნით თარიღდება. ჰ. თომპსონი შემკულობის ამ სახეობას ერთმანეთში ჩაწერილი კვადრატების განვითარებად და მხოლოდ ატიკური ნაწარმის დამა-

<sup>20</sup> შეადარეთ, H. Thompson, დასახ. ნაშრ., სურ. 18, B 21, სურ. 19, B 26, გვ. 332.

<sup>21</sup> შეად. H. Thompson, დასახ. ნაშრ., სურ. 59, D 26.

ხასიათებელ თავისებურებად მიიჩნეეს<sup>22-23</sup>. აღნიშნულის საფუძველზე განხილული ნიმუში შეიძლება ძვ. წ. II—I სს. მიჯნით დათარიღდეს.

მეხუთე ნიმუში (3—61/70) უკეთაა მოღწეული. შემორჩენილი პირისა და კედლის ნატეხები, რომელთა შეკოწიწების შედეგად მოხერხდა ფორმის ნაწილობრივი აღდგენა.

ესაა პირგადაშლილი, ძირისკენ ოდნავ გაფართოებული ჭურჭელი; შემკულია სუროს სტილიზებული გირლანდით, რომელიც ამოკაწრული, ღარებითა და მოთეთრო საღებავით შესრულებული წერტილებით შედგენილ სარტყლებს შორისაა მოთავსებული. სუროს შტოები და უღვაშები ამოკაწრულია, ყვავილები მოთეთრო საღებავითაა მოხატული (ტაბ. III<sub>3</sub>, IV<sub>1</sub>).

ჭურჭელი შავლაკიანია, შიდაპირზე ლაკი მთლიანადაა შემორჩენილი, ზედაპირზე ნაწილობრივ ფერშეცვლილია (განაცრისფერებულია, როგორც ჩანს, ცეცხლში მოხვედრის გამო) კეცი მოყვითალო-წაბლისფერია, სუფთა.

განხილულ ჭურჭელს უშუალო პარალელი არ ეძებნება. შემკულობის თავისებურების საფუძველზე (სტილიზაცია, ნაკაწრი სახეების უხვად გამოყენება...) იგი ძვ. წ. II ს. დასასრულით თარიღდება. ამგვარი დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე მისი აღმოჩენის პირობებიც — ამ ჭურჭელთან ერთადაა აღმოჩენილი გვიანელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკა და მეგარული თასი.

დაბოლოს, ატიკური უნდა იყოს კიდევ ერთი ნიმუში, რომელიც ვერტიკალურყურთან ჯამს განეკუთვნება. იგი შემკულია თეთრი საღებავით დატანილი წერტილებით და ამოკაწრული სარტყლებით (ტაბ. V, 2). მას უშუალო პარალელი არ ეძებნება. მოყვანილობის მიხედვით შეიძლება ზოგადად ძვ. წ. II ს. დათარიღდეს.

მ ც ი რ ე ა ზ ი უ რ ი „გნაფის“ სტილის კერამიკის ძირითადი ნაწილისათვის დამახასიათებელია მოვარდისფრო-ნარინჯისფერი, სუფთა კეცი და საკმაოდ კარგი ხარისხის ლაკი, რომელიც, როგორც წესი, შიდაპირზე ნარინჯისფერია, ზედაპირზე კი შავად ან წაბლისფრადაა აჭრელებული. აღნიშნული ტექნოლოგიური ნიშნების საფუძველზე ეს ჯგუფი პერგამონს უკავშირდება.

პ ე რ გ ა მ ო ნ უ ლ ი კერამიკა თასების ნატეხებითაა წარმოდგენილი. მხოლოდ ერთი ნატეხი შეიძლება დაუკავშირდეს დოქს. იგი შავლაკიანია, შემკულია შეთხელებული თიხით დატანილი მძივ-

<sup>22-23</sup> H. Thompson, სურ. 88, E 59, გვ. 399.



საკიდების სარტყლით (ტაბ. V,1). დანარჩენი ნატეხებიდან ოთხი ძალზე მცირე ზომისაა. მათი საშუალებით ჭურჭლის მოყვანილობის გრაფიკული აღდგენაც კი არ ხერხდება. ოთხივე ნიმუში შემკულია სტილიზებული მცენარეული ორნამენტით (ტაბ. V, 3; VI,3). სამი ნატეხი კი თასების პირებს განეკუთვნება.

მათგან ერთი (3—52/53), პირგადაშლილი, მაღალყელიანი კანთაროსი, შემკულია ამოკაწრულ-რომბული ბადით (საღებავის კვალი არ შეინიშნება), მეორე — პირმოპრგვალელებული თასი — სუროს ამოკაწრული გამოსახულებით (ნატეხი მცირე ზომისაა, მასზე მხოლოდ სუროს ფოთოლი და უღვაშია შემორჩენილი საღებავის კვალი არც ამ ნიმუშზე შეინიშნება) (იხ. ტაბ. VI, 2).

მეორე, შედარებით უკეთ მოღწეულ კანთაროსზეც (07—1—74/138) სუროს გამოსახულებაა დატანილი. იგი ცილინდრულკორპუსიანია, შემსხვილებულკიდიანი, ყურზე დაძერწილი აქვს სუროს რელიეფური ფოთოლი. შიდა პირი წითელი ლაკით აქვს დაფარული, გარედან წაბლისფრადაა აკრელებული. კედლები შემკული აქვს ამოკაწრული და წერტილოვანი სარტყლებით შემოჩარჩობებული სუროს ორმაგი გირლანდით. სუროს ყვავილები თეთრი საღებავითაა დატანილი (ამჟამად საღებავი ნაწილობრივია შემორჩენილი), ყლორტები და ფოთლები ამოკაწრულია და მერე საღებავით დაფარული (ტაბ. IV, 4; VI, 1).

გარდა პერგამონული ნაწარმისა ვანში დამოწმებულია ისეთი ნიმუშებიც, რომელთაც განსხვავებული ტექნოლოგიური თავისებურებები აქვთ. კერძოდ, მათთვის დამახასიათებელია ძალიან წმინდა, მოწაბლისფროდ გამომწვარი კეცი და მქრქალი შავი ლაკი. ამ ნიმუშების ზუსტი წარმომავლობის განსაზღვრა არ ხერხდება, ისინი ზოგადად მცირეაზიურ ნაწარმად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ამგვარი კერამიკის ორი ნატეხია დამოწმებული ვანში, ერთი შემკულია, ამოკაწრული მოზრდილი კვადრატებით და წვრილი რომბული ბადით შედგენილი ფრიზით; მეორე — ამოკაწრულ სარტყლებს შორის მოთავსებული სამკუთხედებით (ტაბ. V,4).

განხილული კერამიკისათვის უშუალო პარალელები არ მოგვეპოვება. მაგრამ შემკულობის, ლაკის ხარისხის, აგრეთვე ნაწარმის საერთო ხასიათის საფუძველზე ეს ჯგუფი ძვ. წ. III ს. ბოლოთი და ძვ. წ. II ს. უნდა დათარიღდეს. ამგვარი დათარიღების თვალსაზრისით აღსანიშნავია ტარზუსში აღმოჩენილი კერამიკა, რომელიც რამდენადმე განსხვავებული სახეებითაა შემკული, მაგრამ საერთოდ

ვანში აღმოჩენილი კერამიკის ანალოგიურია და ძვ. წ. III ს. მეორე ნახევრითა და ძვ. წ. II ს. თარიღდება<sup>24</sup>.

ლაკის ფონზე საღებავით მოხატულ ნაწარმში ზოგჯერ გამოჰყოფენ კერამიკას, რომელიც საღებავით შესრულებული ორნამენტის გარდა სიგრძივი ღარებით და რელიეფებითაა შემკული. ამგვარი კერამიკა სამეცნიერო ლიტერატურაში თავდაპირველი ადგილის აღმოჩენის მიხედვით „კალენის“ ტიპის სახელით შევიდა.

„კალენის“ ტიპის კერამიკა განსაკუთრებით დიდ მოწონებაში იყო დასავლურბერძნულ სამყაროში. ხმარებაში იყო როგორც მონუმენტური, ისე მცირე ზომის კურკელი, რომელიც გამოირჩეოდა უხვი შემკულობითა და საზეიმო იერით. ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებული ნაწარმიდან მის ანალოგიურად ე. წ. „გოფირებულ“ კერამიკას მიიჩნევენ<sup>25</sup>.

„გოფირებული“ კერამიკა ვანში მცირე რაოდენობით გვხვდება. აღმოჩენილია რამდენიმე ნახევარსფერული თასისა და კანთაროსის კედლის ნატეხი. ნატეხები შემკულია არათანაბრადგანლაგებული სიგრძივი ღარებით. მოხატულობის კვალი არ შეინიშნება. შესაძლებელია ეს გარემოება მათი ცუდი დაცულობით აიხსნას — უმეტესობას ლაკის ფენა მთლიანადაა აქვს შემოცლილი ან ძალიან მცირე ზომისაა.

აღნიშნული ნიმუშების ერთი ნაწილი მოვარდისფრო სუფთა მკვრივი კეცისა და ნარინჯისფერი ლაკის მიხედვით პერგამონს უკავშირდება (ტაბ. V, 5, №№ 3—66/139, 66/472, 3—5, 3—66/145). ნაწილი კი შეიძლება ზოგადად განისაზღვროს, როგორც მცირეაზიური (ტაბ. V, 6, 7).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ვანში აღმოჩენილი სიგრძივი ღარებით შემკულ კერამიკაში ჩნდება ისეთი ნიმუშები, რომლებიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან, კერძოდ, მათი კეცი მოწითალოდ ან ნაცრისფრადაა გამომწვარი, ზედაპირი ან გაპრიალებული აქვთ ან თხელი, მქრქალი, საფარველით აქვთ დაფარული. ამგვარი ნაწარმის რომელიმე ტრადიციულ ცენტრთან დაკავშირება არ ხერხდება. როგორც ჩანს, ეს კერამიკა რომელიმე ლო-

<sup>24</sup> Tarsus, I, გვ. 29, 218, II, სურ. 124 (99, 100, 102, 103, 105, 107, 110). სურ. 126 (124).

<sup>25</sup> В. Д. Блаватский, История античной расписной керамики, с. 249.

კალური მნიშვნელობის მქონე საწარმოდან მომდინარეობს. გამორიცხული არ არის, რომ ეს ცენტრი პონტოს აუზს დაუკავშირდეს.

ამგვარი ნაწარმიდან აღსანიშნავია ორი პირგადაშლილი კანთაროსისებური ჭურჭლის ნატეხი რომლებიც შემკული არიან სოლისებური სიგრძივი ღარებით. მათგან ერთს აქვს წითლად გამომწვარი, კირქვანარევი კეცი, დაფარულია თხელი, თითქმის შეუმჩნეველი საფარველით (ტაბ. X, 4). მეორე კი — ნაცრისფერკეცინია, ზედაპირგაპრიალეებული (ტაბ. X, 3); იგი გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ბოსფორულ ნაწარმთან.

ვანში აღმოჩენილი მხატვრული კერამიკის განხილული ჯგუფი აღმოჩენის პირობებისა და ტარზუსის პარალელური მასალით ძვ. წ. II ს. უნდა დათარიღდეს<sup>26</sup>.

2. რელიეფური კერამიკა. ელინისტურ ხანაში ბერძნულ სამყაროში გავრცელებული იყო რელიეფური კერამიკის ორი სახეობა — რელიეფებით შემკული და დაყალიბებული კერამიკა.

დაყალიბებული კერამიკა განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული. ამგვარი კერამიკის საყოველთაოდ აღიარებულ სახეობად თასები გვევლინება, უფრო იშვიათია კანთაროსები, ლაგინოსები, ღოჭები.

ყალიბში დამზადებული თასები სპეციალურ ლიტერატურაში „მეგარულ“ თასებად იწოდება. ამ სახელწოდების დამკვიდრება მათი თავდაპირველი აღმოჩენის ადგილის სახელს უკავშირდება.

დაყალიბებული კერამიკის წარმოების მთავარი ელემენტი თიხის ყალიბი იყო. თასებისათვის მას ნახევარსფეროსებური ფორმისას აკეთებდნენ. დახურული ჭურჭლისთვის მხოლოდ რელიეფებით შემკული ნაწილებისათვის ამზადებდნენ შესაბამისი ფორმის ყალიბს.

ყალიბში ნეგატურ ანაბეჭდს ან ცალკეული ტვიფრებით აკეთებდნენ, ან უშუალოდ ლითონის ჭურჭლიდან იღებდნენ. ტვიფრების დასამზადებლად ორნამენტს ჯერ ხეში ჰკრიდნენ. ხის ფორმიდან კი თიხის ტვიფრს ამზადებდნენ. ყალიბის დამზადების შემდეგ ყალიბში წნებდნენ ჭურჭლის დასამზადებელ თიხას და ჩარხის საშუალებით აძლევდნენ ფორმას. თასები მთლიანად ამოჰყავდათ. დახურულ ჭურჭელს კი ნაწილ-ნაწილ ამზადებდნენ. ჭურჭელს ყალიბში მანამდე ტოვებდნენ, ვიდრე ტყავის სიმაგრის არ გახდებოდა. ამის შემდეგ ყალიბიდან იღებდნენ და ფარავდნენ ლაკით.

ერთი ყალიბიდან რამდენიმე ჭურჭლის დამზადება შეიძლებო-

<sup>26</sup> Tarsus, I, II, ტაბ. 124 (104—112); ტაბ. 125 (115, 117). გვ. 218—219.  
3. ნ. მათიაშვილი

და. რამდენჯერმე გამოყენების შემდეგ ყალიბის რელიეფი ცვლებოდა და ყალიბიც ხმარებიდან გამოდიოდა<sup>27</sup>.

დამზადების ზემოაღწერილი ტექნიკა მწარმოებლისაგან განსაკუთრებულ მხატვრულ ნიჭს არ საჭიროებდა. ამგვარი კერამიკის დამზადება ყველა ჩვეულებრივ ხელოსანს შეეძლო. ეს გარემოება რელიეფური კერამიკის მრავალ ადგილზე წარმოებას განაპირობებდა. ყალიბში დამზადებული კერამიკის წარმოების კვალი მრავალ პუნქტშია დამოწმებული. კერამიკის აღნიშნული სახეობა გარდა ატიკისა, მცირე აზიისა, იტალიისა... მზადდებოდა ბოსფორის სამეფოში, აკვენკუმში და სხვა მრავალ პერიფერიულ ცენტრში<sup>28</sup>. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაწარმი არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, ჭურჭელი მოყვანილობითა და შემკულობითაც კი ტრაფარეტულია. ამ გარემოებას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ გაჭონდათ არა მარტო ცალკეული ტვიფრები, არამედ მთლიანი ყალიბებიც კი. არსებობს მოსაზრება საგანგებოდ ყალიბების დამამზადებელი ცენტრების არსებობის შესახებ. მიაჩნიათ, რომ ერთდროულად მრავალი კერამიკული სახელოსნო მარაგდებოდა ამგვარი ცენტრების მზა პროდუქციით. ამას გარდა, დასტურდება უშუალოდ თიხის ჭურჭლიდან ყალიბების აღების შემთხვევებიც<sup>29</sup>. ამიტომ დაყალიბებული კერამიკის საწარმოო ცენტრების დადგენა განსაკუთრებულ სიძნელებთანაა დაკავშირებული.

დღესდღეობით, შედარებით უკეთ შესწავლილად ითვლება დელოსური, ატიკური და მცირეაზიური ნაწარმი. დელოსური თასების დამახასიათებელ თავისებურებად მიჩნეულია შედარებით დაბალი კორპუსი, სადა, ოდნავ შიგნით გადახრილი კიდე და ორნამენტის ჰორიზონტალური განლაგება<sup>30</sup>.

ატიკური კერამიკის განმასხვავებელ ნიშნებად ჰ. თომპსონი

---

<sup>27</sup> დაყალიბებული კერამიკის ტექნოლოგიის შესახებ. *ჩიხ. Н. Т h o m p s o n*, დასახ. ნაშრ., გვ. 451—459; *P. V. B a u r*, *Magarjan Bowls in the Bebece Darlington stoddard Collection of greek and Itaiian vases in Yele Iniversiti*, A. CA, 1941, 2. 245—248.

<sup>28</sup> *В. Д. Б л а в а т с к и й*, *О производстве «мегарских» чаш на Боспоре*, КСНМК, 75, 1959; *Н. М. Л о с е в а*, *Об импорте и местном производстве мегарских чаш на Боспоре*, МИА, 103, стр. 155; *И. Г. Ш у р г а я*, *О производстве эллинистической рельефной керамики на Боспоре*, МАСП, 4, Одесса, 1962.

<sup>29</sup> *И. Г. Ш у р г а я*, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

<sup>30</sup> *Т. Н. К и н и п о в и ч*, დასახ. ნაშრ., გვ. 271.

სთვლის ღრმა, კვერცხის ფორმის კორპუსს, შვეულად დაყენებულ სადა კიდესა და ორნამენტის ვერტიკალურ განლაგებას<sup>31</sup>.

მცირეაზიური ნაწარმისათვის დამახასიათებლად ითვლება გარეთ გადაშლილი პირი, თანაბრად მომრგვალებული კორპუსი და ორნამენტის თავისუფალი განლაგება.

ვანში დაყალიბებული კერამიკა „მეგარული“ თასების ნატეხებითაა წარმოდგენილი. მათი უმეტესობა ნაცრისფერკეციანია, ნაწილი დაფარულია მქრქალი შავი ლაკით, ნაწილი კი საფარველის გარეშეა.

მოყვანილობის მიხედვით აღნიშნულ კერამიკაში გამოიყოფა ატიკური დელოსური, მცირეაზიური, პერგამონული და ბოსფორული ნაწარმი.

ატიკური წარმომავლობისაა მხოლოდ ერთი ნიმუში (0—7—1—73/243). იგი შავლაკიანია, კვერცხისებურკორპუსიანი, შვეულკიდიანი. კორპუსის ზედა ნაწილი შემკული აქვს ასტრაგალებითა და რელიეფური წერტილებით გამიჯნული წნულის ორმაგი სარტყლებით; ქვედა ნაწილი დაფარული აქვს თოთხმეტფურცლიანი ვარდულით და მის ირგვლივ თევზის ქერცლისებური განლაგებული ლოტოსის ფოთლებით (ტაბ. VII,1). ჭურჭელი ჰისტრიაში აღმოჩენილი ანალოგიური თასის მიხედვით ძვ. წ. II ს. შუა ხანებით თარიღდება<sup>32</sup>.

დელოსური ჯგუფი სამ ნიმუშს აერთიანებს. ერთისგან (3—69/288) პირკედლის მცირე ნაწილია გადარჩენილი. მას აქვს ძლიერ ქარსისებული კეცი, დაფარულია მქრქალი შავი ლაკით; შემკულია რელიეფურ სარტყლებს შორის მოქცეული „ოვ“-ების ფრიზით („ოვ“-ები ქედებით შემოსაზღვრული შემადლებებითაა გადმოცემული) (ტაბ. VIII,4) ანალოგიურია ტანაისსა და მირმეკიონში აღმოჩენილი ძვ. წ. II ს. დათარიღებული ნიმუშებისა<sup>33</sup>.

მეორისაგან (3—65/175) ძირის მცირე ნატეხია შემორჩენილი. იგი ბრტყელძირიანია; დაბალქუსლიანი; კედლები შემკული აქვს ქერცლისებურად განლაგებული წიწვისებური ორნამენტით (ტაბ. VIII,3). მირმეკიონში აღმოჩენილი ანალოგიური ორნამენტით შემკული თასის<sup>34</sup> მიხედვით ძვ. წ. II ს. თარიღდება.

<sup>31</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 457.

<sup>32</sup> Histria, II, Bucurest, 1966, ტაბ. 97, XXXVII, 10.

<sup>33</sup> K. Michalowski, Miimeki, Wr., 1956, ტაბ. XVI v.; Д. Б. Шелов, Находки в Танаисе «мегарских» чаш, Анти. АДПП, Москва, 1969, № 31.

<sup>34</sup> K. Michalowski, დასახ. ნაშრ., ტაბ. Xa.

მესამე ნიმუში უკეთაა მოღწეული (07.1.73/258). მას აქვს დაბალი ნახევარსფეროსებური კორპუსი, ოდნავ შიგნით გადახრილი პირის კიდე; შემკულია ჰორიზონტალურად განლაგებული ორნამენტით — პირს ქვემოთ ლესბიური ქიმატიონის სარტყელია. დატანილი, ჭურჭლის შუა ნაწილი დაფნის რტოების გირლანდითაა შემკული, ქვედა ნაწილზე ცენტრალური ვარდულის ირგვლივ ერთმანეთის მონაცვლეობით აკანთოსის და ლოტოსის ფოთლებია განლაგებული (ცენტრალური ვარდულისაგან მხოლოდ შემომსაზღვრელი ქედებია შემორჩენილი (ტაბ. VIII, 2). თიხა მოყვითალოა, ქარსისებური, ლაკი წითელია, შავდაკრელებული. ჭურჭელი ჩრ. შავიზღვისპირეთის ქალაქებში აღმოჩენილი ნიმუშების მიხედვით ძვ. წ. II ს. თარიღდება<sup>35</sup>.

მ ც ი რ ე ა ზ ი უ რ ი „მეგარული“ თასები შედარებით მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი. მათთვის ზოგადად დამახასიათებელია ღრმა, ნახევარსფეროს ფორმის კორპუსი, გარეთ გადაშლილი პირი, მოლურჯო-ნაცრისფრად გამომწვარი სუფთა კეცი, ლაკით დაუფარავი ზედაპირი, მსუბუქი, თავისუფლად აგებული რელიეფი.

აღნიშნული ნიმუშებიდან ნაწილი შემკულია სტილიზებული მცენარეული ორნამენტით — რადიალურად განლაგებული ენისებური ფოთლებით (ტაბ. X, 1), ან ენისებურ ფოთლებს შორის მოთავსებული აკანთოსის გამოსახულებით (ტაბ. IX, 1). ნაწილი კი ნატურალისტური მანერით შესრულებული რელიეფითაა დაფარული. მათგან ერთზე აკანთოსის ყვავილის გამოსახულებაა შემორჩენილი (ტაბ. X, 2), მეორეზე სუროს აყვავებული რტო (ტაბ. VII, 3; IX, 2). ამ უკანასკნელებზე ორნამენტი თავისუფლადაა განლაგებული, რელიეფი დახვეწილია და გამოირჩევა ნატიფი შესრულებით.

მოყვანილობითა და ორნამენტის ხასიათით ვანში აღმოჩენილი მცირეაზიური თასები ძვ. წ. II ს. თარიღდებიან. ამგვარი დათარიღების საფუძველს იძლევა პარალელური მასალაც. მათგან აღსანიშნავია ათენის აგორის D და E ცისტერნებიდან მომდინარე ცალეები, რომლებიც შემკულია დაგრძელებული ფოთლებითა და აკანთოსის გამოსახულებით<sup>36</sup>. აგრეთვე ტარზუსში აღმოჩენილი ნიმუშები,

<sup>35</sup> Д. Б. Шелов, *დასახ. ნმრ.*, I, 25, 29; Н. А. Онайко, *Античный импорт в Приднепровье и Побужье (IV—II вв. до н. э.)*. САИ, Д—27, ტაბ: XI, 372 а.

<sup>36</sup> Н. Thompson, *დასახ. ნმრ.*, სურ. 93, E 74, სურ. 94, E 75, სურ. 96, E 79, სურ. 70, Д 39, სურ. 71, Д 40.

რომელთაგან ნაწილი დაგრძელებული ფოთლებითაა შემკული, ნაწილი — სუროს გამოსახულებით<sup>37</sup>.

ბერგამონული დაყალიბებული კერამიკა განსაკუთრებით მცირერიცხოვანია. სულ ორი ნიმუშია აღმოჩენილი. მათგან ერთი კედლის მცირე ნატეხია, შემკულია „კვანძოვანი“ ორნამენტით, მეორე კანთაროსის პირისაა. მასზე შემორჩენილია წერტილოვანი ორნამენტის სარტყელი. იგი უახლოვდება ოლბიაში, ძვ. წ. III—II სს. ფენაში აღმოჩენილ თასს, რის საფუძველზეც ძვ. წ. II ს. თარიღდება<sup>38</sup>. პირველი ნიმუშიც ათენის აგორისა და ტარზუსის პარალელური მასალით აგრეთვე ძვ. წ. II ს. მიეკუთვნება<sup>39</sup>.

ბოსფორული იმპორტი ერთი, საკმაოდ კარგად მოღწეული ნიმუშითაა წარმოდგენილი (3—66/332). იგი მცირე ზომისაა, დაბალი ნახევარსფეროს ფორმის; აქვს ოდნავ შემსხვილებული პირის კიდე; შემკულია რელიეფურ წრეში მოთავსებული ცხრაფურცლიანი ფარდულით და „თევზისქერცლისებური“ ორნამენტით (ტაბ. VII,2, VIII,1). ორნამენტი არამკვეთრია. ადგილებში დაოღვეულია და ნაწილობრივ წაშლილიც კია. დარღვეული რელიეფის კონტურები ხელოსანს სტეკით გაუმკვეთრებია. კედლებზე დეფექტები საკმაოდ ოსტატურადაა დაფარული, ძირი კი ნაკლები გულმოდგინებითაა მოდელირებული. ჭურჭელს აქვს ბოსფორული ნაწარმისათვის დამახასიათებელი ძალიან მკვრივი, ნაცრისფრად გამომწვარი კეცი და გაპრიალებული ზედაპირი<sup>40</sup>. იგი თანმხლები მასალით ძვ. წ. II ს. თარიღდება<sup>41</sup>.

რელიეფური კერამიკის მეორე სახეობის — ცალკე ყალიბებში დამზადებული რელიეფებით შემკული კერამიკის წარმოების ძირითადი ელემენტი აგრეთვე

<sup>37</sup> T a r s u s, I, II, სურ. 120/163—164, (სურ. 129/153, 152), გვ. 221—225.

<sup>38</sup> Е. И. Л е в и, Керамический комплекс III—II вв. до н. э. из раскопок Ольвийской агоры. Ольвия, 1964, с. 250, рис. 13.

<sup>39</sup> Н. Т h o m p s o n, დასახ. ნაშრ., სურ. 47, С 29, სურ. 49 С 53; II, სურ. 139 Д.

<sup>40</sup> ბოსფორული რელიეფური კერამიკის შესახებ, იხ. В. Д. Б л а в а т с к и й, О производстве «мегарских» чаш в Пантикапее, КСИИМК, 75, 1959, გვ. 74 და შემდ.; Н. М. Л о с е в а, Импорт и местное производство «мегарских» чаш на Боспоре, МИА, 103, 1962, გვ. 204 და ზეგდ., В. Ф. Г а й д у к е в и ч, Мирмекии, Варшава, 1959, с. 78.

<sup>41</sup> ეანი I, 1972, გვ. 168.

ყალიბი იყო. ყალიბებს უმთავრესად მცირე ხელოვნების ძეგლები-დან იღებდნენ. ყალიბში ამზადებდნენ ცალკეულ რელიეფებს, რომლებსაც სანახევროდ გაშრობის შემდეგ სანახევროდვე გამშრალი ჭურჭლის ზედაპირზე აძერწავდნენ.

შემკობის ამგვარი ხერხი ჰედური რელიეფების იმიტაციას ისახავდა მიზნად და, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიზანი თავისებური ელვარების მქონე ლაკით დაფარვისა და გამოწვის შემდეგ მნიშვნელოვან ეფექტს იძლეოდა.

ამგვარ კერამიკას ძირითადად პერგამონში ამზადებდნენ. სხვა ცენტრებში ცალკე რელიეფით შემკობას მეორადი მნიშვნელობა ჰქონდა და საღებავით მოხატულ ორნამენტს ექვემდებარებოდა.

ვანში რელიეფებით შემკული კერამიკა კანთაროსების კედლების ნატეხებითაა წარმოდგენილი.

ერთი მათგანი, რომელიც პირგადაშლილ ცილინდრულკორპუსიან კანთაროსს განეკუთვნება (3—566/108), შემკული ყოფილა ე. წ. ბაქხიური სცენით. ნატეხზე შემორჩენილია სცენის ერთი დეტალი — ჯორზე უკულმა მჭდომი ნიღბიანი დიონისე — ბავშვი (ტაბ. XI,1).

სხვა ნიმუშები (3—61/10, 3—66/205, 3—66/380, 3—72/325) შემკულია სუროს ფოთლების, ნაყოფისა და ყვავილების გამოსახულებით (ტაბ. XI, 3—7). ნატეხები მცირე ზომისაა მხოლოდ ერთია შედარებით კარგად მოღწეული. ამ ნიმუშის მიხედვით ჭურჭელს მომრგვალებული ღრმა კორპუსი, მაღალი ყელი და გარეთ მკვეთრად გადახრილი პირი ჰქონია (ტაბ. XI,2).

განხილული ნიმუშები გარედან შავი, შიგნიდან წითელი ლაკითაა დაფარული. ყველას აქვს მოვარდისფროდ გამომწვარი, სუფთა, მკვრივი კეცი. აღნიშნული ნიმუშებითა და შემკულობის ხასიათით ეს ჯგუფი პერგამონს უკავშირდება და ძვ. წ. II ს. თარიღდება. ამგვარი დათარიღების საფუძველს იძლევა პარალელური მასალა<sup>42</sup> და აღმოჩენის პირობები. აღნიშნული ნიმუშები დამოწმებულია ალიზიანი ფენის ქვემოთ, მოყვითალო თიხნარ ფენაში, ძვ. წ. II ს. შავ-ლაკიან კერამიკასთან ერთად.

3. ღ ი ა ფ ე რ ი ს ფ ო ნ ზ ე მ უ ქ ი ს ა ღ ე ბ ა ვ ი თ მ ო ხ ა ტ უ ლ ი კ ე რ ა მ ი კ ა საერთო ხასიათით სრულიად განსხვავდება ზემოთ

<sup>42</sup> В. Ф. Га й д у ж е в и ч, Мирмекии, с. 77, рис. 82; И. Г. Ш у р - г а я, Позднеэллинистические рельефные кубки из Мирмекии, КСИА, 1963, 95, с. 110, рис. 42, 78.



განხილული ნაწარმისაგან. მის წარმოებაში კერამიკული ტრადიციები უცვლელად შემორჩა და, ამდენად, იგი ამ ტრადიციების გამგრძელებელი დარჩა. მიაჩნიათ, რომ ამგვარი ნაწარმის ხმარებაში შემოსვლა არქაული, იონური კერამიკის აღორძინების ცდასთან იყო დაკავშირებული<sup>43</sup>.

მუქი საღებავით მოხატული კერამიკის გავრცელებული სახეობაა დოქები, პელიკები, ამფორები. შემკულობად ძირითადად ჰორიზონტალური სარტყლები და სტილიზებული მცენარეული ორნამენტი გამოიყენებოდა. იშვიათად მიმართავდნენ რთული მითოლოგიური სიუჟეტებით შემკობასაც. მოხატვის წინ ჭურჭელს ღია ფერის თეთრი, მოთეთრო ან მოყვითალო ანგობით ფარავდნენ.

მხატვრული კერამიკის აღნიშნულ სახეობას უმთავრესად მცირე აზიასა და ეგვიპტეში ამზადებდნენ. პერიფერიული ცენტრებიდან აღსანიშნავია ჩრდ. შავიზღვისპირეთის ქალაქები<sup>44</sup>.

ვანში მუქი საღებავით მოხატული იმპორტული კერამიკა მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ეს ჯგუფი დოქებისა და სუფრის ჭურჭლის ნატეხებითაა წარმოდგენილი.

დოქების ნატეხები ძალზე მცირერიცხოვანი და ფრაგმენტულია. მათთვის დამახასიათებელია მოწაბლისფეროდ გამომწვარი, ქარსისებული კეცი, მოთეთრო, არამდგრადი ანგობის ფონზე დატანილი მოწაბლისფრო ან მოწითალო სარტყლებით შემკული ზედაპირი (ტაბ. XII, A).

ამგვარ: კერამიკას ამზადებდნენ ელინისტური სამყაროს მრავალ, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ცენტრში. ეს გარემოება და ვანში აღმოჩენილი ნიმუშების მცირე ზომები მათი ზუსტი განსაზღვრის საშუალებას არ იძლევიან. აღნიშნული კერამიკა მხოლოდ პირობითად შეიძლება დაუკავშირდეს მცირე აზიის (შესაძლოა პონტის აუზის) რომელიმე ლოკალური მნიშვნელობის საწარმოს და ზოგადად გვიანელინისტური ხანით დათარიღდეს.

სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია სათევზე ლანგრებისა და თეფშების ნატეხებით, რომელთაც ზედაპირი თეთრი ფერის მკვრივ ანგობზე დატანილი შავი ან წაბლისფერი ლაკის ფართო ზოლებით აქვთ შემკული (ტაბ. XII, B).

<sup>43</sup> Т. Н. Книпович, Из истории художественной керамики север. Причерноморья, СА, VII, 1941, с. 140—151; მისივე, Художественная керамика в городах север. Причерноморья, «Античные города север. Причерноморья», М.-Л., 1955, с. 380 და შემდ.

<sup>44</sup> Т. Н. Книпович, Художественная керамика.... с. 371—372.

ანალოგიური კერამიკა გავრცელებული იყო შავიზღვისპირეთის ქალაქებში. აღმოჩენილია აპოლონიაში<sup>45</sup>, ჰისტრიაში<sup>46</sup>, ხერსონესში<sup>47</sup>, სოხუმში<sup>48</sup>, ძვ. წ. III—II სს. მასალასთან ერთად. ამდენად, სუფრის ქურჭლის აღნიშნული სახეობა ძვ. წ. III—II სს. თარიღდება.

რაც შეეხება ამ კერამიკის საწარმოო ცენტრს, იგი დღესდღეობით განსაზღვრული არაა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნიმუშები კეციტა და შემკულობით დიდ მსგავსებას ავლენენ ალექსანდრიული წარმომავლობის „ჰადრას“ სტილის კერამიკასთან, გარკვეულ საფუძველს იძლევა, მათი ამ ცენტრიდან მომდინარეობის მტკიცებისათვის.

წარმოდგენილი ჯგუფებით ამოიწურება ვანში აღმოჩენილი ელინისტური ხანის მხატვრული კერამიკა.

### გ) წ ა ბ ლ ის ფ ე რ ლ ა კ ი ა ნ ი კ ე რ ა მ ი კ ა

აღმოსავლურ ბერძნულ სამყაროში, ელინისტურ ხანაში, ხმარებაში იყო სუფრის ქურჭლის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში წაბლისფერლაკიანი კერამიკის სახელწოდებითაა ცნობილი. წაბლისფერლაკიანი კერამიკა წინ უსწრებდა წითელლაკიანი კერამიკის დამკვიდრებას და შავლაკიან კერამიკასთან ერთად თანაარსებობდა. მის ხმარებაში შემოსვლას ზოგჯერ შემთხვევითობით ხსნიან, ზოგჯერ კი აღმოსავლური გემოვნების გავლენას უკავშირებენ<sup>49</sup>.

ვანის ნაქალაქარზე ამგვარი კერამიკა მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, წარმოდგენილია ძირითადად პერგამონული ნაწარმით. მათგან აღსანიშნავია ნახევარსფერული თასების საფეხურებად შემალღებული ქუსლები, სათევზე ლანგრისა და შვეულპირიანი თევზის ნატეხები (ტაბ. XV, 1—8). გარდა ამისა, აღმოჩენილია ატიკურა

<sup>45</sup> Т. Иванов, Античная керамика из некрополя Аполонии, Аполония, София, 1963, стр. 232, таб. 98 (373).

<sup>46</sup> Hustria, II, 92, XXXIV, 12.

<sup>47</sup> Г. Д. Белов, С. Ф. Стржелецкий, Херсонес, кварталы XV—XVI, МИА, 34, М.-Л., 1953, стр. 37, стр. 70.

<sup>48</sup> იხ. ნიმუშ. საივ. №—59/2104.

<sup>49</sup> D. H. Cox, The greek and Roman pottery, Excavations at Dura-Europos, 1949, Final Report, IV, Part I, 31, 7.

თეფშების ორიოდ ნატეხი. ყველა ნიმუში პარალელური მასალით  
ძვ. წ. II ს. შუა ხანებით თარიღდება<sup>50</sup>.

### დ) წითელლაკიანი კერამიკა

წითელლაკიანი კერამიკა ვანის ნაქალაქარის გვიანელინისტური  
ხანის ფენებში განსაკუთრებით მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი,  
მაგრამ დღემდე იგი საგანგებოდ შესწავლილი არაა. აღნიშნული  
მასალის შესახებ მხოლოდ გათხრების ანგარიშებშია დაცული ზო-  
გადი ხასიათის ცნობები<sup>51</sup>.

საერთოდ, ჩვენში გვიანელინისტური ხანის წითელლაკიანი კე-  
რამიკა შესწავლილი არაა. ტ. კნიპოვიჩის<sup>52</sup>, ლ. სილანტიევას<sup>53</sup>,  
რ. ფუთურიძის<sup>54</sup>, ოთ. ლორთქიფანიძის<sup>55</sup>, ქ. ბერტენიშვილის<sup>56</sup> ნაშ-  
რომებში მხოლოდ რომაული ხანის ნაწარმია წარმოდგენილი.

საზღვარგარეთულ არქეოლოგიაში კი აღნიშნული მასალა ფარ-  
თოდაა განხილული, აღსანიშნავია რ. ცანის<sup>57</sup>, რ. პავენშტეხერის<sup>58</sup>,  
ალ. კონცეს<sup>59</sup>, ო. ვააგეს<sup>60</sup> ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილია

<sup>50</sup> დაწერილებით ამ კერამიკის შესახებ იხ. ნ. მათიაშვილი, რეპორტუ-  
ლი კერამიკის ერთი ჯგუფი ვანიდან, „მაცნე“, 6, 1966, გვ. 201 და შუგლ.

<sup>51</sup> ვანი, I, თბ., 1972.

<sup>52</sup> T. Knipowitsch, Untersuchungen zur Keramik römischer Zeit aus den Grichenstädten an der Nordküste des Schwarzen Meer, I, Die Keramik römischer Zeit aus Olbia in der Sammlung der Ermitage, Materialien zur Römisch-Germanischen Keramik, IV, 1929; მისივე, Краснолаковая керамика первых веков н. э. из раскопок Боспорской экспедиции 1935—1940 гг. МИА, 25, М., 1955.

<sup>53</sup> Л. Ф. Силантьева, Краснолаковая керамика из раскопок Ил-  
урата, МИА, 85, М.-Л., 1958.

<sup>54</sup> რ. ფუთურიძე, წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველ ციხის ტე-  
რიტორიიდან, მსკა, ტ. IV, 1965.

<sup>55</sup> ოთ. ლორთქიფანიძე, ბიკვინტის წითელლაკიანი კერამიკა, საქ. სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის საზ. ზეც. განყოფილების მოამბე, I, 1962.

<sup>56</sup> ქ. ბერტენიშვილი, ბიკვინტის წითელლაკიანი თიხის ქურქლის შეს-  
წავლისათვის 1952—53 წ. გათხრების მიხედვით, მსკა, III, 1963.

<sup>57</sup> R. Zahn, Thongeschirr, Priene, 1904, გვ. 441 და შუგლ.

<sup>58</sup> R. Pagenstecher, Die Defäßen in Stein und Thon, Expedition  
Ernst von Sieghn, Ausgrabungen in Alexandria, 1913, II, გვ. 108 და შუგლ.

<sup>59</sup> A. Conze, Tongefäßen, Altertum von Pergamon, B. I, 2, 1913, p.  
226, და შუგლ.

<sup>60</sup> O. Waage, The Roman and Byzantine Pottery. Hesperia, II, 1933,  
2; Hellenistic and Roman Tableware of North Syria, Antioches-or-Orontos, IV,  
1954.

წითელლაკიანი კერამიკის საწარმოო ცენტრებისა, და თარიღის საკითხები, მოცემულია მასალის კლასიფიკაციაში<sup>61</sup>. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ო. ვააგეს 1954 წ. გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია გვიანელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკის თავდაპირველი საწარმოო ცენტრის და თარიღის დადგენასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

აღნიშნულ ნაშრომში გვიანელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკა გამოყოფილია რომაული ხანის Sigillata-საგან. მის წყაროდ შევლაკიანი კერამიკაა გამოცხადებული, ხოლო გავრცელების არეალად მხოლოდ აღმოსავლეთ ბერძნული სამყაროა მიჩნეული. თავდაპირველი საწარმოო ცენტრი (აღმოჩენების ტოპოგრაფიის საფუძველზე) ხმელთაშუაზღვისპირეთის უკიდურეს სამხ.-აღმოსავლეთ ნაწილთანაა (სავარაუდოდ ალექსანდრიასთან ან კვიპროსთან) დაკავშირებული, ხოლო ხმარებაში ყოფნის ხანად ძვ. წ. II ს. შუა ხანებსა და ახ. წ. დასაწყისის შორისი პერიოდია მიჩნეული<sup>62</sup>.

აღმოსავლური წითელლაკიანი კერამიკის წარმომავლობისა და თარიღის შესახებ მოსაზრებანი გაზიარებულია ჩარლსტონის<sup>63</sup>, რობინზონის<sup>64</sup> და შეფერის<sup>65</sup> ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში. ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის შესწავლაც აღნიშნულ გამოკვლევებზეა დაფუძნებული.

ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკა კეცისა და ლაკის თავისებურების საფუძველზე ორ ჯგუფად იყოფა.

პირველი ჯგუფის კეცი წმინდადაა განლექილი (ჩვეულებრივი თვალთ მინარევეები არ შეინიშნება), გამომწვარია ჩაღისფრად, იშვიათად მოვარდისფროდ. ლაკი ლუქის ფერია, მბრწყინავი, სქელი; ზოგჯერ ლაკის ეს ფენა კურკლის მთელ ზედაპირზეა დადებული, უმეტესად კი ზოლებადაა დაღვეთილი მოვარდისფრო, მქრქალი საფარველის ფონზე.

მეორე ჯგუფის კეციც კარგადაა განლექილი, მაგრამ შეინიშნება კირქვისა და ქარსის მინარევეები. გამომწვარია წაბლის-

<sup>61</sup> წითელლაკიანი კერამიკის შესწავლის შესახ. დაწვრილებით იხ. ნ. მათიაშვილი, წითელლაკიანი კერამიკა, ვანი, II, თბ., 1975.

<sup>62</sup> O. Waage, Hellenistic and Roman Pottery of North Syria, გვ. 22 და შემდ.

<sup>63</sup> R. Charlston, Roman Pottery, London, 1959.

<sup>64</sup> Robinson, Pottery of the Roman Period, The Athenian Agora, 1959.

<sup>65</sup> Y. Schefer, Terra Sigillata aus Pergamon, AA, 1962, 4.

ფრად, ზოგჯერ უთანაბროდ (გადანატეხში ნაცრისფერი შრე მოჩანს).

ლაკი მოწითალო-აგურის ფერია, დადებულია თანაბრად, მქრქალია. ზოგიერთ ნიმუშზე შეინიშნება მბრწყინავი ლაქები, რაც უფერული ჭიქურის კვალი უნდა იყოს. როგორც ჩანს, წითელლაკიანი კერამიკის ეს ჯგუფიც საფარველის ორი ფენით იფარებოდა.

განსხვავება კეცსა და ლაკში ორონტის-ანტიოქიის წითელლაკიან კერამიკაშიც შეინიშნება. ამ მოვლენას ო. ვააგე ჭურჭლის სხვადასხვა ტემპერატურაზე გამოწვით ხსნის და მთელს კერამიკას ერთ საწარმოო ცენტრს უკავშირებს<sup>66</sup>, მაგრამ ვანში აღმოჩენილ წითელლაკიან კერამიკაში გამოყოფილი განსხვავებული ტექნოლოგიური ნიშნების მქონე ჯგუფები მოყვანილობითაც გარკვეულ თავისებურებებს ავლენენ. ამასთანავე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, განსხვავება შეინიშნება წარმოდგენილი ჯგუფების გავრცელების სფეროებშიც. აქედან გამომდინარე მათი ერთი და იგივე საწარმოო ცენტრიდან მომდინარეობა საფუძველს მოკლებულად გვეჩვენება მით უმეტეს, რომ ვიზუალურად შენიშნული ტექნოლოგიური თავისებურებები ქიმიური ანალიზებითაც იქნა გამოვლენილი<sup>67</sup>.

ამის გამო ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკა წარმოდგენილ თავისებურებათა მონაცემების მიხედვით დავაჯგუფეთ, განსხვავებული კეცისა და ლაკის მქონე ჭურჭელი ცალ-ცალკე განვიხილეთ და სხვადასხვა საწარმოო ცენტრებს მივაკუთვნეთ.

პირველი ჯგუფი (ჩალისფერკეციანი კერამიკა) მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. წარმოდგენილია უპირატესად ლანგრებითა და ნახევარსფერული თასებით.

ლ ა ნ გ რ ე ბ ი ს ორი ნაირსახეობაა ცნობილი. პირველისათვის (ტიპი I) დამახასიათებელია მომრგვალებული, ქუსლიანი ძირი და ფართო ჰორიზონტალური კიდე. ეს ნაირსახეობა არაა ფართოდ გავრცელებული. ანტიოქიაში, მაგალითად, მხოლოდ რამდენიმე ნიმუშია აღმოჩენილი<sup>68</sup>. ვანში სულ ორი მცირე ნატეხია გამოვლენილი. ორივე ნატეხი ჭურჭლის პირისაა (ტაბ. XIII, 1) ეს ნიმუშები მთლიანადაა დაფარული ლუქისფერი მბრწყინავი ლაკით. წითელლაკიანი

<sup>66</sup> O. W a a g e, დასახ. ნაშრ., გვ 22.

<sup>67</sup> განსხვავება გამოვლენდა ქაშაურის ანალიზებითაც. იხ. ო. ფიცხელაუ რ ი, ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, მასალები ანტიკური პერიოდის თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიისათვის, ხელნაწერი, თბ., 1965, წ. შეად. ნიმუშ. 34, 35, 37, 38.

<sup>68</sup> O. W a a g e, დასახ. ნაშრ., ტაბ. IV, 137.

ლანგრების ეს ნაირსახეობა ადრეელინისტური ხანის შავლაკიანი კერამიკიდან მომდინარეობს.

ლანგრების მეორე (ტიპი II) ნაირსახეობა უფრო ფართოდაა გავრცელებული. აღმოჩენილია პრიენაში, ეფესოში, პერგამონში, დურა-ევროპოსში, სამარიაში, სამოსის ჰერაიონზე, ათენის აგორაზე, სოლში, ალექსანდრიაში და სხვ., აგრეთვე ჩრ. შავიზღვისპირეთის ანტიკურ ქალაქებშიაც (მირმეკიონი, ევატორია, პანტიკაპეონი). ჩვენში ამგვარი ლანგრები ვანს გარდა სოხუმში, ოჩამჩირესა და უფლისციხეშია ნაპოვნი.

ვანში ეს სახეობა უმთავრესად პირებისა და ძირების ნატეხებითაა წარმოდგენილი. მხოლოდ 1967 წ. აღმოჩნდა ასეთი კურკლის დაახლოებით მესამედი. მას აქვს დაბალი, ზემოთკენ შეთხლებული შეეული გვერდები, თითქმის ბრტყელი ძირი და ტრაპეციის ფორმის ჭრილის ქუსლი. ფსკერი შემკული აქვს „ფრჩხილოვანი“ ორნამენტით შედგენილი კონცენტრული წრეხაზებით, ზოგჯერ მსგავსი თეფშების ფსკერის შემკულობაში ნატეფრი პალმეტები და ვარდულებიც გვხვდება (ტაბ. XIII, 4, 5, 6, 7; იხ. ნიმუშები საინვეტ. № №-ის 3—59/9, 3—60/81, 3—47/494, 3—66/216, 3—66/326).

ლანგრების ეს სახეობა უმეტესად დაფარულია მოვარდისფრო ლაკის ფონზე ზოლებად დაღვენთილი ლუქისფერი ლაკით.

ნ ა ხ ე ვ ა რ ს ფ ე რ უ ლ ი თ ა ს ე ბ ი (ტიპი III) ვანში მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. დამოწმებულია პირისა და ძირის რამდენიმე ნატეხი. მათთვის დამახასიათებელია მომრგვალებული ძირი, ირიბადღახრილი გვერდები და ტრაპეციის ჭრილის მქონე ქუსლი (ტაბ. XIII, 9—12; იხ. ნიმუშები საინვენტარო № №-ის 3—48/48, 3—58/74, 3—62/96).

განხილული კერამიკის წარმომავლობის დადგენა უშუალოდ უკავშირდება გვიანელინისტური წითელლაკიანი კერამიკის საწარმოო ცენტრის საკითხს. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ეს ცენტრი ჭერჭერობით დადგენილი არაა, მაგრამ სავარაუდოა მისი ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხ. აღმოსავლეთ ნაწილში ძიება. ამასთანავე ზოგიერთა საბუთი მკვლევარების ერთ ნაწილს (პაგენშტეხერი, კომფორტი) ამ კერამიკის ალექსანდრიასთან დაკავშირების საფუძველს აძლევს. ამ უკანასკნელი მოსაზრების ძირითადი არგუმენტი წითელლაკიანი კერამიკის ალექსანდრიულ ნაწარმთან კეციით მსგავსება იყო. მართლაც საყურადღებოა, რომ განხილული კერამიკის კეცი დიდ მსგავსებას ავლენს ალექსანდრიული „გნაფიის“ და „პადრას“

სტილის კერამიკის კეცთან<sup>69</sup>. იგივე თიხოვანი მასა შეინიშნება ეგვიპტური წარმომავლობის სხვა სახის ნაწარმშიც. კერძოდ ისეთივე ჩალისფრად გამომწვარი, სუფთა კეცის მქონეა ვანშივე აღმოჩენილი წაბლისფერლაკიანი ლეკითოსი (ტაბ. V), რომლის აღნიშნულ ცენტრთან დაკავშირების საფუძველს გვაძლევს ამგვარი ლეკითოსების მხოლოდ ეგვიპტეში გავრცელების ფაქტი<sup>70</sup>.

გარდა ამისა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ალექსანდრიის მახლობლად დამოწმებულია მერგელური წარმოშობის თიხის საბადოები, საიდანაც მოპოვებული თიხა ძალიან წმინდაა და გამოწვისას, ტემპერატურის შესაბამისად, იღებს მოვარდისფრო, ყვითელ ან ჩალისფერ შეფერილობას<sup>71</sup>. ხოლო განხილული წითელლაკიანი კერამიკა, როგორც აღნიშნული იყო, დამზადებულია მერგელური წარმოშობის მოვარდისფროდ ან ჩალისფრად გამომწვარი თიხოვანი მასისაგან<sup>72</sup>.

მაგრამ ზემოთქმულის მიუხედავად, განხილული წითელლაკიანი კერამიკის ალექსანდრიასთან დაკავშირება მაინც ჭირს, ვინაიდან იგივე ნაწარმი კეცით მსგავსებას ავლენს კოსური წარმომავლობის ამფორების ერთი ჯგუფის კეცთან.

აქედან გამომდინარე, ვანში აღმოჩენილი ჩალისფერკეციანი კერამიკის ზოგადად ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხ.-აღმოსავლეთ ნაწილთან დაკავშირება სავსებით მიზანშეწონილი ჩანს.

ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის დათარიღება ტიპოლოგიურ მეთოდზეა დამყარებული. გამოყენებულია სტრატეგრაფიული მონაცემებიც. ჩალისფერკეციანი წითელლაკიანი კერამიკა მხოლოდ ალიზიანი ფენის ქვედა ფენაში ჩნდება, ზედა ალიზიან ფენაში, რომელიც ნაქალაქარის არსებობის უკანასკნელ ეტაპს შესატყვისება და ძვ. წ. I ს. თარიღდება, აღნიშნული კერამიკის აღმოჩენები არ აღინიშნება.

ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ განხილული კერამიკა ძვ. წ. II ს. დასასრულსა და ძვ. წ. I ს. დასაწყისს

<sup>69</sup> იხ. ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაცული ე. გოლენიშჩევის კოლექცია.

<sup>70</sup> A. Andriani, Trouvas dans les req ion d'Abousiri, Annuaire du Greco-Romain, II (1940—1950), Alexandria, 1952, სურ. 70. i

<sup>71</sup> И. Г. Шургая, Керамическое производство Александрии Эгипетской эпохи эллинизма, Автореферат дисс. на соиск. учен. степени кандидата ист. наук, Ленинград, 1966.

<sup>72</sup> თ. ფიცხელაური, ლ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, ნიმუშ. №33. 34.

შორის პერიოდში შემოქმონდათ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ჩალისფერკეციანი კერამიკის გვიანდელი ფორმები ვანში ჯერჯერობით შენიშნული არაა<sup>73</sup>.

ძვ. წ. I ს. დასაწყისიდან აღნიშნული კერამიკის იმპორტის შეწყვეტა შეიძლება იმხანად არსებული პოლიტიკური სიტუაციით აიხსნას. ცნობილია, რომ შავიზღვისპირეთის ქვეყნები სამხ. ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებთან კავშირს კუნძულ როდოსის საშუალებით ამყარებდნენ<sup>74</sup>. ძვ. წ. I ს. როდოსი მითრიდატესთან ბრძოლაშია ჩაბმული. ამის გამო მოსალოდნელი იყო შავიზღვისპირეთის სამხრეთისაგან მოწყვეტა და გასაგებია, რომ ჩალისფერკეციანი კერამიკა, რომელიც ალექსანდრიაში თუ არა, სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის რომელიღაც ცენტრში მზადდებოდა, ძვ. წ. I ს. დასაწყისიდან აღარ შემოდის.

ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის მეორე ჯგუფი (წაბლისფერკეციანი კერამიკა) მრავალრიცხოვანია და ფორმების თვალსაზრისითაც უფრო მრავალფეროვანი. ამ ჯგუფშიც წამყვანი ლანგრები და ნახევარსფერული თასებია.

წაბლისფერკეციანი ლანგრებში მოყვანილობის მიხედვით. რამდენიმე ნაირსახეობა გამოიყოფა.

პირველი (ტიპი IV) წარმოდგენილია პირებისა და ძირების ცალკეული ნატეხებით. ამ ნატეხების მიხედვით, მათ აქვთ დაბალი, ზემოთკენ შეთხელებული შვეული კედელი, შიგნით შედრეკილი ძირი და ტრაპეციისებური ჭრილის ქუსლი, ფსკერი შემკული აქვთ „ფრჩხილოვანი“ ან ჩაჭრილი კონცენტრული წრეხაზებით, მთელი ზედაპირი, ქუსლის შიდა არის გამოკლებით, დაფარული აქვთ ლაკის თანაბარი ფენით (ტაბ. XIV, I; შეად. ნიმუშები საინვეტ. №№-ით 3—61/147, 3—62/325, 3—61/550...).

წაბლისფერკეციანი ლანგრების მეორე ნაირსახეობაც (ტიპი V) ფრამენტულადაა წარმოდგენილი. ამის გამო ფორმის მხოლოდ გრაფიკული აღდგენა ხერხდება. ამ ლანგრების კედელი შედარებით მაღალია, ამასთან ზემოთკენ მკვეთრად და შეთხელებული და შიგნითაა გადახრილი. ძირი ბრტყელია და თითქმის სწორი კუთხით უერთდება კედელს. ქუსლი წინაღწერილი ლანგრების ანალოგიურია (გარედან ძირისაგან ღარითაა გამოყოფილი და შიდა მხარე უფრო ღრმა აქვს). ფსკერის შემკულობაში „ფრჩხილოვანი“ და ჩაჭ-

<sup>73</sup> შეადარეთ, O. Waage, დასახ. ნაშრომი, ტაბ. III, 124, გვ. 26.

<sup>74</sup> მ. ი ნ ა ძ ე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, II, 1962, გვ. 113.



რილი კონცენტრული წრეხაზების გვერდით ზოგჯერ ნატეფური პალმეტებიც გვხვდება (ტაბ. XIII, 2; XIV, 2, 3, 10, 12, 13; შეად. ნიმუშები საინვენტარო №№-ის 3—47/77, 3—60/58, 3—57/289, 3—58/469. 3—51/46, 3—57/642 და სხვ...).

ლანგრების ეს ნაირსახეობა, ქუსლის შიდა არის გამოკლებით, დაფარულია მოწითალო ან შინდისფერი ლაკით (განსხვავება ლაკის შეფერილობაში ამ შემთხვევაში გამოწვის თავისებურებით უნდა აიხსნას) გამომწვარია ზოგჯერ უთანაბროდ, გადანატეხში ნაცრისფერი შრე შეინიშნება.

წაბლისფერკეციანი ლანგრების შემდეგი ნაირსახეობა (ტიპი VI) წინაღწერილისაგან ძირითადად ზომებითა და ქუსლის მოყვანილობით განსხვავდება.

ეს ლანგრები უფრო პატარებია, ამასთანავე, პირის კიდე ნაკლებადაა შიგნით გადახრილი. ქუსლი თხელია და ჭრილში სწორკუთხედის ფორმისაა. ფსკერის შემკულობა ზოგჯერ სრულიად აღარ გვხვდება, ზოგჯერ კი „ფრჩხილოვანი“ ორნამენტის კვალი შეინიშნება მხოლოდ (ტაბ. XIV, 4, 9; იხ. აგრეთვე ნიმუშები საინვენტარო №№-ის 3—47/203, 3—58/441, 3—61/341, 3—66/310 და სხვ.).

ლაკი მოწაბლისფროდაა აკრელებული და ნაწილობრივ ფარავს ჭურჭელს (ქუსლი და ქუსლის ირგვლივ არე ლაკით არ არის დაფარული). განხილული კერამიკა უმთავრესად ზედა ალიზიან ფენაშია აღმოჩენილი. აქედან გამომდინარე იგი ძვ. წ. I ს. თარიღდება. რაც შეეხება წარმოდგენილი სახეობის შიდაქრონოლოგიის საკითხს, აღსანიშნავია, რომ ორონტოს-ანტიოქიაში, ფენაში, რომელიც მონეტებით ძვ. წ. I ს. უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება<sup>75</sup>, მხოლოდ სწორკუთხა ჭრილის მქონე ქუსლიანი ლანგრები აღმოჩნდა. ალბიშნულის საფუძველზე ჩვენ მიერ წარმოდგენილი VI ტიპი ყველაზე გვიანდელად უნდა ჩათვალოს და ზოგადად ძვ. წ. I ს. მეორე ნახევრით დათარიღდეს, ხოლო შესაბამისად IV და V ტიპები შედარებით ადრეულ ხანას, კერძოდ ძვ. წ. I ს. პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს. მათი შედარებით ადრეული ხანით დათარიღებას ორონტოს-ანტიოქიის მონაცემებს გარდა მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ძირაშედრეკილი ლანგრები (IV ტიპი) პირმეციონში ძვ. წ. II ს. ფენაშია აღმოჩენილი<sup>76</sup>, ხოლო ათენის აგორაზე ძვ. წ. II—I სს. მიჯნით დათარიღებულ კომპლექსში<sup>77</sup>.

<sup>75</sup> O. Waage, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

<sup>76</sup> B. Ф. Гаи́дукевич, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

<sup>77</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 421, ტაბ. 152.

ნახევარსფერული თასების (ტიპი VII) უმეტესობას აქვს საკმაოდ ღრმა, მკვეთრად მომრგვალებულგვერდებიანი კორპუსი და გამოყვანილი ან სადა კონუსური ქუსლი. (ტაბ. XIV, 6, 7, 8, 11). ეს თასები უმეტესად პატარებია, მაგრამ გვხვდება საკმაოდ დიდებიც. ამ შემთხვევაში გვერდები უფრო თანაბრად მომრგვალებული.

გარდა ქუსლიანი თასებისა არის მრგვალძირიანი თასებიც (ტიპი VIII). მათ თანაბრად მომრგვალებული გვერდები და შიგნით ჩაქეცილი კიდე აქვთ (ტაბ. XIV, 5).

წაბლისფერკეციანი თასების ქრონოლოგიური კლასიფიკაციის დროს გასათვალისწინებელია ქუსლების მოყვანილობა. გამოყვანილ-ქუსლიანი თასები შედარებით ადრეული ხანით უნდა დათარიღდეს, სადა კონუსურქუსლიანები კი მოგვიანო ხანით. ამასთანავე ადრეული თასები მთლიანად დაფარული ლაკით, გვიანდელ ცალებზე კი ქუსლი ხშირად ლაკით დაუფარავია და ზემოდან ჩამოსული ლაკითაა დაღვენილი.

ორყურა ჯამები (ტიპი IX). წითელლაკიანი კერამიკის ამ ფორმისათვის დამახასიათებელია კონუსური, მრავალქუსლიანი ძირი, მაღალი, შვეული პირი და ჰორიზონტალურად მიძერწილი სწორი ან ჩადრეკილი ყურები (ტაბ. XV, 16, 17; იხ. აგრეთვე ნიმუშები საინვენტარო № №-ით 3—47/399, 3—58/489, 3—61/106, და სხვ...).

წითელლაკიანი კერამიკის ეს სახეობა ნაკლებად გავრცელებულა ჩანს, ყოველ შემთხვევაში ამგვარი ჯამები ანტიოქიისა და ტარზუსის მასალებში არ გვხვდება.

ათენის აგორაზე აღმოჩენილია მხოლოდ წაბლისფერლაკიანი, სწორყურებიანი ჯამები, რომლებიც ძვ. წ. 75 წ. ახლო ხანით თარიღდებიან<sup>78</sup>. წითელლაკიანი ორყურა ჯამების წყაროს, როგორც ჩანს, ეს კერამიკა წარმოადგენდა, ამიტომ მათი ხმარებაში შემოსვლა ძვ. წ. I ს. მეორე მეოთხედშია სავარაუდო.

ორყურა ჯამები დაფარულია წაბლისფერად აჭრელებული თხელი ლაკით. ამასთანავე, ქუსლი და ქუსლის ირგვლივ არე ულაკოა.

ამ ჯამების ქრონოლოგიური კლასიფიკაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძირების, ქუსლებისა და ყურების მოყვანილობას. ადრეულ ჯამებს აქვთ სწორი ყურები, თანაბრად მომრგვა-

<sup>78</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 428.

ლებული ძირი და პროფილირებული ქუსლი. მოგვიანებით ყურები ჩადრეკილია, ძირი შემალლებული, ქუსლი თხელი, სწორკუთხოვანი.

ამ ძირითადი ფორმების გარდა კეცისა და ლაკის საფუძველზე ამავე ჯგუფში ექცევა რამდენიმე ამფორისკისა (ტაბ. XV, 18—20) და ღოქის (ტაბ. XV, 12—14) ნატეხი.

ზემოგანხილული ჯგუფის წარმომავლობის გარკვევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტექნოლოგიური თვისებებით იგი სრულიად განსხვავდება პერგამონული ნაწარმისაგან. ამასთანავე, თუმცა ამ კერამიკის თიხა ჰარბად შეიცავს ქარსს და სამოსურ კერამიკაში დამოწმებული ლაკის ფენის უფერული ჰიქურით დაფარვის ტრადიცია თითქოს ამ ჯგუფშიც შეინიშნება, ეს გარემოება არ გვაძლევს საფუძველს, იგი ამ ცენტრს დავუკავშიროთ, ვინაიდან კეცის სტრუქტურით ძალიან განსხვავდება სამოსური ნაწარმისაგან.

მეორე მხრივ, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ კერამიკის თიხის ქიმიური და სტრუქტურულ-საექტრული შედგენილობა ახლოს დგას ე. წ. წაბლისფერკეციანი ამფორების თიხის შედგენილობასთან<sup>79</sup>. ეს გარემოება ერთგვარ საფუძველს იძლევა განხილული კერამიკა ამ ამფორების საწარმოო ცენტრთან იქნეს დაკავშირებული. ამგვარი ვარაუდი, ცხადია, შემდგომ დასაბუთებას საჭიროებს, მაგრამ მისი უარყოფის შემთხვევაშიც კი აშკარაა, რომ წაბლისფერკეციანი წითელლაკიანი კერამიკა საკმაოდ ლოკალური მნიშვნელობის, როგორც ჩანს, სამხ. შავიზღვისპირეთის ცენტრს უნდა დაუკავშირდეს. ამგვარი მოსაზრების საფუძველს იძლევა ანა-

---

<sup>79</sup> წაბლისფერკეციანი წითელლაკიანი კერამიკის 3 ნიმუშის ანალიზია ჩატარებული (ნიმუში № 33, 35, 37), სამივესათვის დამახასიათებელია კარგად განლექილ კვარცის (ჰარბად) მინდვრის შპატისა და ქარსის შემცველი, მცირე ფორიანობის მქონე კეცი. ერთ-ერთი მათგანის ქიმიური შედგენილობა პროცენტობით შემდეგნაირია: ტენიანობა — 0,52 მ. დ. — 2,50, SiO<sub>2</sub>—57,89; Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> — 20,77; Fe<sub>2</sub>O<sub>3</sub> — 6,72; CaO — 2,20; MgO—2,89; SO<sub>3</sub> — 1,07; TiO<sub>2</sub> — 0,35, B<sub>2</sub>O — 3,72.

კეცის დნობის ტემპერატურა — 1200°; წყლის შთანქმის უნარი 15,2%, ფორიანობა — 22,1%; მოცულობითი წონა — 1,68. ჭობულეთ-ფიქვნარში აღმოჩენილი ამფორის (ნიმუში №27) კეცი დისპერსიულია, შეიცავს ჰარბად კვარცსა და პლაგოპლასს. მისი ქიმიური ანალიზის მონაცემებია: ტენიანობა — 0,62; მ. დ. — 1,95; SiO<sub>2</sub> — 53; Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>—21,49; Fe<sub>2</sub>O<sub>3</sub> — 10,51; CaO — 4,10; MgO — 3,67; SO<sub>3</sub> — 0,95; TiO<sub>2</sub> — 0,52; B<sub>2</sub>O — 3,93.

კეცის ლლობის ტემპერატურა — 1150°; წყლის შთანქმის უნარი — 16,2%; ფორიანობა — 28,2%; მოც. წონა — 1,68; იხ. ო. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 28—29, 32—35.

ლოგიური კეცის მქონე წითელლაკიანი კერამიკის არ არსებობა პანტიკაპონისა და ფანაგორიის ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში, აგრეთვე ის ფაქტი, რომ აღნიშნული კერამიკის შემოტანა კოლხეთში ძვ. წ. I ს-შიც, მითრიდატეს ომიანობის დროსაც დასტურდება. ამ დროს კი, როგორც ცნობილია, შავიზღვისპირეთი მოწყვეტილია დანარჩენ ბერძნულ სამყაროს<sup>80</sup> და იმპორტი შავი ზღვის აუზის გაართ მდებარე ცენტრებიდან შეწყვეტილია.

განხილულს გარდა ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის რამდენიმე ნიმუშს (ტაბ. XV, 9—11, 15) პარალელები ეძებნება რომაული ხანის ნაწარმში, რის საფუძველზედაც ეს ჯგუფი ახ. წ. I ს. დასაწყისით თარიღდება, ხოლო ლაკისა და კეცის თავისებურებების მიხედვით პერგამონს უკავშირდება.

წარმოდგენილი ჯგუფებით ამოიწურება ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკა, როგორც დავინახეთ, მისი ძირითადი ნაწილი გვიანელისტიური ხანით (ძვ. წ. II ს. მეორე ნახევრით და ძვ. წ. I ს) თარიღდება. მხოლოდ ორიოდ ნიმუში მიეკუთვნება ახ. წ. დასაწყისს.

ვანში აღმოჩენილი გვიანელისტიური ხანის წითელლაკიანი კერამიკის ერთი ნაწილი სამხ. ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს უკავშირდება, ნაწილი კი შედარებით ლოკალური მნიშვნელობის საწარმოო ცენტრიდან მომდინარეობს.

ახ. წ. დასაწყისით დათარიღებული ნიმუშები პერგამონული წარმომავლობისაა. ამ ჯგუფის არსებობა ვანის მასალაში საფუძველს გვაძლევს ახ. წ. დასაწყისში ვივარაუდოთ ვანის ქალაქის ურთიერთობა გარესამყაროსთან და ძვ. წ. I ს. მომხდარი ნგრევის შემდეგ ამ ქალაქის მცირე ხნით აღორძინება დაეუშვათ.

### ე) ა მ ფ ო რ ე ბ ი

ვანში აღმოჩენილი იმპორტული ამფორები, როგორც აღნიშნული იყო, შესწავლილი აქვს რ. ფუთურიძეს. კერამიკის აღნიშნულ სახეობაში მას გამოყოფილი აქვს სინოპური, თასოსური, ქიოსური, როდოსული, კოსური, კნიდოსური, იტალიკური და იტალიკურის მიბაძვით დამზადებული ამფორები<sup>81</sup>.

<sup>80</sup> მ. ი ნ ა ძ ე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები, საქ. სსრ მეცნ. აკადე მიის შოაბე, 1962, IV, გვ. 135.

<sup>81</sup> რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ვანის იმპორტული ამფორები, ხელნაწერი; წაკითხულა განყოფილების სხდომაზე, 1971 წ.

ქიოსისა და თასოსის თითო-ოროლა ნიმუშით წარმოდგენილ ამფორებს მკვლევარი ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით ათარილებს. სინოპურ, კოსურ, კნიდოსურ ნაწარმს კი ზოგადად ძვ. წ. III—II სს. აკუთვნებს. აღნიშნულ ხანასვე უკავშირებს იგი როდოსული ამფორების ძირითად ნაწილსაც. მხოლოდ მცირე ზომის ორსვეტა ყურბიან ამფორებს მიიჩნევს ძვ. წ. I ს. ნაწარმად. ძვ. წ. I ს. ათარილებს იგი იტალიკურ და იტალიკურის მიბაძვით დამზადებულ ამფორებსაც. უფრო ზუსტი თარიღი ამ უკანასკნელი ჯგუფებისათვის ნაშრომში არაა მოცემული. თარიღის დაზუსტება მხოლოდ ზოგიერთი საერთო ხასიათის მოსაზრების საშუალებით ხერხდება. კერძოდ ის ფაქტი, რომ ძვ. წ. I ს. 80-იანი წლებიდან როდოსი მითრიდატესთან ომებში ებმება (რასაც შედეგად მოჰყვა ამ კუნძულის დანგრევა და გარკვეული ხნით მისი სავაჭრო ოპერაციების შეწყვეტა), ძვ. წ. II—I ს. მიჯნაზე, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. I ს. დასაწყისზე გვიანდელ ხანაში ამ ცენტრთან ურთიერთობის არსებობის შესაძლებლობას გამორიცხავს. აღნიშნულ ხანაში როდოსული იმპორტის შავიზღვისპირეთში არსებობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ამ მხარეში დადასტურებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი<sup>82</sup>. ამდენად ვანში აღმოჩენილი როდოსული ამფორები ძვ. წ. III ს. მეორე ნახევარსა და ძვ. წ. I ს. დასაწყისს შორის პერიოდით უნდა დათარიღდეს.

იტალიკური და იტალიკურის მიბაძვით დამზადებული (მათ შორის თეთრანგობიანი) ამფორების თარიღის შესახებაც მხოლოდ ზოგადი მოსაზრებების გამოთქმა ხერხდება. ამ შემთხვევაშიც მხედველობაში მიიღება საერთაშორისო ხასიათის მოვლენები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იტალიკური იმპორტის აღმოსავლეთ ბერძნულ სამყაროში გავრცელების სურათის გათვალისწინება. იტალიკური იმპორტი, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთში ძვ. წ. II ს.-დან ჩნდება და განსაკუთრებით ფართოვდება ძვ. წ. II ს. შუა ხანებიდან. იტალიკური ნაწარმის გავლენის სფეროს გაფართოება დელოსის საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად გადაქცევას უკავშირდება. აღნიშნული ხანის იტალიკური ნაწარმი შავიზღვისპირეთში არ შეინიშნება<sup>83</sup>. ეს გარემოება შესაძლებელია მითრიდატეს საგარეო პოლიტიკით აიხსნას.

<sup>82</sup> М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1948, с. 254 და შემდ.

<sup>83</sup> И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора, МИА, 83, с. 31.

ძვ. წ. I ს. მითრიდატეს ომებისა და დელოსის განადგურების შედეგად შეინიშნება იტალიკური იმპორტის გავლენის სფეროს გარკვეული წილი შეზღუდვა. იგი მხოლოდ რომის საბოლოო გაბატონების შემდგომ, ძვ. წ. I ს. დასასრულიდან იპყრობს აღმოსავლურ ბერძნულ სამყაროს, მათ შორის შავიზღვისპირეთის ბაზარს. ამდენად, ვანში (შესაბამისად კოლხეთში) იტალიკური ნაწარმის გაჩენა, როგორც ჩანს, ძვ. წ. I ს. მიწურულიდან უნდა ვივარაუდოთ. აქედან გამომდინარე ვანში აღმოჩენილი იტალიკური და იტალიკურის მიბაძვით დამზადებული ამფორები ძვ. წ. I ს. დასასრულით უნდა დათარიღდეს. მათი გაჩენა, როგორც ჩანს, საერთაშორისო ურთიერთობაში ახალი ეტაპის დაწყებას მოასწავებს. ნიშანდობლივია, რომ ფენაში, რომელშიც თეთრანგობიანი ამფორები ჩნდება, სრულიად არაა როდოსული და სინოპური ამფორების ნიმუშები.

ამგვარად, ვანში იმპორტული ამფორები წარმოდგენილია ქიოსის, თაოსის, სინოპის როდოსის, კოსისა და კნიდოსის ძვ. წ. III—II სს., აგრეთვე ძვ. წ. და ახ. წ. მიჯნით დათარიღებულ იტალიკურ და იტალიკურის მიბაძვით დამზადებული ნაწარმით.

აღსანიშნავია, რომ ვანში იმპორტული ამფორები მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩევა. როგორც რ. ფუთურიძე აღნიშნავს, მათი რიცხვი რამდენჯერმე ჩამორჩება ადგილობრივი ამფორების რიცხვს. ამასთანავე ჩრ. შავიზღვისპირეთის ქალაქებისაგან განსხვავებით, სადაც სინოპური იმპორტი ყოველთვის აღემატება სხვა ცენტრების იმპორტს, ვანში ყველა ცენტრის ნაწარმი თითქმის თანაბარია რაოდენობითაა წარმოდგენილი. აღნიშნული გარემოება, როგორც ჩანს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ადგილობრივი წარმოებით და იმპორტულზე დაბალი მოთხოვნილებით უნდა აიხსნას.

#### ადგილობრივი კერამიკა

ვანის ნაქალაქარის ელინისტური ხანის ფენებიდან მომდინარე ადგილობრივი კერამიკის მხოლოდ ერთი ნაწილი, კერძოდ ამფორები<sup>84</sup> და სამშენებლო კერამიკა<sup>85</sup> შესწავლილი. სხვა სახის ნაწარმის შესახებ კი მხოლოდ ზოგადი ხასიათის ცნობები გვხვდება გათხრების ანგარიშებში<sup>86</sup>.

<sup>84</sup> რ. ფუთურიძე, ვანის ამფორები, ხელნაწერი, 1965.

<sup>85</sup> ვ. თოლორაძე, ვანის სამშენებლო კერამიკა, ხელნაწერი, 1968.

<sup>86</sup> ნ. ხოშტარი, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1947 წ. „მომომხილველი“, 1, 1948 წ., მისივე, გათხრების მოკლე ანგარიშები (1950—1953, 1960

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია აღნიშნული კერამიკის ძირითადი ჯგუფები, კერძოდ დოქები, სასმისები, ჯამები, ლანგრები, თეფშები, ქოთნები, ქვაბები და სხვა.

დოქები აერთიანებს ხუთ ნაირსახეობას. პირველი (ტიპი I) წარმოდგენილია კედლების მცირე ნატეხებით. ნატეხები შავადაა გამომწვარი და შემკულია სველ თიხაზე დატანილი „ტალლოვანი“ და გამოწვის შემდეგ გაპრიალებული ხაზებით შექმნილი „რომბული“ ბადით.

აღნიშნული ნატეხებით ჭურჭლის მოყვანილობის აღდგენა არ ხერხდება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მასაც ოჩამჩირიდან<sup>87</sup> და ეშერადან<sup>88</sup> მომდინარე ანალოგიური ორნამენტით შემკული მთელი დოქების მსგავსად სფერული კორპუსი, ზემოთკენ შეუმჩნევლად გაფართოებული მაღალი ყელი და პირს ქვემოთ დაძერწილი მრგვალი ყური უნდა ჰქონებოდა (ტაბ. XXIV, 1).

განხილული ნატეხები აღმოჩენილია ძვ. წ. III—II სს. ფენაში<sup>89</sup>. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ჭურჭელი ადრეელინისტური ხანით, კერძოდ ძვ. წ. III ს. დავათარილოთ და რამდენადმე დავაზუსტოთ ეშერისა და ოჩამჩირის დოქების ბ. კუფტინისეული თარიღი (ძვ. წ. IV—III სს.)<sup>90</sup>. წარმოდგენილი კერამიკა შემკულობით გარკვეულ სიახლოვეს ავლენს წინამორბედი ხანის კოლხურ ნაწარმთან. ტალლოვანი ორნამენტით შემკული დოქები, სასმისები, ქოთნები, თასები... მრავალრიცხოვანადაა აღმოჩენილი ფოთის მიდამოებში, ოჩამჩირეში და სხვა ძვ. წ. VI—IV სს. დათარიღებულ კოლხურ ნამოსახლარებზე<sup>91</sup>. მაგრამ ამავე დროს გარკვეული თავისებურებებითაც ხასიათდება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ნაპრიალები „რომბული“ ბადე. ამგვარი ორნამენტი, როგორც ცნობილია, წინამორბედ ხანაში არა გვხვდება. მართალია, გაპრიალებული ხაზები

---

—1963 წ.წ.) საქ-ში სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებზე სადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიების მოხსენებათა ანოტაციები 1951, 1952, 1953, 1960—64 წ.წ.; ვანი I, თბ., 1972.

<sup>87</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, табл. 73.

<sup>88</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, табл. IV.

<sup>89</sup> ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე არქეოლოგიური აღმოჩენები ვანში, საბჭოთა ხელოვნება, 1968.

<sup>90</sup> შეად. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 33 და შემდ.

<sup>91</sup> თ. მიქელაძე, ფოთსა და მის მიდამოებში 1961 წ. ჩატარებული სავლე მუშაობის შედეგები, საქართველოში 1961 წ. წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, 1962, გვ. 46.

ზოგჯერ ძვ. წ. V—IV სს. კერამიკის შემკულობაშიცაა დამოწმებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ხაზები თავისუფლადაა განლაგებული ქურჭლის ზედაპირზე და არავითარ სახეს არა ქმნის<sup>92</sup>. წარმოდგენილ დოკუმენტებზე კი, როგორც დავინახეთ, გაპრიალებული ხაზებით გეომეტრიული სახეა მიღებული, ამასთანავე იგი „ტალღოვან“ ორნამენტთან თანაარსებობს. აქედან გამომდინარე, შემკულობის აღნიშნული მოტივის ხმარებაში შემოსვლა ელინისტურ ხანაში უნდა ვივარაუდოთ. ამგვარი მოსაზრების საფუძველს განხილულის გარდა ქუთაისის მიდამოებში აღმოჩენილი ადრეელინისტური ხანის კერამიკაც იძლევა. ამ უკანასკნელის შემკულობაში უხვადაა გამოყენებული „ტალღოვანი“ და ნაპრიალები ორნამენტის ნაირ-ნაირი კომბინაცია<sup>93</sup>. აღსანიშნავია აგრეთვე ქვემოთ განხილული კანთაროსისეპური სასმისი, რომელსაც შიდა პირი შემკული აქვს ნაპრიალები რომბული ბადით.

წინაელინისტური ხანის ნაწარმთან კავშირს წარმოდგენილი კერამიკა პირ-ყელის მოყვანილობითაც ამჟღავნებს, მაგრამ ამავე დროს კორპუსის განსხვავებული მოყვანილობით გამოირჩევა, ძვ. წ. VI—I სს. დოკუმენტისათვის დამახასიათებელი ბიკონუსური კორპუსის ნაცვლად, განხილულ დოკუმენტებს, როგორც დავინახეთ, სფეროსებური კორპუსი აქვთ.

ამგვარად, ვანური კერამიკის განხილული ჯგუფი ერთი მხრივ წინაელინისტური ხანის კოლხური სამეთუნეო ხელოსნობისათვის დამახასიათებელ საწარმოო ტრადიციების კვალს ატარებს, მაგრამ ამასთანავე გარკვეული თავისებურებებითაც ხასიათდება. ამდენად, იგი ძვ. წ. VI—IV სს. კერამიკის შემდგომ განვითარებად გვევლინება.

მეორე ნაირსახეობისათვის (ტიპი II) დამახასიათებელია სფეროსებური კორპუსი, ვიწრო ყელი, ძაბრისებურად გაფართოებული პირი და პირის კიდესთან მიძერწილი ბრტყელი ყური. ტექნოლოგიური თვალსაზრისით აღსანიშნავია მარცვლოვანი, ქარსიანი, შავად (იშვიათად მოწაბლისფროდ) გამომწვარი კეცი და გაპრიალებული ზედაპირი (ტაბ. XXI, 1).

<sup>92</sup> შეად. მაგ., 1967 წ. ვანში აღმოჩ. მდიდრულ სამარხში მოპოვებული კერამიკა.

<sup>93</sup> მასალა (სანვ. №№-ით 3/2, A-5763, A-5731, A-6330, 32-1) იხსნება. ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მისი ერთი ნაწილი გამოქვეყნებული აქვს ნ. ივაშჩენკოს. იხ. Н. М. И в а щ е н к о, Кувшинный могильник в Западной Грузии, СА, XIII, 1950, с. 320—330.



ანალოგიური დოქები აღმოჩენილია დაბლაგომში, ადრეელი-ნისტური ხანის ქვევრსამარხებში<sup>94</sup>. ძვ. წ. III—II სს. ქვევრსამარხებშივეა დამოწმებული წითლად გამომწვარი და გაპრიალებული პირფართო დოქები სამთავროს სამაროვანზედაც<sup>95</sup>. ვანში აღნიშნული დოქები ძვ. წ. III—II სს. ფენებში გვხვდება. აქედან გამომდინარე, დოქების ეს ნაირსახეობა აღნიშნული ხანით უნდა დათარიღდეს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კერამიკული ფორმის ხმარებაში შემოსვლა შედარებით უფრო ადრეა სავარაუდო. ამგვარი მოსაზრების საფუძველს გვაძლევს 1969 წ. აღმოჩენილი ძვ. წ. IV ს. დათარიღებულ სამარხში (№ 10) დამოწმებული რამდენიმე დოქ., რომლებსაც ანალოგიური მოყვანილობის პირ-ყელი აქვთ, მაგრამ შემკული არიან ამოღარული გეომეტრიული სახეებით და შედარებით ფართო კორპუსით გამოირჩევიან<sup>96</sup>.

რაც შეეხება განხილული კერამიკული ფორმის წარმომავლობას, აღსანიშნავია, რომ ბ. კუფტინი დაბლაგომში აღმოჩენილ ჩვენთვის საინტერესო დოქებს ურარტულ წითლადგაპრიალებულ დოქებს უკავშირებდა<sup>97</sup>. მაგრამ ქრონოლოგიურად ასე დაშორებული პარალელების ძიება, როდესაც ტერიტორიული და კულტურულ-ეთნიკური განსხვავების გამო, ტრადიციების აღორძინებაც არ შეიძლება დაეუშვათ, ჩვენი აზრით, გამართლებული არ უნდა იყოს. მითუმეტეს, რომ გარკვეული მსგავსების მიუხედავად მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც შეინიშნება.

განხილული დოქები პირ-ყელისა და კორპუსის მოყვანილობით ყანჩაეთსა<sup>98</sup> და ახალგორში<sup>99</sup> აღმოჩენილ ლითონის დოქებს ენათესავებიან (შეად. ტაბ. XVI<sub>2</sub>) გარკვეული მსგავსება შეინიშნება

<sup>94</sup> Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრ., ტაბ. XIX, ტაბ. XX, 1—4.

<sup>95</sup> ვ. თ. ო. ლ. ო. რ. დ. ა. ვ. ა., მასალები იბერიის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III—II სს, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, III, 1963, ტაბ. IV<sub>3</sub>.

<sup>96</sup> იხ. 1969 წ. გათხრილ №2 სამარხიდან ნიმუშები №10, 17. სამარხის თარიღის შესახებ. ოთ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. რ. ფ. უ. თ. უ. რ. ი. ძ. ე. ვ. თ. ო. ლ. ო. რ. დ. ა. ვ. ა. კ. ყ. ო. ნ. ი. ა., არქეოლოგიური გათხრები ვანში, საქ.-ში 1969 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე ანგარიშები. თბ., 1970 წ.; ვანი, I, გვ. 211 და შემდ.

<sup>97</sup> Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

<sup>98</sup> Я. А. С м ъ р н о в, Ахалгорийскийклад, Тиф., 1934, с. 62.

<sup>99</sup> ი. გ. ა. გ. ო. შ. ი. ძ. ე., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 66. სურ. 4.

პროპორციებშიც. აღნიშნულ ლითონის ჭურჭელს პირისა და ძირის დიამეტრი ტოლი აქვს, კორპუსი აბსოლუტურად სფერულია, ყელის სიმაღლე ჭურჭლის სიმაღლის მეოთხედია<sup>100</sup>.

განხილულ დოქებასაც პირისა და ძირის დიამეტრები თითქმის ტოლი აქვთ (ძირის დიამეტრი ოდნავ აღემატება პირისას), ყელის სიმაღლე მთელი სიმაღლის მეოთხედია, ხოლო კორპუსი სფეროს უახლოვდება<sup>101-111</sup>.

რაც შეეხება თვითონ ლითონის ჭურჭლის წარმომავლობას, აღსანიშნავია, რომ ი. სმირნოვი ახალგორის ჭურჭლის გარესამყაროს უკავშირებდა. ი. გაგოშიძე კი ისევ, როგორც ყანჩაეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს სურას, ახალგორის ჭურჭელსაც ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევს. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ლითონის ნაწარმის წარმომავლობის საკითხი არ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს, მაგრამ აშკარაა, რომ იგი უკავშირდება არა კოლხურ, არამედ აღმოსავლურს, შესაძლებელია იბერულ სამყაროს. ამდენად განხილული კერამიკული ფორმის გავრცელება იბერიის გზით შემოსულ გავლენას უკავშირდება. ეს გარემოება კი თავის მხრივ გასაგებს ხდის იბერიულსა და კოლხურ მეთუნეობაში ერთი და იგივე კერამიკული ფორმების არსებობის არცთუ ხშირად დამოწმებულ ფაქტს.

დოქების შემდგომი ნაირსახეობა (ტიპი III) წარმოდგენილია რამდენიმე მთელი ნიმუშითა და სხვადასხვა დოქების ცალკეული ნატეხებით.

მთელი ნიმუშები აღმოჩნდა 1966 წ. „კარიბჭის“ კომპლექსში, საკულტო ნაგებობაში, საკურთხეველთან. მათგან ერთს აქვს სფერული კორპუსი, ძალიან დაბალი და ვიწრო ყელი და სამყურას ფორმის პირი. ზედაპირი ლეგადა აქვს შებოლილი და გაპრიალებული. ყელი და მხრები შემკული აქვს წითელი საღებავით შესრულებული სარტყლებით (ტაბ. XVI,1; XXI,2).

მეორე დოქი მოყვანილობით წინაღწერილის ანალოგიურია,

<sup>100</sup> ყანჩაეთში აღმოჩ. ბრინჯაოს სურის ზომებია: h-152 მმ, ყელის სიმაღლე — 38 მმ, პირის დმ—51 მმ, მუცლის დმ—144, ძირის დმ—51 მმ, იხ. ი. გაგოშიძე, იქვე.

<sup>101-111</sup> დაბლაგომში აღმოჩენილი დოქების ზომები შემდეგნაირია (ნიმუში ბ—481): h—17 სმ, პირის დმ—6,5 სმ, ძირის დმ—7,3 სმ, მუცლის დმ—13;5 სმ, კორპუსის სიმაღლე — 13; ნიმუში ბ—139, h—17 სმ, პირის დმ—7,5 სმ, ძირის დმ—8,5 სმ, მუცლის დმ—14 სმ, კორპუსის სიმაღლე — 13,5 სმ, ოდნავ განსხვავებული პროპორციება აქვს ბ—141, ბ—603, ბ—148. ამ ნიმუშების ძირის დიამეტრი 9 სმ-მდე აღწევს. იხ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდები.

მაგრამ შემკულია თიხის დაუმუშავებელ ზედაპირზე დატანილი სარტყლებით. სარტყლები ისევ კურკლის მხრებსა და ყელზეა განლაგებული, მაგრამ რამდენადმე გართულებულია — მხრებზე, სამ სარტყელს შორის არეში ფიგურების (ფრინველებისა თუ კაც-ფრინველების) მწკრივია დატანილი (ტაბ. XVI, 2; XX, 1).

მესამე დოქსაც სფეროსებური კორპუსი და სამყურას ფორმის პირი აქვს, მაგრამ წინააღწერილებისაგან განსხვავებით ზედაპირი დაუმუშავებელი და მოუხატავი აქვს (ტაბ. XVI, 4, 5; XX, 3, 5).

სხვა ნიმუშებიდან აღსანიშნავია 1966 წელსვე ცენტრალური ტერაქსის ჩრ. აღმოსავლეთ ნაწილში (βXXII) აღმოჩენილი წითელი სარტყლებით მოხატული თითქმის მთელი დოქი და სხვადასხვა დოქების კედლების ნატეხები, რომელთაგან ზოგიერთს ზედაპირი წითელი ზოლებით და „ტალოვანი“ ან „თევზიფხური“ ორნამენტას ფრიზითა აქვთ შემკული<sup>112</sup> (ტაბ. XVIII).

აღნიშნული ნატეხებისა და მთელი ნიმუშების მიხედვით დოქების წარმოდგენილი ნაირსახეობისათვის დამახასიათებელია ფართო სფერული კორპუსი, ძალიან დაბალი და ვიწრო ყელი, სამყურასებური პირი და პირის კიდესთან მიძერწილი ბრტყელი ყური.

დოქების მომდევნო ნაირსახეობა (ტიპი IV) გამოირჩევა განსხვავებული პროპორციებით. მას აქვს მომცრო სფერული კორპუსი, ფართო ცილინდრული ყელი, გარეთ გადაშლილი სადა პირი და პირს ქვემოთ მიძერწილი ბრტყელი ყური. შემკულია თიხის ფონზე ჩარხით დატანილი წითელი სარტყლებით (ტაბ. XVI, 3; XXI, 4).

დაბოლოს მეხუთე ნაირსახეობისათვის (ტიპი V) დამახასიათებელია დაბალი ყელი, გარეთ გადაშლილი სადა პირი და პირის კიდესთან მიძერწილი, ხშირად რელიეფური დანაძერწებით შემკული ბრტყელი, შეწყვილებული ან გრეხილი ყურები. ეს უკანასკნელი ნაირსახეობა მხოლოდ პირ-ყელის ნატეხებითაა წარმოდგენილი<sup>113</sup>; კორპუსი გადარჩენილი არაა, მაგრამ ვინაიდან მხრები თანაბრადაა მომრგვალებული უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი სფეროსებური მოყვანილობის იყო.

დოქების ეს ნაირსახეობაც ხშირად შემკულია თიხის ფონზე ჩარხით დატანილი წითელი ზოლებით (ტაბ. XX, 8—11). დოქების

<sup>112</sup> იხ. ნიმუშები №№ 3—6/386, 3—58/171, 3—62/187, 3—61/525, 3—60/260, 3—57/11, 3—66/403, 3—61/581, 3—62/138, 3—59/197, 3—63/98, 3—61/55.

<sup>113</sup> იხ. ნიმუშები საინვენტარო №№ 3—66/432, 3—62/187, 3—66/403, 3—66/296, 3—61/158, 3—63/84, 3—66/577, 3—47/39.

ბოლო სამი ნაირსახეობა მოყვანილობისათვის დამახასიათებელი მცირე თავისებურებების მიუხედავად, ერთ ქრონოლოგიურ მიხაკვეთს, კერძოდ ძვ. წ. II ს. დასასრულსა და ძვ. წ. I ს. მიეკუთვნება. ამგვარი დათარიღების საფუძველს ნაქალაქარის სტრატოგრაფია იძლევა<sup>114</sup>. როგორც უკვე იყო აღნიშნული დოქების მთელი ნიმუშები საკულტო ნაგებობის იატაკზე აღმოჩენილი და, ამდენად, მისი არსებობის უკანასკნელ ეტაპს, კერძოდ ძვ. წ. I ს. შუა ხანებს მიეკუთვნება. ცენტრალურ ტერასაზე ანალოგიური ჭურჭელი დამოწმებულია ყვითელ თიხნარ ფენაში, რომლის ქვედა ზღვარი ძვ. წ. II ს. დასასრულზე მოდის. ყვითელი თიხნარის ქვედა მონაცრისფრო ფენაში, რომელიც ძვ. წ. III—II სს. თარიღდება, წითელი ზოლებით შემკული კერამიკის აღმოჩენის შემთხვევები არ აღინიშნება. ზემოაღნიშნულის საფუძველზე წარმოდგენილი კერამიკის ხმარებაში ყოფნის ხანად ძვ. წ. II ს. დასასრულსა და ძვ. წ. I ს. მივიჩნევთ.

დოქების განხილული ჯგუფი ძვ. წ. III—II სს. დოქებისაგან განსხვავებით თითქმის არაფრით ემსგავსება წინაელებისტური ხანის კოლხურ ნაწარმს. ძვ. წ. VI—IV სს. დოქებისათვის დამახასიათებელი ბიკონუსური კორპუსის ნაცვლად წარმოდგენილ დოქებს აქვთ სფეროსებური კორპუსი, ხოლო ზემოთკენ შეუმჩნევლად გაფართოებული ყელისაგან განსხვავებით, უჩნდებათ ცილინდრისებური, ხშირად სამყურას ფორმის პირით დაბოლოებული ყელი. ამასთანავე, წინამორბედი ხანის შავად გამომწვარი ჭურჭლისაგან განსხვავებით, წითლად არიან გამომწვარი და გამოირჩევიან განსხვავებული შემკულობით. თუ ძვ. წ. VI—IV სს. კერამიკა შემკულია გამოწვამდე მაგარი იარაღით ამოღარული „თევზიფხური“ ან „ტალლოვანი“ ორნამენტით, განხილულ დოქებზე გვხვდება ფუნჯით დატანილი წითელი სარტყლები. მხოლოდ ზოგიერთ ნიმუშზეა დამოწმებული წინამორბედი ხანისათვის დამახასიათებელი შემკულობის მოტივები — „თევზიფხური“ და „ტალლოვანი“, მაგრამ აქ ეს შემკულობა ყოველთვის წითელ სარტყლებთან ერთადაა. ამასთანავე იგი ვიწრო ფრიზშია მოქცეული და, ამდენად, ერთგვარ რემინისცენციის სახეს უფრო ატარებს, ვიდრე ამ ხანისათვის დამახასიათებელი მოტივის ხასიათს (ტაბ. XIV, 8, 10, 12).

წარმოდგენილი თავისებურებების აღმოცენება, ჩვენი აზრით, არ შეიძლება, ფორმების თანდათანობითი განვითარებით აიხსნას.

<sup>114</sup> ენი, I, გვ. 157 და შემდ.

როგორც ჩანს, ეს მოვლენა გარე სამყაროს გავლენას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა წითელი საღებავით შესრულებული მოხატულობა. როგორც ცნობილია, ამგვარი შემკულობა წინამორბედი ხანის კოლხური კერამიკისათვის სრულიად უცხოა. მაგრამ წითელი საღებავით შესრულებული მოხატულობა ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური ხანის ბერძნულ კერამიკულ წარმოებაში. იქ ამგვარი შემკულობის ხმარებაში შემოსვლას არქაული, კერძოდ როდოსულ-იონიური მოტივების აღორძინებითა ხსნიან<sup>115</sup>.

წითელი საღებავით მოხატული კერამიკა დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ელინისტური სამყაროს მრავალ პუნქტში. მცირეაზიური საწარმოო ცენტრებიდან მომდინარე წითლად მოხატული ქურქლის რამდენიმე ნიმუში ვანშიცაა დამოწმებული. აღნიშნული გარემოება საფუძველს გვაძლევს განხილული ნაწარმი ბერძნული კერამიკის გავლენას დაუკავშიროთ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ვანური კერამიკის წარმოდგენილი ჯგუფი მოყვანილობითაც ავლენს გარკვეულ სიახლოვეს ბერძნულ ნაწარმთან. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ოინოზოიასე-ბური პირ-ყელი, გრეხილი ან შეწყვილებული ყურების არსებობის ფაქტი. აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ ისევე როგორც ბერძნულ ნაწარმზე, ვანურ დოქებზედაც სარტყლები ჩარხის საშუალებითაა დატანებული.

მაგრამ ცნობილია, რომ იბერიაში წითელი საღებავით მოხატული კერამიკის წარმოება აქემენიდურის გავლენით ძვ. წ. V—IV სს. იწყება<sup>116</sup>. აღნიშნულ ხანასვე უკავშირდება ამგვარი კერამიკის გაჩენა სომხეთშიც<sup>117</sup>. ეს გარემოება კი ერთგვარად ექვის ქვეშ აყენებს მოსაზრებას კოლხური წითლადმოხატული კერამიკის ბერძნულთან დაკავშირების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ი. გაგოშიძე კოლხეთში წითელი კერამიკის გავრცელებას სწორედ იბერიიდან ვარაუდობს<sup>118</sup>, მაგრამ დღეისთვის არსებული მასალები, ჩვენი აზრით, ამგვარი მოსაზრებისათვის საფუძველს არ იძლევიან.

<sup>115</sup> Т. Н. Книпович, Художественная керамика в городах северного Причерноморья, СА, XIII და იქვე დასახ. ლოტ.

<sup>116</sup> დ. შულხელიშვილი, ხოელეორის განათხარი არქეოლოგიური მასალა, წყარომცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების სამეცნიერო სესია, II, 1964 წ.; ი. გაგოშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 68.

<sup>117</sup> Г. А. Тирацян, О расписной керамике др. Армении (VI в. до н. э.—III в. н. э.), Историко-филологический журнал, Ереван, 1965; № 3.

<sup>118</sup> ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

როგორც ცნობილია, იმ დროს, როდესაც იბერიაში წითელი კერამიკა ბატონდება (ძვ. წ. V—IV სს.), კოლხეთში შავადგამომწვარ კერამიკას აწარმოებენ. წითელი კერამიკა ელინისტურ ხანაში ჩნდება და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თითქმის ყველა ფორმა ანტიკური კერამიკიდან მომდინარეობს. რაც შეეხება წითელი საღებავით მოხატულ კერამიკას, როგორც უკვე იყო აღნიშნული, გვიანელინისტურ ხანაში (არა უადრეს ძვ. წ. II ს. მეორე ნახევრისა) ჩნდება. ამდენად, მისი დაკავშირება აღმოსავლური კერამიკის ადრეულ, კერძოდ ძვ. წ. V—IV სს. ჯგუფთან გაუმართლებელი ჩანს.

რაც შეეხება მომდევნო საუკუნეებს, კერძოდ ძვ. წ. III—II სს. იბერიულ ნაწარმსაც, რომელიც წარმოდგენილია სამი სახეობით (წითელი საფარველის ფონზე თეთრი ჭიქურისებური საღებავით მოხატული, წითელი საღებავით შესრულებული ფართო ფრიზებით დაფარული და თიხის ფონზე რთული დეკორით მოხატული<sup>119</sup>, შემკულობის სტილისტური და ტექნოლოგიური თავისებურებების განსხვავების გამო, ქრონოლოგიური სიახლოვის მიუხედავად, ვერ მივიჩნევთ ჩვენთვის საინტერესო კერამიკის წყაროდ.

ვანურ წითლად მოხატულ ნაწარმთან გარკვეულ სიახლოვეს ავლენს იბერიული კერამიკის ძვ. წ. I ს. დათარიღებული ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია წითელი სარტყლებით შემკული დოქებით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ვანის ნაწარმთან შედარებით იგი უფრო დაბალი ტექნოლოგიური და მხატვრული ღირსებებით ხასიათდება (სარტყლები დატანილია ხაოიან ზედაპირზე, ხელით, დაუდევრად) ამასთანავე უფრო გვიანდელი ხანით, კერძოდ ძვ. წ. I ს. მეორე ნახევრით თარიღდება<sup>120</sup>. ამდენად ეს გარემოება იბერიული კერამიკის პრიორიტეტს გამორიცხავს და გარკვეულ საფუძველს გვაძლევს შემკულობის ამ გვიანდელი მოტივის ხმარებაში შემოსვლა კოლხეთიდან მომდინარე გავლენას დავუკავშიროთ. აღსანიშნავია, რომ ელინისტური ხანის იბერიულ კერამიკულ წარმოებაზე ამგვარი გავლენა სხვა სახითაც იჩენს თავს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა იბერიული კერამიკის ის ჯგუფი, რომელიც ბერძნული კერამიკის

119 ძვ. წ. III—II სს. ნაწარმის გამოყოფა უფლისციხის სტრატეგრაფიული მონაცემებით ხერხდება. ცნობები უფლისციხის სტრატეგრაფიისა და კერამიკული ჯგუფების შესახებ მოგვაწოდა ისტ. მეცნ. დ. ხახუტაიშვილი, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხვებთ.

120 იხ. დ. ქორაიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1950; ვ. თოლორაძე, დასახ. ნაშრომი; დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, თბ., 1964; ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.

გავლენას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი კერამიკა ელინისტურ ხანაში იქ საკმაოდ გავრცელებული ჩანს. ბერძნული კანთაროსისებური სასმისების რამდენიმე ნიმუშია აღმოჩენილი უფლისციხეში<sup>121</sup> და სამთავროს სამაროვანზე<sup>122</sup>. მცხეთაში, ელინისტური ხანის ფენაში დამოწმებულია წაბლისფერლაკიანი ორყურა ჯამების მიბაძვით დამზადებული წითლადგაპრიალებული ჭურჭელი<sup>123</sup>. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბერძნული იმპორტი იბერიაში საკმაოდ იშვიათია. უფლისციხეში შავლაკიანი კანთაროსის მხოლოდ ერთი ნატეხია აღმოჩენილი. მცხეთაში კი ამგვარი კერამიკის არც ერთი ნიმუში დამოწმებული არაა. ამიტომ უფლისციხეში და მცხეთაში აღმოჩენილ კანთაროსისებურ სასმისებსა და ორყურა ჯამს აღმოსავლეთ საქართველოს მასალებში არ ეძებნებათ პირები, რომელთა მიხედვითაც ისინი არიან დამზადებული. სამაგიეროდ კოლხეთში დიდი რაოდენობითა გვხვდება ანალოგიური მოყვანილობის იმპორტული და იმპორტულის მიბაძვით დამზადებული კოლხური ნაწარმი. აქედან გამომდინარე აღნიშნული კერამიკული ფორმების იბერიაში გავრცელება კოლხეთიდან უნდა ვივარაუდოთ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ელინისტურ სამყაროსთან იბერიის დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა კოლხეთზე გადიოდა<sup>124</sup>, (რასაც უფლისციხეში გვიანელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკის აღმოჩენის ფაქტიც ადასტურებს<sup>125</sup>), გასაგები გახდება აღნიშნული მოვლენა.

<sup>121</sup> დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 51, ტაბ. XXX, 14.

<sup>122</sup> ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., ტაბ. Vg.

<sup>123</sup> ქ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროში აღმოჩენილი უცხოური იერის თიხის ჭურჭელი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №4, XXX, 1963.

ქვეთარი აღნიშნულ ჭურჭელს პერგამულ ნაწარმად მიიჩნევენ. მაგრამ ის გარემოება, რომ იგი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი მინარევებიანი თიხისაგან და წითლად და გაპრიალებული, გამოირჩევა მის პერგამულ წარმომადგომლობას და საფუძველს ევაძლევს იგი იმპორტულის მიბაძვით დამზადებულ ადგილობრივ ნაწარმად მივიჩნიოთ.

<sup>124</sup> აღნიშნული სავაჭრო გზის შესახებ იხ. Г. К. Г о з а л и ш в и л я, О древнем торговом пути в Закавказье, ივ. ჭავჭავიძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 11, 1956, გვ. 153 და შემდ. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, [ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სტრანზიტო სავაჭრო გზის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XIX, 3, 1957, გვ. 377 და შემდ.

<sup>125</sup> დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

საყურადღებოა, რომ წინაეელინისტურ ხანაშიც აღმოსავლეთ საქართველოში ბერძნული იმპორტი როგორც ჩანს, კოლხეთის გზით აღწევდა. შეად. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და კოლხეთი, გვ. 83.

რაც შეეხება სომხეთის მოხატულ კერამიკას, აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ელინისტური ხანით დათარიღებული ფორმები და შემკულობის მოტივები კოლხურ მოხატულ კერამიკაში არა გვხვდება<sup>126</sup>. აქედან გამომდინარე მათი დაკავშირება მხოლოდ იმდენად შეიძლება, რამდენადაც სავარაუდოა მათი ერთი და იგივე წყაროდან, კერძოდ ბერძნული კერამიკიდან მომდინარეობა. ხოლო ამ უკანასკნელის გავლენა სომხეთის კერამიკულ წარმოებაზე, გ. ტირაციანის აზრით, უკვე ძვ. წ. V ს. შეინიშნება<sup>127</sup>, რამდენად სამართლიანია აღნიშნული მოსაზრება ასე ადრეული ხანისათვის ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ელინისტურ ხანაში ბერძნული კერამიკის გავლენის შესაძლებლობა ექვს არ ბადებს.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს კოლხურ მეთუნეობაში წითელი ზოლებით შემკული კერამიკის ხმარებაში შემოსვლა ელინისტური ხანის ბერძნული კერამიკის გავლენას დაუვკავშიროთ, თუმცა ადგილობრივი საწარმოო ტრადიციების გავლენის გამო ეს კერამიკა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური და მხატვრული თავისებურებებით ხასიათდება და ამ ნიშნით სრულიად განსხვავდება როგორც ბერძნული, ისე საერთოდ კოლხეთის გარეთ აღმოჩენილ წითლადმოხატული კერამიკისაგან.

ს ა ს მ ი ს ე ბ ი. სასმისებად განკუთვნილ კერამიკაში შემკულობისა და მოყვანილობის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ტიპები:

პირველი (ტიპი VI) წარმოდგენილია ორი ვარიანტით. ერთი მათგანი პირისა და ძირისაკენ ოდნავ გაფართოებული ცილინდრის ფორმის ორყურა ჭურჭელია (ყურები ზემოდან დაბრტყელებულია, მოსაბრუნში მორკალულია და შემკულია რელიეფური ქედით). გამომწვარია შავად, გარედან მთელი ზედაპირი სარკისებურადაა აქვს გაპრიალებული და შემკულია წნეხვით გამოყვანილი „რომბული“ და „წერტილოვანი“ ორნამენტით შედგენილი ფრიზით. შიგნიდან გაპრიალებულია მხოლოდ პირის ირგვლივ, დარჩენილი მქრქალი ნაწილი დაფარული აქვს ნაპრიალები „რომბული“ ბადით (ტაბ. XXI, 13).

<sup>126</sup> შეად. Г. А. Тирациян, დასახ. ნაშრ., ტაბ. I, II, III.

<sup>127</sup> ი ქ ვ ე, გვ. 276. თუკი მართლა შეინიშნება სომხეთის მოხატულ კერამიკაზე იონიური კერამიკის გავლენა, მაშინ გაუმართლებელი ჩანს ტირაციანის მოსაზრება იბერიისა და სომხეთის მოხატულ კერამიკის განვითარების საერთო ეტაპების შესახებ. ვინაიდან ძვ. წ. V—IV სს. იბერიულ კერამიკაზე აქემენიდურის გავლენა შეინიშნება და ბერძნულის გავლენა მხოლოდ ელინისტური ხანიდანაა სავარაუდო.



მეორე გვერდებმომრგვალებულია, პირგადაშლილი, ყურები შემკული აქვს რქისებური შეერილებით. შავადაა გამომწვარი. გარედან ოდნავაა გაპრიალებული, მქრქალი შიდაპირი კი შემკული აქვთ ნაპრიალები „რომბული“ ბადით.

სასმისების ორივე ვარიანტი მხოლოდ თითო-ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი და უკავშირდება 1966 წ. გამოვლენილი საკულტო ნაგებობის კომპლექსს, რომელიც ძვ. წ. I ს. თარიღდება. აღნიშნულის საფუძველზე ეს კერამიკა გვიანელინისტურ ხანას უნდა მიეკუთვნოს.

რაც შეეხება განხილული კერამიკის წყაროს, აღსანიშნავია, რომ მოყვანილობით იგი გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ბერძნულ მეთუნეობაში გავრცელებულ სასმისებთან, ე. წ. კანთაროსებთან. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ადგილობრივი კერამიკის წარმოდგენილი სახეობა ამ უკანასკნელს დაეუკავშიროთ. მით უფრო რომ მსგავსა კორპუსის მქონე შავლაკიანი კანთაროსების რამდენიმე ნიმუში ვანშიცაა დამოწმებული<sup>128</sup>. ამ კერამიკის ბერძნულ კერამიკასთან დაკავშირების სასარგებლოდ მეტყველებს შემკულობის ხასიათიც. მიუხედავად იმისა, რომ განხილულ ჭურჭელზე მინიშნებული ზედაპირის დამუშავებისა და შემკულობის გამოყვანის ტექნიკა კოლხური მეთუნეობის დამახასიათებელ თავისებურებად გვევლინება, სახეების ფრიზად განლაგება, აგრეთვე ხაზოვანი და წერტილოვანი მოტივების გამოყენება, მას რამდენადმე აახლოებს ატიკურ მოთეთრო საღებავით მოხატულ კერამიკასთან (იხ. ტაბ. III)<sup>129</sup>.

სასმისების მეორე სახეობა (ტიპი VII) უფრო მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. წარმოდგენილია უმთავრესად კედლების ნატეხებით. მხოლოდ ერთი ნიმუში მიეკუთვნება ძირს, ამის გამო ჭურჭლის მოყვანილობის აღდგენა თითქმის არ ხერხდება. ზოგადად ეს უნდა იყოს გვერდებმომრგვალებული, ბრტყელძირიანი, ღრმა ჭურჭელი, რომელსაც შავადგაპრიალებული ზედაპირი შემკული აქვს სიგრძივი ღარებით. ეს თავისებურება ამ კერამიკას რამდენადმე აახლოებს ბერძნულ მეთუნეობაში ფართოდ გავრცელებულ „კანელურებით“ შემკულ კერამიკასთან. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ვანში საკმაოდ გავრცელებული ჩანს — მცირეაზიური წარ-

<sup>128</sup> იმპორტული კერამიკის აღნიშნული სახეობის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრ. გვ. 30.

<sup>129</sup> H. T h o m p s o n, Two centuries of Hell enistic Pottery Hesperia, III, 1934, გვ. 438. და შემდ. შეად. სურ. 61, 88.

მომავლობის „კანელურებიანი“ კერამიკის არაერთი ნიმუშია აღმოჩენილი<sup>130</sup> ვანში, მაგრამ ტექნოლოგიური თავისებურებებით, აგრეთვე მოყვანილობისათვის დამახასიათებელი ცალკეული დეტალებით მნიშვნელოვნად განსხვავდება მისგან და, ამდენად, ამ უკანასკნელის მხოლოდ შორეულ გამოძახილად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღმოჩენის პირობების მიხედვით განხილული კერამიკა გვიანელინისტურ ხანას უნდა მიეკუთვნოს (ამგვარი კერამიკა გვხვდება ყვითელ თიხნარში და საკულტო ნაგებობის კომპლექსში).

აღნიშნული ხანითვე თარიღდება ვანში აღმოჩენილი ანალოგიური მოყვანილობის ორნამენტაციის გარეშე დატოვებული ჭურჭელიც (საინვენტარო № 3—66/147).

სასმისებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული ჯამებიც, რომლებიც წარმოდგენილია სხივებად განლაგებული ხეივით შემკული ძირების ნატეხებით. ამავე დანიშნულებისა უნდა იყოს მაღალფეხიანი, გვერდებმომრგვალებული „წიწვისებური“ ორნამენტით შემკული ჭურჭელიც (ტიპი VIII), რომელიც მხოლოდ ერთი მთელი ნიმუშითაა წარმოდგენილი. მოყვანილობით იგი გარკვეულ სიახლოვეს ავლენს წინაელინისტური ხანის კოლხურ სასმისებთან, მაგრამ ამავე დროს ანალოგიურია უფლისციხეში<sup>131</sup> და თბილისში<sup>132</sup> აღმოჩენილი სასმისებისა. ამდენად ამ კერამიკული ფორმის წარმომავლობის დადგენა არ ხერხდება. განხილული ჭურჭელი აღმოჩენის პირობების მიხედვით გვიანელინისტური ხანით თარიღდება.

ჯ ა მ ე ბ ი. ჯამები ვანის მასალებში განსაკუთრებით მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. მრავალფეროვნებას ქმნის პირებისა და ძირების განსხვავებული მოყვანილობა, რომელთა გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ რამდენიმე ნაირსახეობა, კერძოდ ბრტყელძირიანი, პირმოყრილი, პირგადაშლილი და ორყურა ჯამები.

ბ რ ტ ყ ე ლ ძ ი რ ი ა ნ ი ჯ ა მ ე ბ ი (ტიპი IX) ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. მთელი ნიმუშები დამოწმებული არაა, მაგრამ ამ ფორმის აღდგენა მაინც ხერხდება. მისთვის დამახასიათებელია ბრტყელი ძირი, ირიბად დახრილი გვერდები და გარეთ გადაშლილი პირი (ტაბ. XXI, 11). ტექნოლოგიური თვალსაზრისით აღსანიშნავია მარცვლოვანი, შავადგამომწვარი კეცი და ზოგჯერ სარკისებურად გაპრიალებული ზედაპირი.

<sup>130</sup> „კანელურებიანი“ კერამიკის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 32 და შემდ.

<sup>131</sup> დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 85, ტაბ. 1, 47.

<sup>132</sup> დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 48, ტაბ. X, 1—3, 2.

ბრტყელძირიანი ჯამები უმთავრესად ძვ. წ. III—II სს. მასალებთან ერთად გვხვდება. აქედან გამომდინარე ეს კერამიკა ადრე-ელინისტური ხანით თარიღდება.

წარმოდგენილი კერამიკული ფორმა წინამორბედი ხანის კოლხურ მეთუნეობაში არ გვხვდება. აღმოსავლეთ საქართველოში კი იგი ძვ. წ. V—IV სს. ჩნდება. მისი ხმარებაში შემოსვლა დ. მუსხელიშვილის აზრით აქემენიდური ხანის ირანული კერამიკის გავლენას უკავშირდება<sup>133</sup>. ამდენად განხილული კერამიკის გავრცელება კოლხეთში აღმოსავლეთიდანაა სავარაუდო.

პ ი რ მ ო ყ რ ი ლ ი ჯ ა მ ე ბ ი (ტიპი X) ვანში განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული. აღმოჩენილია პირების, ძირების, აგრეთვე მთელი ცალების მრავალი ნიმუში. ამ კერამიკული ფორმისათვის დამახასიათებელია ირიბად დახრილი გვერდები, შიგნით მკვეთრად გადახრილი კიდე და დაბალი, თითქმის სწორკუთხა ქრისის მქონე ქუსლი (ტაბ. XVI, 9, 10; XXI, 12).

აღნიშნული ჯამები გამომწვარია მოწაბლისფროდ. ზედაპირი ხშირად დაუმუშავებელი აქვთ. მხოლოდ ზოგიერთ ნიმუშზეა დამოწმებული გაპრიანების კვალი და წითელი საღებავით შესრულებული კონცენტრული წრეხაზები.

ანალოგიური ჯამები აღმოჩენილია ოჩამჩირესა და ფარცხანაყანევის სამაროვანზე<sup>134</sup>. ამ უკანასკნელს ნ. ივაშჩენკო ძვ. წ. IV—III სს. ათარიღებს<sup>135</sup>. ამგვარი დათარიღების სისწორის შემთხვევაში ამ კერამიკული ფორმის გაჩენა ადრეელინისტური ხანიდანაა სავარაუდო. ხოლო ის გარემოება, რომ აღნიშნული ჯამები ვანში განსაკუთრებით მრავალრიცხოვნად ზედა ფენებში გვხვდება, საფუძველს გვაძლევს მისი ხმარებაში ყოფნის ხანად ძვ. წ. III—I სს. მივიჩნიოთ.

სუფრის კუთრკლის წარმოდგენილი სახეობა მხოლოდ კოლხეთშია დამოწმებული. ელინისტური სამყაროს სხვა პუნქტებში მსგავსი კერამიკა არ აღმოჩენილა. აღნიშნული საფუძველს გვაძლევს რომ, იგი ადგილობრივ კერამიკულ ფორმად მივიჩნიოთ, თუმცა ქუსლის არსებობა (აგრეთვე ზოგიერთ ცალებზე არსებული წითელი ზოლები) მას რამდენადმე აახლოებს ანტიკურ კერამიკასთან და ამდენად, ამ უკანასკნელის გარკვეულ გავლენას გვაგვარაუდებინებს.

<sup>133</sup> დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი.

<sup>134</sup> Н. М. Ивашенко, Кувшинный магильник в западной Грузии, СА, X, 1950.

<sup>135</sup> იქვე.

პირგადაშლილი ჯამებისათვის (ტიპი XI) დამახასიათებელია მრგვალქუსლიანი, ოდნავ მომრგვალებული პატარა ძირი და გარეთ გადაშლილი მაღალი პირი (ტაბ. XXI, 8, 10). ტექნოლოგიური თვალსაზრისით აღსანიშნავია კარგად დამუშავებული, წითლადგამომწვარი კეცი და გაპრიალებული ზედაპირი.

აღნიშნული ჯამები უმთავრესად ზედა ფენებში გვხვდება. აქედან გამომდინარე ეს უკანასკნელი ფორმა ძვ. წ. I ს. თარიღდება. რაც შეეხება მის წარმომავლობას, აღსანიშნავია, რომ მოყვანილობით იგი იმეორებს ბერძნულ შავლაკიან კერამიკაში გავრცელებული ჯამების ფორმებს და ამდენად ამ უკანასკნელს უკავშირდება.

ორყურა ჯამები (ტიპი XII) მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, კედლის რამდენიმე ნატეხია დამოწმებული მხოლოდ. ამ კერამიკული ფორმისათვის დამახასიათებელია ღრმა კონუსური ძირი, თხელი ქუსლი, მაღალი შვეული პირი და მასთან ახლოს მიქერწილი ჰორიზონტალური ყურები (ტაბ. XVII<sub>4</sub>).

აღნიშნულ ჯამებსაც პარალელები ანტიკურ კერამიკაში ეძებნებათ. ანალოგიური მოყვანილობის წაბლისფერი ან შავი ლაკით დაფარული ჯამები აღმოჩენილია ათენის აგორაზე, ჩრ. შავიზღვისპირეთის ქალაქებში. ბერძნული სამყაროს საწარმოო ცენტრებიდან მომდინარე ორყურა ჯამების არაერთი ნიმუში გვხვდება ვანშიც<sup>136</sup>.

განხილული კერამიკული ფორმა ბერძნულ მეთუნეობაში ხმარებაში შემოდის ძვ. წ. I ს. ვანური კერამიკის ზემოთ წარმოდგენილი სახეობის გაჩენა აღნიშნული საუკუნის შედარებით გვიანდელ ეტაპზეა სავარაუდო, რასაც აღმოჩენის პირობებიც ადასტურებს — აღნიშნული ჯამები გვხვდება ძვ. წ. I ს. მასალებთან ერთად. როგორც ჩანს, ამგვარი კერამიკის წარმოების შედარებით გვიან დაწყებას უნდა დაუკავშირდეს მისი მცირე რაოდენობით აღმოჩენის ფაქტი.

ლანგრები (ტიპი XIII). ვანში აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკის შემდეგი ჯგუფი წარმოდგენილია პირებისა და ძირების ცალკეული ნატეხებით. არც ერთი მთელი ნიმუში დამოწმებული არაა. ამასთანავე ყველა ნიმუში ხასიათდება გარკვეული ინდივიდუალური ნიშნებით, რაც პირის, ძირისა და ქუსლის განსხვავებულ მოყვანილობაში გამოიხატება. შედარებით უკეთ დაცული ნიმუშის მიხედვით მაინც ხერხდება ერთი ძირითადი ტიპის გამოყოფა. მის-

<sup>136</sup> ბერძნული კერამიკის აღნიშნული სახეობის შესახებ. იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 48.

თვის დამახასიათებელია მაღალი, გამოყვანილი ქუსლი, ცენტრში რელიეფური ქედით შემოსაზღვრული ჩაღრმავების მქონე ბრტყელი ძირი და გარეთ გადახრილი კიდე (ტაბ. XXI, 2—7).

აღნიშნულ კერამიკაში ტექნოლოგიური თვალსაზრით გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

1. საკმაოდ კარგად განლექილი თიხა, შავად გამომწვარი, შავადგაპრიალებული (3—59/66; 3—58/256).

2. განლექილი თიხა, წითლადგამომწვარი, წითლადგაპრიალებული, იშვიათად წითელი ზოლებით შემკული (3—59/10; 3—58/548; 3—58/535).

3. მსხვილმარცვლიანი თიხა, შავადგამომწვარი (3—58/150; 3—57/597).

4. მსხვილმარცვლოვანი თიხა, წითლადგამომწვარი (3—58/548ა).

ამ კერამიკის ქრონოლოგიური კლასიფიკაცია არა ხერხდება. ზოგადად ეს ჭურჭელი ელინისტური ხანით თარიღდება.

რაც შეეხება ამ კერამიკული ფორმის წარმომავლობას, ვინაიდან იგი მოყვანილობით სათევზე ლანგრებს ენათესავება<sup>137</sup>, მისი ხმარებაში შემოსვლა ამ უკანასკნელის გავლენას უნდა დაუკავშირდეს.

თ ე ფ შ ე ბ ი. ვანური კერამიკის კიდევ ერთი მრავალრიცხოვანი ჯგუფი აერთიანებს თეფშებს (ტიპი XIV), რომელთაც აქვთ მრგვალქუსლიანი ბრტყელი ძირი და სწორი კუთხით ზემოთ აკეცილი პირი (ტაბ. XXI, 9). გამომწვარი არიან წითლად ან შავად, ზედაპირი გაპრიალებული ან წითელი საღებავით აქვთ დაფარული. საღებავით უმეტესად წითელი ზოლებია დატანილი. ზოგჯერ კი იგი ჭურჭლის მთელ ზედაპირზე ფარავს. ამ შემთხვევაში იგი უთანაბროდაა დადებული ზედაპირზე, ვინაიდან ანტიკურ კერამიკულ წარმოებაში დამოწმებული წესებისაგან განსხვავებით საღებავი რბილი იარაღითაა წასმული და არა მასში ჭურჭლის ჩაძირვით<sup>138</sup>.

განხილული კერამიკა დამოწმებულია ძვ. წ. I ს. დათარიღებულ ფენებში (სტრატეგრაფიულ კრილში ზედა ალიზიან ფენებში)<sup>139</sup>. აქედან გამომდინარე მისი ხმარებაში ყოფნის ხანად აღნიშნული საუკუნეა სავარაუდო.

<sup>137</sup> შეად. H. Thompson, დასახ. ნაშრ. გვ. 429, და შემდ.

<sup>138</sup> ბერძნული კერამიკის ტექნოლოგიის შესახებ. იხ. A. Lane, Greek Pottery, London, 1948.

<sup>139</sup> ვანის სტრატეგრაფიის შესახებ. იხ. ვანი, I, გვ. 147 და შემდ.

წარმოდგენილი კერამიკა მოყვანილობით ელინისტურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული წითელი და შავი ლაკით დაფარულ სუფრის ჭურჭელს ენათესავება<sup>140</sup>, რის საფუძველზედაც მის ხმა-რებაში შემოსვლას ამ უკანასკნელის გავლენას ვუკავშირებთ.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კერამიკა კოლხეთის სხვა პუნქტებში დღესდღეობით მიკვლეული არაა. ეს გარემოება, ვფიქრობთ, სხვა პუნქტებში ძვ. წ. I ს. ფენების დაუდასტურებლობით უხდა აიხსნას.

ქოთნები. ვანურ კერამიკაში ქოთნები წარმოდგენილია ორი ვარიანტით. პირველისათვის (ტიპი XV) დამახასიათებელია ბრტყელი ძირი, თანაბრად მომრგვალებული კორპუსი, დაბალი ყელი და გარეთ გადაშლილი პირი (ტაბ. XVI, 6).

მეორე ვარიანტი (ტიპი XVI) მოყვანილობით ზემოაღწერილის ანალოგიურია, მაგრამ მისგან განსხვავებით მხარზე დაძერწილი აქვს მრგვალი ყური (ტაბ. XVI 7, 8; XX, 19).

განხილული ქოთნები მოყვანილობით გარკვეულ სიახლოვეს ავლენენ წინამორბედი ხანის კოლხურ ნაწარმთან და ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდებიან საერთო პროპორციებით და შემკულობის გარეშე დატოვებული ზედაპირით მაინც გენეტიკურად ამ უკანასკნელს უკავშირდებიან.

ადგილობრივი კერამიკის აღნიშნული სახეობა განსაკუთრებით მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი ვანში. ეს გარემოება მისი მრავალმხრივი გამოყენების საბუთად გვევლინება. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე განსხვავებული მოცულობის მქონე ქოთნების აღმოჩენის ფაქტიც.

განხილული კერამიკული ფორმა დადასტურებულია ელინისტური ხანის კოლხეთის მრავალ პუნქტში, კერძოდ სოხუმში, ოჩამჩირეში, ქუთაისის მიდამოებში, დაბლა-გომში.

ამ კერამიკის შიდაქრონოლოგიური კლასიფიკაცია არა ხერხდება. ზოგადად იგი ძვ. წ. III—I სს. თარიღდება.

ქვაბები (ტაბ. XIX, A). ვანური ადგილობრივი კერამიკის კიდევ ერთი მრავალრიცხოვანი ჯგუფი აერთიანებს ქვაბებს. ეს კერამიკული ფორმა წარმოდგენილია სამი ვარიანტით. პირველს (ტიპი XVII) აქვს ბრტყელი ძირი, შვეული კედლები, გარეთ გადახრილი ფართო პირი და პირს ქვემოთ ჰორიზონტალურად დაძერწილი ჩადრეკილი ყურები.

<sup>140</sup> აღნიშნულა კერამიკას შესახებ. იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 42 და შემდეგ.

მეორე ვარიანტი (ტიპი XVIII) წინაღწერილისაგან მხოლოდ პირის მოყვანილობით განსხვავდება. გარეთ გადახრილი ფართო პირისაგან განსხვავებით მას აქვს შესქელებული, ზემოდან დაბრტყელებული კიდე.

ამ ქვაბებს უკავშირდება ბრტყელი, ცენტრში ცილინდრის ფორმის სახელურიანი ხუფები (ტაბ. XIX, B).

სამზარეულო კერამიკის წარმოდგენილი სახეობა წინაელისისტური ხანის კოლხურ კერამიკაში არა გვხვდება. მაგრამ ანალოგიური მოყვანილობის ქვაბები ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტურ სამყაროში. ორყურა ქვაბები აღმოჩენილია ათენის აგორაზე, ტარზუსში, ჩრ. შავიზღვისპირეთის ქალაქებში<sup>141</sup>.

ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვანში აღმოჩენილი ქვაბები ბერძნული კერამიკის ადგილობრივ მინაბაძად მივიჩნიოთ.

წარმოდგენილი კერამიკა ზოგადად ძვ. წ. III—I სს. თარიღდება. უფრო ზუსტი დათარიღება დღესდღეობით არ ხერხდება, თუმცა ის გარემოება, რომ ქვაბების მეორე ვარიანტი უმთავრესად ზედა ფენებში გვხვდება, ერთგვარ საფუძველს გვაძლევს იგი ძვ. წ. I ს. დავათარიღოთ და, შესაბამისად, პირველი ვარიანტი ადრეელინისტურ ხანას მივაკუთვნოთ.

ქვაბების შემდგომი ნაირსახეობისათვის (ტიპი XIX) დამახასიათებელია ნახევარსფერული მრგვალძირიანი კორპუსი და პორიზონტალურად გადახრილი პირი.

დღეისათვის აღმოჩენილია მხოლოდ ერთი მთელი ნიმუში. იგი მომდინარეობს ცენტრალური ტერასის ჩრ. ნაწილში გამოვლენილი ნაგებობის ქვედა კულტურული ფენიდან<sup>142</sup>.

ადრეულ განათხარში ანალოგიური პირის რამდენიმე ნატეხი გვხვდება, რაც ამგვარი ჭურჭლის არცთუ ისე ფართოდ გავრცელების მაჩვენებელი უნდა იყოს.

განხილული კერამიკული ფორმის წყარო ჩვენთვის უცნობია. აღმოჩენის პირობების მიხედვით იგი ადრეელინისტური ხანით თარიღდება.

კ ო ჯ ო ბ ე ბ ი (ტიპი XX). კოჯობებისათვის დამახასიათებელია

<sup>141</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., სურ. 23, B<sub>30</sub>, სურ. 51, C<sub>70</sub>, სურ. 52, C<sub>70</sub>; Tarsus, II, ტაბ. 135, 221; Т. Н. Книпович, Керамика местного производства из раскопка «Л», Ольвия I, Киев, 1940, XXVII.

<sup>142</sup> ნაგებობის თარიღის შესახებ იხ. ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი.

სფერული, თითქმის მრგვალიძირიანი კორპუსი, დაბალი ყელი და შესქელებულკიდიანი პირი (ტაბ. XVI, 11, 13). ეს კერამიკული ფორმა წარმოდგენილია რამდენიმე ათეული მთელი და შეკოწიწებული ნიმუშით. მათგან უმეტესობა აღმოჩენილია 1966 წ. გამოვლენილი საკულტო ნაგებობის კომპლექსში, დიონისეს ნილაბთან ერთად.

ამგვარი ჭურჭელი წინამორბედი ხანის კოლხურ კერამიკაში არ გვხვდება. ამდენად ამ კერამიკული ფორმის წარმომავლობის დადგენა გაძნელებულია. მაგრამ ვინაიდან იგი გარკვეულ მსგავსებას ავლენს ათენის აგორაზე<sup>143</sup>, ტარზუსსა<sup>144</sup>, და პანტიკაპეონში<sup>145</sup> აღმოჩენილ მცირე ზომის ჭურჭელთან, მისი ხმარებაში შემოსვლაც შესაძლებელია ანტიკური კერამიკის გავლენით აიხსნას. ამგვარი წარუდის საფუძველს განხილული ჭურჭლის აღმოჩენის პირობებიც იძლევა. როგორც აღნიშნული იყო, კოჭობები აღმოჩენილ იქნა დიონისეს ნილაბთან ერთად და ამდენად, ამ ღვთაების რიტუალს უკავშირდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ დიონისეს კულტის გავრცელება კოლხეთში ანტიკური საქყაროდანაა სავარაუდო, განხილული კერამიკული ნაწარმის იმავე სამყაროსთან დაკავშირება სავსებით გამართლებული ჩანს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დიონისეს ნილაბთან აღმოჩენილი მთელი კომპლექსი შედგება იმპორტული შავლაკიანი და მისი მიბაძვით დამზადებული კერამიკისაგან.

რაც შეეხება განხილული კერამიკის დანიშნულებას, ვფიქრობთ, რომ მისი აღმოჩენის პირობები და მცირე მოცულობა გამორიცხავს პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას და საფუძველს გვაძლევს იგი უმთავრესად კულტის მსახურებას დავუკავშიროთ (საყურადღებოა, რომ ამგვარი ჭურჭელი პანტიკაპეონშიც საკულტო ნაგებობაშია აღმოჩენილი).

ამ ნიშნით განხილული კერამიკა გამოირჩევა დანარჩენი ნაწარმისგან, რომელიც საჭიროებისამებრ ასრულებდა როგორც პრაქტიკულ, ისე სარიტუალო დანიშნულებასაც. ამგვარ ვარაუდს ადასტურებს 1966 წ. საყურთხეველთან აღმოჩენილი კერამიკული კომპლექსი, რომელიც შედგება ისეთივე მოხატული დოქების, ქოთნე-

<sup>143</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., სურ. 86 E 56.

<sup>144</sup> Tarsus, II, ტაბ. 133(219).

<sup>145</sup> დაცულა ოდესის მუზეუმში საინვენტარო №ОГИМ -D 26778.



ზის, ჯამების, თეფშებისა და ამფორებისაგან, როგორც დამოწმებულია კულტურულ ფენებში. კოჭობები აღმოჩენის პირობების მიხედვით გვიანელინისტური ხანით თარიღდება.

დეკორატიული ამფორები. ვანური კერამიკის კიდევ ერთი საინტერესო სახეობა წარმოდგენილია ორი შედარებით უკეთ დაცული ნიმუშით. ორივე მოპოვებულია 1966 წ. ერთი მათგანი აღმოჩენილია საკულტო ნაგებობაში, საკურთხეველთან, მეორე — ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილ ერთ-ერთ სათავსოში.

ამ უკანასკნელისაგან (ტიპი XXI) მხოლოდ პირ-ყელის ნაწილია გადარჩენილი. იგი შავადაა გამომწვარი და გაპრიალებული. გამოირჩევა მკვეთრი და ნატიფი პროფილით, პირგადაშლილია, მაღალყელიანი. ყელი პირთან და მხრებთან შემკული აქვს თითო რელიეფური ქედით. ჭურჭელი ორყურიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღნიშნულ ნიმუშზე მხოლოდ ერთი ყურია შემორჩენილი. იგი ოვალურგანივკვეთიანია. დაქერწილია პირის ქვემოთ, მოსაბრუნში მომრგვალებული და მხრისკენ შვეულადაა დაშვებული, შემკულია უნაგირისებური დანაქერწით (ტაბ. XVII, 2).

მეორე ჭურჭელი (ტიპი XXII), რომელიც თითქმის მთლიანად აღსდგა, ხასიათდება თანაბარი და შეუმჩნეველი გადასვლებით. მას აქვს გარეთ გადაშლილი სადა პირი და ცილინდრის ფორმის მაღალი ყელი, რომელიც შეუმჩნეველად ებმის თანაბრადმომრგვალებულ ბრტყელძირიან კორპუსს, ორყურიანია. ყურები მორკალულია, დაქერწილია პირს ქვემოთ, შემკულია უნაგირისებური შვერილებით; წითლადაა გამომწვარი და გაპრიალებული. ზედაპირი დაფარული აქვს წითელი სარტყლებით (ტაბ. XVII, 1; XX, 6).

განხილული ჭურჭელი მოყვანილობით ანტიკურ დეკორატიულ ამფორას ენათესავება და ამდენად მის გავლენას უკავშირდება. კერამიკის ამ სახეობას, ისევე როგორც საბერძნეთში, ალბათ ვანშიაც ხმარობდნენ საზეიმო თუ სარიტუალო დანიშნულებით, საცხოვრებლის გასალამაზებლად, პრაქტიკულ საქმიანობაში.

ვანში ჭერჯერობით აღმოჩენილი არაა იმპორტული ამფორები, რომელთა უშუალო გავლენასაც უკავშირდება განხილული კერამიკა. ამდენად მისი უშუალო წყაროს დადგენა არა ხერხდება, მაგრამ ის გარემოება, რომ ყურების მოყვანილობით იგი გარკვეულ სიახლოვეს ავლენს მცირეაზიურ, კერძოდ პერგამონული წრის ნა-

წარმთან, ერთგვარ საფუძველს გვაძლევს იგი ამ უკანასკნელს დაუკავშიროთ<sup>146</sup>.

კერამიკის წარმოდგენილი ჯგუფი, ისევე როგორც წითელი საღებავით მოხატული დოქები, გვხვდება ძვ. წ. II—I სს. მასალებთან ერთად. აქედან გამომდინარე იგი აღნიშნული ხანით თარიღდება.

ქვევრები. ელინისტური ხანის ქვევრები ტიპოლოგიურად წინამორბედი ხანის კოლხურ ქვევრებს უკავშირდებიან. მათაც აქვთ ბრტყელი ძირი, კვერცხისებური კორპუსი და მაღალი, ცილინდრისებური ყელი, მაგრამ გამოირჩევიან პირის რამდენადმე გამარტივებული მოყვანილობით. ამასთანავე, შედარებით ღარიბულად არიან შემკული; მთელი კორპუსის ნაცვლად შემკული აქვთ მხოლოდ მხრები, შემკულობად გამოყენებულია დატვიფრული მარტივი გეომეტრიული სახეები და თევზიფხურად განლაგებული სოლისებური ქდეები. კორპუსის დანარჩენი ნაწილი დაფარული აქვთ პორიზონტალურად განლაგებული წვრილი შტრიხებით. შტრიხები მიღებულია სველ ზედაპირზე მაგარი საგნის, შესაძლებელია ხმელი ტოტების ხახუნით. ბ. კუფტინი მათ არსებობას ზედაპირის საბოლოო მოსწორების მიზანს უკავშირებს<sup>147</sup>, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ მათ დეკორატიული მნიშვნელობაც ჰქონოდათ. აღნიშნული ქვევრები დამზადებული არიან მარცვლოვანი, მინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარი არიან შავად.

ვანში აღმოჩენილი არაა ამგვარი ქვევრების მთელი ნიმუშები. გვხვდება მხოლოდ პირების, ძირებისა და კედლების ცალკეულ ნატეხები. უკეთ დაცული ცალები მომდინარეობს დაბლა-გომის, დაფნარის სამაროვნებიდან, აგრეთვე მდ. სუფსის ხეობიდან<sup>148</sup>.

ქვევრების განხილული სახეობა (ტიპი XXIII) თანმხლები მასალებითა და დასახელებული პარალელებით ძვ. წ. III—II სს. თარიღდება.

---

<sup>146</sup> დანაქრწვებით შემკული ე. წ. ზომორფული ყურები კოლხეთში წინარე-ანტიკურ ხანაშიც იყო გავრცელებული, მაგრამ გვიანელინისტურ ხანაში არსებული დანაქრწვების მათთან დაკავშირება დიდი ქრონოლოგიური სიშორის გამო გაუპართებელია, მით უფრო რომ განსხვავება მოყვანილობაშიც შეინიშნება.

<sup>147</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 236; Н. В. Хоштариа, Древнее поселение в Даблагоми (Автореферат).

<sup>148</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, ტაბ. 23, 24, გვ. 72 და შემდ.; Н. Ш. Кигурадзе, К истории поселения центральной Колхиды..., Автореф; ნ. ვაშაკიძე, შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები მდ. სუფსის აუზში, სსსრ, III, თბ., 1973, გვ. 75 და შემდ.

ძვ. წ. I ს. ფენებში გვხვდება განსხვავებული ქვევრების ნატეხები. აღნიშნული ნატეხების მიხედვით ქვევრების ამ სახეობისათვის (ტიპი XXIV) დამახასიათებელი ჩანს კვერცხისებური კორპუსი და პროფილირებული კიდიტ დაბოლოებული ცილინდრული ყელი, წითლადგამომწვარი კეცი და ჩარხზე გამოყვანილი სხივებად განლაგებული რელიეფური ქედებით შემკული ზედაპირი.

ამ ფორები. ვანის ნაქალაქარზე განსაკუთრებით მრავალრიცხოვანადაა აღმოჩენილი. მარტო „კარიბქის“ კომპლექსში და ე. წ. მოზაიკურიატაკიან ტაძარში რამდენიმე ათეული ამფორის ქუსლია დამოწმებული.

აღნიშნული ამფორების კეცი ზოგადად ერთგვაროვანია — მარცვლოვანია, გამომწვარია მოწაბლისფროდ, შეიცავს ოქროსფერ ქარსს, პიროქსენსა და გაცრილ სილას, მაგრამ მისი სტრუქტურა-ყოველთვის ერთგვაროვანი არაა — ზოგიერთი ნიმუშის კეცში ჭარბობს პიროქსენი ან ქარსი; განსხვავება შეინიშნება შეფერილობაშიც. ეს გარემოება გარკვეულ საფუძველს იძლევა აღნიშნული ამფორების სხვადასხვა სახელოსნოებიდან წარმომავლობის მტკიცებისათვის. ამგვარი კვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ცალკეული დეტალების (ქუსლების, პირების, ყურების) განსხვავებული მოდელირება და ამფორებზე სხვადასხვაგვარი ნიშნების (თავისებური „დამლების“) არსებობის ფაქტიც. მაგრამ დღესდღეობით ვანში აღმოჩენილი ამფორების საწარმოო ცენტრების მიხედვით კლასიფიკაცია არ ჩატარებულა.

აღნიშნული ამფორები ამჟამად ქუსლებისა და კორპუსის მოყვანილობის მიხედვითაა დაჯგუფებული. გამოყოფილია ქრონოლოგიური მნიშვნელობის ორი ჯგუფი, პირველი, რომელსაც აქვს მაღალი, მასიური ქუსლი და მსხლისებური კორპუსი, ადრეელინისტური ხანითაა დათარიღებული. მეორე კი გვიანელინისტურ ხანასაა მიკუთვნებული. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელ თავისებურებად დაბალი, ლილისებური მოყვანილობის ქუსლი და ოდნავგამოხატული წელშეზნეკილობაა მიჩნეული<sup>149</sup>.

უფრო ვიწრო ქრონოლოგიური მნიშვნელობის ჯგუფები ჯერ-

<sup>149</sup> P. B. П у т у р и д з е, Колхидские амфоры эллинистического и позднеантичного времени, Тезисы докладов посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 г. в СССР, Тб., 1971, с. 197. შეად. ა. კ ა ხ ი ძ ე, კერამიკული ტარა ფიქვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან, სღსძ, II, გვ. 58 და შემდ.

ჯერობით გამოყოფილი არაა, მაგრამ პირ-ყელის, კორპუსისა და ქუსლის მრავალი ვარიანტის არსებობა ერთგვარ საფუძველს იძლევა ამგვარი ჯგუფების არსებობის ვარაუდისათვის.

კ რ ა მ ი ტ ი ელინისტური ხანის ფენებიდან მომდინარე მასალის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. უკანასკნელი წლების გათხრების დროს განსაკუთრებით გამრავლდა კრამიტის აღმოჩენის შემთხვევები — მთლიანად მოხერხდა ნაგებობების ჩაქცეული სახურავების გაწმენდა. აღმოჩენილია როგორც ბრტყელი, ისე ლარიანი კრამიტი. ბრტყელი კრამიტი რიცხობრივად ბევრად აღემატება ლარიან კრამიტს. როგორც ჩანს, გადახურვისას ძირითადად ბრტყელ კრამიტს იყენებდნენ. ლარიან კრამიტს უმთავრესად კიდეების ერთმანეთთან დასაკავშირებლად ხმარობდნენ.

ვანში აღმოჩენილი კრამიტი დიდი ზომებით გამოირჩევა. (დასტურდება ორი ზომის კრამიტი. ბრტყელი კრამიტის ზომებია 623—525 სმ<sup>2</sup>, 585—485 სმ<sup>2</sup>; ლარიანი კრამიტის ზომები 540/50—180/218). ძალიან მასიურია, წონა 16 კგ აღწევს. ეს გარემოება მიწარევეების სიჭარბითა და შედარებით დაბალ ტემპერატურაზე გამოწვევით უნდა აიხსნას. ბრტყელ კრამიტში კიდის მოყვანილობის მიხედვით ორი ნაირსახეობა გამოიყოფა.

ლარიან კრამიტშიც შევიწროებული ნაწილის მოყვანილობის მიხედვით ორი ნაირსახეობა გამოიყოფა. ერთისათვის დამახასიათებელია თანდათანობით შევიწროებული, მომრგვალებული დაბოლოება, მეორეს კი ბარისპირისებური მკვეთრად გამოყოფილი დაბოლოება აქვს.

ვანში აღმოჩენილი კრამიტი მოყვანილობით უახლოვდება სინოპეს კრამიტს. ამ გარემოების გამო კოლხეთში კრამიტის წარმოების დაწყებას სინოპური კერამიკული წარმოების გავლენას უკავშირებენ<sup>150</sup>.

ადგილობრივი კრამიტი სინოპურისაგან განსხვავებით უდამლოა, მაგრამ ხშირად ნიშნაინია. ნიშნები უმთავრესად გვხვდება ბრტყელ კრამიტზე. ნიშნაინი ლარიანი კრამიტის მხოლოდ ორიოდ ნიმუშია დამოწმებული. ნიშნები დატანილია გამოწვეამდე. მათ უმეტესობას ბერძნული ასოების მოხაზულობა აქვთ. განსაკუთრებით ხშირია O, T, X მოხაზულობის ნიშნები. ძალიან იშვიათია მონო-

<sup>150</sup> ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და კოლხეთი, გვ. 133; გ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, ვანის სამშენებლო კერამიკა.

გრამისებური ნიშნები. მათი ხასიათი საბრლოოდ განსაზღვრული არაა. გ. ლორთქიფანიძე მათ ხელოსნის ნიშნებად მიიჩნევს<sup>151</sup>.

ვანში აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკის სხვა ჯგუფებიდან ილსანიშნავია აგრეთვე თიხის კვირისტავეები და პირამიდული საწაფები. კვირისტავეების აღმოჩენის შემთხვევები ხშირი არაა. საწაფები კი მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე.

მათი დანიშნულების შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს კერამიკა უმთავრესად ვერტიკალური საქსოვი დაზგების გასამართავად გამოიყენებოდა<sup>152</sup>.

ვანში აღმოჩენილი საწაფები ზომების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ეს გარემოება თუ მათ მრავალრიცხოვნებასაც გავითვალისწინებთ, სხვადასხვაგვარი ქსოვილის ფართოდ წარმოების მაჩვენებელია. მაგრამ, როგორც ჩანს, ქსოვა უმთავრესად საოჯახო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ საწაფები ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე ჯგუფებადაა აღმოჩენილი.

წარმოდგენილი მასალით ამოიწურება ძირითადად ვანში აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკა. როგორც დავინახეთ, მისი ერთი ნაწილი, კერძოდ, ფართობირიანი და ტალღოვანი ორნამენტით შემკული დოქები, ბრტყელძირიანი ჯამებით, გამომწვარი ქვევრები, ქოთნები ძვ. წ. III—II სს. თარიღდება. წითელი ზოლებით შემკული დოქები, კანთაროსისებური სასმისები, სუფრის ჭურჭელი კი ძვ. წ. I ს. მიეკუთვნებიან.

აქედან გამომდინარე, ვანში აღმოჩენილ ადგილობრივ კერამიკაში შეიძლება გამოიყოს ორი ქრონოლოგიური ჯგუფი — ძვ. წ. III—II სს. და ძვ. წ. I ს. ჯგუფები.

ძვ. წ. III—II სს. კერამიკის ერთი ნაწილი მოყვანილობით წინამორბედი ხანის კოლხურ ნაწარმს ენათესავება, ნაწილი კი ანტიკურ კერამიკასთან ავლენს სიახლოვეს. ძვ. წ. I ს. ჯგუფი კი ძირითადად ანტიკური კერამიკის მიბაძვით დამზადებულ ნაწარმს აერთიანებს.

განხილული კერამიკა, როგორც დავინახეთ, უმთავრესად სა-

<sup>151</sup> Г. Лордкипанидзе, Колхида II — I вв. до н. э., с. 83.

<sup>152</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, с. 15; В. Ф. Гайдукевич, К вопросу о ткацком ремесле в боспорских поселениях, МИА, 25, с. 395 და შემდ.

ოჯახო და სამეურნეო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში საზეიმო და სარიტუალო დანიშნულებითაც გამოიყენებოდა.

მისი საწარმოო ცენტრის შესახებ ამჟამად მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა ხერხდება. ეს ვარაუდობა გაპირობებულია ერთი მხრივ აღნიშნული ხანის კერამიკული სახელოსნოების შეუსწავლელობითა და აგრეთვე იმ ფაქტით, რომ სუსტად განლექილი, გაცრილი სილისა და ქარსის შემცველი, მოწაბლისფროდ ან შავად გამომწვარი კეცით იგი კოლხეთის სხვა პუნქტებში (ოჩამჩირე, სოხუმი...) აღმოჩენილ კერამიკას ენათესავენ. ამიტომ იგი ზოგადად შეიძლება კოლხურ ნაწარმად იქნეს მიჩნეული. თუმცა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი როგორც ჩანს, მაინც ვანთან არსებული ძველი ქალაქის კერამიკულ სახელოსნოს უნდა დაუკავშირდეს.

## ოჩამჩირესა და სოხუმში აღმოჩენილი კერამიკის მოკლე მიმოხილვა

ელინისტური ხანის კერამიკა ვანის გარდა აღმოჩენილია ოჩამჩირესა და სოხუმის ნაქალაქარებზე. როგორც უკვე აღნიშნული იყო, მისი ნაწილი შესწავლილია და ნაწილობრივ გამოქვეყნებულიცაა<sup>1</sup>, მაგრამ მასალისა და საკვლევი საკითხის სრულად წარმოდგენის მიზნით საჭიროდ მივიჩნით ამ ძეგლებიდან მომდინარე კერამიკის მოკლე მიმოხილვის წარმოდგენაც.

ო ჩ ა მ ჩ ი რ ე შ ი წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს დაიხვერა ოთხი გორანამოსახლარი, არქეოლოგიურად კი მხოლოდ I გორანამოსახლარი და მისგან ჩრდილოეთით მდებარე მოედანი იქნა შესწავლილი.

ამ ფართობის პირველ რიგში გათხრა განაპირობა მისმა განსაკუთრებულმა მდგომარეობამ — არქეოლოგიური სამუშაოებზე დაწყებისათვის პირველ ბორცვს დასავლეთი ფერდი უკვე მონგრეული ჰქონდა, უახლოეს მომავალში იგი მთლიანად უნდა მოესწორებინათ და მთელი ფართობი წყლით დაეფარათ. რაც შეეხება მეორე, ანუ ცენტრალურ ბორცვს, იგი ნაწილობრივ უკვე დანგრეული და თითქმის მთლიანად განაშენებული იყო. ამიტომ მასზე მხოლოდ საცდელი ჰურილი იქნა გავლებული, რომელმაც ამ ადგილას

<sup>1</sup> იხ. ამ ნაშრომის შესავალი, გვ. 12, 16 და იქ მითითებული ლიტერატურა.

0,5 მ სისქის ანტიკური ფენის არსებობა დაადასტურა. სხვა საგანგებო სამუშაოები ამ ბორცვზე არ ჩატარებულა. მესამე და მეოთხე ბორცვები აღმოსავლეთით მდებარეობდნენ, მშენებლობის სფეროში არ ხვდებოდნენ და ამიტომ მათი შესწავლა მომავლისათვის გადაიდო<sup>2</sup>.

ელინისტური ხანის კერამიკა მიკვლეულია რამდენიმე პუხქტში. კერძოდ, პირველი გორანამოსახლარის სამხ. ფერდზე შემთხვევით აღმოჩნდა ადრეელინისტური ხანის (ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარი) სამარხეული კომპლექსი; ადრეელინისტური ხანის კერამიკის ნიმუშები გამოვლინდა გორანამოსახლარის წყლით გადარეცხვის დროს; ამ ხანის მასალები აღმოჩნდა მეორე გორანამოსახლარზე გავლებულ საცდელ ჭრილშიც<sup>3</sup>. მაგრამ აღნიშნული ხანის ფენა მხოლოდ პირველი გორანამოსახლარის ჩრდ. მდებარე ფართობზე დადასტურდა.

ამ ფართობის არქეოლოგიური შესწავლა 1935—1936 წწ. წარმოებდა. 1935 წ. ნოემბერ-დეკემბერში ძირითადად საცდელი ჭრილები (№ 8—14) იქნა გავლებული. 1936 წლის იანვარ-თებერვალშიც მცირე გათხრები ჩატარდა, მუშაობა ძირითადად უმნიშვნელო თხრილების (23-ე, 24-ე, 32-ე) გავლებით შემოიფარგლა. 1936 წ. თებერვალ-აპრილში კი იგი არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითად ობიექტად იქცა. ნაქალაქარის ამ ნაწილში მოიზომა საკმაოდ მოზრდილი, XXX თხრილი, რომელიც დაახლოებით 200 კვ. მ. მოიცავდა. თხრილი დაიყო კვადრატებად. მასალის ფიქსაცია ჩატარდა სიღრმეებისა და კვადრატების მიხედვით.

ნ. ივამჩენკოს ანგარიშის მიხედვით, აღნიშნულ ფართობზე უშუალოდ ჰუმუსური ფენის შემდეგ იწყებოდა საშუალოდ 0, 60 მ სისქის კულტურული ფენა, რომლის ზედა შრე (დაახლ. 0,30 მ) ფეოდალურ ხანას განეკუთვნებოდა, ქვედა ფენა კი ანტიკურ ხანას<sup>4</sup>.

არსებული მასალის (სამწუხაროდ, მისი ნაწილი დაკარგულია, ნაწილს საველე ნომრები შემორჩენილი არა აქვს) საველე დავთ-

---

<sup>2</sup> Н. М. Иващенко, Краткий предварительный отчет об археологическом исследовании памятника древности на территории строительства Очамчирского порта, с. 8.

<sup>3</sup> II გორანამოსახლარის მასალის დათარიღების დროს ვეყრდნობით ნ. ივამჩენკოს ანგარიშს (იხ. Н. М. Иващенко, დასახ. ნაშრ.) თვითონ მასალა დაკარგულია. როგორც ჩანს, უმნიშვნელო რაოდენობით იყო აღმოჩენილი.

<sup>4</sup> Н. М. Иващенко, დასახ. ნაშრომ.

რების საშუალებით სიღრმეების მიხედვით განლაგების შემდეგ გაიკვია, რომ აღნიშნულ ფართობზე, კერძოდ XXX თხრილში, იმპორტული ამფორები და შავლაკიანი კერამიკა 0,20 მ-ის ქვემოთ ჩნდება და უმეტეს შემთხვევებში 0,80 მ-მდე, ზოგჯერ კი 1,75—2 მ-მდეც კი ვრცელდება. ეს გარემოება უფლებას იძლევა 0,20 მ-ის ქვემოთ დადასტურებული ფენა ზოგადად ანტიკური ხანით დათარიღდეს. ამ ფენის სისქე, როგორც საველე დავთრების მონაცემებით ირკვევა, საშუალოდ 0,60 მ-ია, მაგრამ ზოგჯერ მისი ინტენსიურობა 1,5 მ აღემატება. იგი შედგენილი ყოფილა ერთგვაროვანი კვითელი თიხნარით, განსხვავებული სტრუქტურის შრეები ამ ფენაში არ დადასტურებულა. მაგრამ ქრონოლოგიურად ეს ფენა ერთგვაროვანი არაა. მისი ზედა შრე 0,60 მ სიღრმემდე ელინისტური ხანის მასალას შეიცავს. 0,60 მ-ის ქვემოთ კი ძირითადად წინარე-ელინისტური ხანის (ძვ. წ. V—IV სს.) ნაწარმშია აღმოჩენილი. აქედან გამომდინარე, 0,20—0,60 მ სიღრმეზე არსებული ფენა ელინისტური ხანით უნდა დათარიღდეს.

ამგვარი დათარიღების საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ 0,60 მ-ის ქვემოთ აღმოჩენილი მთელი კერამიკული კომპლექსი (ანტიკური შავლაკიანი სკიფოსები, კოტილები, კილიკები; ქიოსური და თასოსური ამფორები, კოლხური სასმისები, დერგები) პარალელური მასალით ზუსტად თარიღდება ძვ. წ. V—IV სს<sup>5</sup>. უფრო გვიანდელი ხანის კერამიკის არც ერთი ნიმუში ამ სიღრმეზე არ დადასტურებულა.

მეორე მხრივ 0,20—0,60 მ სიღრმეზე აღმოჩენილ მასალაში 0,60 მ-ის ქვემოთ დამოწმებული ძვ. წ. V—IV სს. დამახასიათებელი ფორმები არ შეინიშნება. სამაგიეროდ ჩნდება ახალი, მომდევნო ეპოქაში გავრცელებული კერამიკა — შვეულპირიანი თეფშები; „მეგარული“ თასები, სინოპური და როდოსული ამფორები.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის ფაქტი, რომ 0,60 მ-ის ქვემოთ ადგილობრივი ამფორის არც ერთი ნიმუში არ აღმოჩენილა. 0,20—0,60 მ სიღრმეზე კი დღეისათვის მასალის არასრულად წარ-

<sup>5</sup> ოჩაჩირეში აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკისა და ამფორების დათარიღებისას გამოყენებულია: Т. Иванов, Античная керамика из некрополя Аполонии, Аполония. София, 1964, с. 354; Corbett, Attic Pottery of the late fifth Century from the Athenian Agora, Hesperia, XVIII, 4, 1949, с. 331; В. Ф. Га й д у к е в и ч, Некрополь некоторых боспорских городов, МИА 69, с. 160; И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора, с. 74.



მოდგენის მიუხედავად, ადგილობრივი ამფორის 15 ქუსლია დამოწმებული. (მათგან 10 ნიმუში 0,20—0,40 მ სიღრმეზეა, დანარჩენი ხუთი კი — 0,40—0,60 მ). თუ გავითვალისწინებთ, რომ კოლხეთში ამფორების წარმოება ელინისტურ ხანაში, არაუადრეს ძვ. წ. IV ს. მიწურულს იწყება<sup>6</sup>, მათი მხოლოდ 0,20—0,60 მ აღმოჩენის ფაქტიც ამ ფენის ელინისტური ხანით დათარიღების საფუძველს იძლევა.

ოჩამჩირის ნამოსახლარის ელინისტური ხანის ფენაში აღმოჩენილ კერამიკაში ძირითადად ვანის ნაქალაქარზე დამოწმებული ჯგუფები დასტურდება.

ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ჯგუფი შველაკიან კერამიკას აერთიანებს. შველაკიან კერამიკაში გამოიყოფა ვერტიკალურკიდიანი და ჰორიზონტალურკიდიანი სათევზე ლანგრები, ნახევარსფერული თასები, თეფშები, კანთაროსები...

ვერტიკალურკიდიანი სათევზე ლანგრები (№ № IV/134; IV/189; IV/212), დამახასიათებელი კეცის, მკვეთრი კუთხოვანი პროფილის, სასაწებლისა და პირის კიდესთან ლაკის ფონზე ამოკაწრული სარტყლების არსებობის საფუძველზე ატიკას უკავშირდებიან და ძვ. წ. III ს. პირველ ნახევრით თარიღდებიან<sup>7</sup> (ტაბ. XXII, 1, 7, 8, 10, 11). ატიკას უკავშირდება და ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდება აგრეთვე თეფშებისა და ნახევარსფერული თასების ერთი ჯგუფიც (№ № IV/288; IV/189; IV/197; IV/194; IV/185; IV/202), რომლისთვისაც დამახასიათებელია სუფთა მოყვითალო წაბლისფერი კეცი, მაღალი სწორკუთხა ჭრილის მქონე ქუსლი და ზოგჯერ „ფრჩხილოვანი“ ორნამენტითა და ნატეფრი პალმეტებით შემკული ფსკერი (ტაბ. XXII, 4).

ჰორიზონტალურკიდიანი სათევზე ლანგრები (№ IV/199; IV/402; IV/202; II/34, შვეულპირიანი თეფშები (IV/249; IV/197; IV/189; II/108; IV/201; IV/9), ნახევარსფერული თასები (IV/189; IV/203; IV/210; IV/336), კანთაროსები (II/128; IV/276; IV/199) მცირეაზიური საწარმოო ცენტრებიდან მომდინარეობენ და ძვ. წ. III—II სს. თარიღდებიან. ამგვარი განსაზღვრის საფუძველს იძლევა კეცისა და ლაკის თავისებურება (კეცი მოწითალო-წაბლისფერია, ქარსიანი;

<sup>6</sup> ა. კ ა ხ ი ძ ე, კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქაროდან, გვ. 55 და შემდ.

<sup>7</sup> შეად. H. T h o m p s o n, Two centuries of Hellenistic..., გვ. 429.

ლაკი მქრქალი) და ბერძნულ სამყაროში აღმოჩენილი პარალელური მასალა<sup>8</sup> (ტაბ. XXII, 2, 3, 5, 6, 9, 12, 14).

აღნიშნულის გარდა თჩამჩირეში შავლაკიანი „მეგარული“ თასების ნატეხებიცაა აღმოჩენილი (№ № IV/189; IV/254). ნატეხები მცირე ზომისაა, ორნამენტი გადახერხილია, მაგრამ მოყვანილობისა და შემკულობის აღდგენა და, შესაბამისად, მიახლოებითი განსაზღვრა მაინც ხერხდება. მათთვის დამახასიათებელი უნდა იყოს შედარებით ღრმა, კვერცხისებური კორპუსი, სადა პირი და მცენარეული ორნამენტაცია (ვარდული, აკანთოსი). ტექნოლოგიური ხასიათის ნიშნებიდან აღსანიშნავია ნაცრისფრად გამომწვარი ქარსიანი კეცი და მქრქალი, ძალიან თხელი ლაკა.

ჩამოთვლილი თავისებურებების საფუძველზე განხილული ნიმუშები ძვ. წ. II ს. თარიღებიან და მცირეაზიურ საწარმოებს უკავშირდებიან.

სუფრის ჭურჭლის შემდგომი სახეობიდან აღსანიშნავია წაბლისფერლაკიანი და წითელლაკიანი კერამიკა. ეს ჯგუფები ძალიან მცირერიცხოვანია. მათგან აღსანიშნავია წაბლისფერლაკიანი ფეხიანი კანთაროსისა და წითელლაკიანი თეფშის ნატეხები.

კანთაროსისაგან გადარჩენილია ქუსლი და კედლების ნატეხები (№ № IV/152, IV/160, IV/140). ნატეხები ერთმანეთს არ უდგება, მაგრამ მათი საშუალებით ირკვევა, რომ ჭურჭელს ჰქონაა უთანაბრო „კანელურებით“ დაფარული მომრგვალებული კორპუსი და საფეხურებად შემალლებული მაღალღეროიანი კონუსური ქუსლი (ტაბ. XXII, 9, 12).

როგორც ცნობილია, მაღალფეხიანი კანთაროსები ბერძნულ სამყაროში ხმარებაში ძვ. წ. IV ს. შემოვიდა და მთელი ელინისტური ხანის მანძილზე იარსება, მაგრამ მოყვანილობასა და შემკულობაში გარკვეული ქრონოლოგიური ხასიათის ცვლილებები განიცადა. კერძოდ, ძვ. წ. IV—III სს. კანთაროსებს კორპუსი თანაბრად „გოფირიებული“ აქვთ და ხშირად მოთეთრო საღებავით შესრულებული, ორნამენტით არიან შემკული<sup>9</sup> ძვ. წ. II ს. მოთეთრო საღებავ-

<sup>8</sup> შედ. W. Technau, Griechische keramik im Samischen. Heraion, სურ. 20—30; D. H. Cox, The Greek and Roman Pottery, გვ. 10—19; G. A. Reiser, Archaeological Material, Harvard Excavations at Samaria 1908—1910, I, 1924, გვ. 277 და შემდ.; O. Waage, Hellenistic and Roman tableware of Worth Syria, გვ. 12 და შემდ.; F. F. Jones, The Pottery, სურ. 120, 121, 122, გვ. 158.

<sup>9</sup> H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 431.

ვით მოხატვა თითქმის სრულიად ქრება, ამასთანავე კორპუსი არათანაბრად განლაგებული „კანელურებით“ იფარება. ამის გარდა, ადრეელინისტური ხანის კანთაროსებს ძვ. წ. II ს. კანთაროსებისაგან განსხვავებით თანაბრად შემადღებული შედარებით დაბალღეროიანი ქუსლი აქვთ.

ოჩამჩირეში აღმოჩენილი კანთაროსისათვის, როგორც დავინახეთ, დამახასიათებელია მაღალღეროიანი, არათანაბარი სიმაღლის საფეხურებიანი ქუსლი, და უთანაბროდ განლაგებული „კანელურები“, რის გამოც იგი ძვ. წ. II ს. უნდა დათარიღდეს.

რაც შეეხება ამ ნიმუშის საწარმოო ცენტრს, ტექნოლოგიური თავისებურებების, კერძოდ სუფთა, მოწაბლისფროდ გამომწვარი კეცისა და წაბლისფერი, თანაბრად დადებული ლაკის მიხედვით ატიკას შეიძლება დაუკავშირდეს, ატიკიდან ამ ნიმუშის მომდინარეობის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ კანთაროსების აღნიშნული სახეობა ამ ცენტრის დამახასიათებელ ფორმადაა მიჩნეული.

წითელლაკიანი ლანგრისაგან მხოლოდ ძირის ნატეხია გადარჩენილი (საველე ნომერი გადახერხილია, აღმოჩენის ადგილის გარკვევა არ ხერხდება. სავარაუდოა, რომ გორანამოსახლარის ჩრდ. ფართობზეა აღმოჩენილი) მისთვის დამახასიათებელია ჩალისფერი, სუფთა კეცი, ლუქისფერი ლაკი, ბრტყელი ძირი და მასიური, ტრაპეციისებური ჭრილის მქონე ქუსლი (ტაბ. XXII, 15, 16).

როგორც ვანში აღმოჩენილი ანალოგიური კერამიკის განხილვის დროს იყო აღნიშნული, სუფრის ჭურჭლის აღნიშნული სახეობა სამხ.-აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთ-ერთ საწარმოო ცენტრს უკავშირდება და ძვ. წ. II ს. მეორე ნახევრით და ძვ. წ. I ს. თარიღდება. ვანის სტრატეგრაფიის მონაცემებით კი კოლხეთში მისი გაჩენა ძვ. წ. II—I სს. მიჯნას უკავშირდება.

აქედან გამომდინარე, ოჩამჩირეში აღმოჩენილი ლანგრის ნატეხი აღნიშნული ხანით უნდა დათარიღდეს და ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხ.-აღმ. ნაწილს დაუკავშირდეს.

ლაკით დაფარული სუფრის ჭურჭლის გარდა ოჩამჩირეში ლაკით დაუფარავი ჭურჭელიცაა აღმოჩენილი. ეს ჯგუფიც მრავალრიცხოვანია. კეცის თავისებურებების მიხედვით ორი სახეობა გამოიყოფა.

ერთი მათგანისათვის დამახასიათებელია მოყვითალოდ გამომწვარი, პოროვანი კეცი (წყალს საშრობივით იჟონავს, შიშხინებს, როგორც ჩანს, შეიცავს კირქვას) და ხაოიანი ზედაპირი.

კერამიკის ეს სახეობა ჯამებისა და სათევზე ლანგრების ძირეზის ორიოდ ნატეხითაა წარმოდგენილი. მათ აქვთ ოდნავ მომრგვალებული ფსკერი და არათანაბარი სისქისა და სადიდის არაპროპორციულად პატარა დიამეტრის ქუსლები (ტაბ. XXII, 13).

სუფრის ჭურჭლის ეს ჯგუფი, როგორც ტექნოლოგიური თავისებურებებით, ისე მოყვანილობისათვის დამახასიათებელი ნიშნებით, სრულიად განსხვავდება ცნობილი ბერძნული ცენტრების ნაწარმისაგან. როგორც აღნიშნული იყო, აქვს პორებიანი, მყიფე კეცი, არამკვეთრი დაუდევრად მოდელირებული, არათანაბარი სისქის ქუსლი.

ეს გარემოება გარკვეულ საფუძველს იძლევა აღნიშნული კერამიკა ადგილობრივ (კოლხურ) ნაწარმად მივიჩნიოთ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ანალოგიური კერამიკა გვხვდება მხოლოდ ოჩამჩირესა და სოხუმში.

ლაკით დაუფარავი სუფრის ჭურჭლის მეორე სახეობის წარმონაქოლია უკვე არავითარ ექვს არ იწვევს. მისთვის დამახასიათებელი მოწითალო-წაბლისფრად გამომწვარი, მარცვლოვანი და მინარევების შემცველი კეცის მიხედვით იგი ადგილობრივ ნაწარმად უნდა იქნეს მიჩნეული.

სუფრის ჭურჭლის ეს სახეობა გვერდებმომრგვალებული ქუსლიანი ჯამების ნატეხებითაა წარმოდგენილი (№ № IV/79; IV/34; IV/273; IV/136; IV/175; IV/206; IV/192; IV/213; IV/180; IV/253). მოყვანილობით აღნიშნული ჯამები ვანში აღმოჩენილ ჯამებს ენათესავენ (შდრ. ტაბ. XXIV, 9, 10, 13). ამდენად, იმავე ხანით, ძვ. წ. III—I სს. თარიღდებიან და ბერძნული კერამიკის გავლენას უკავშირდებიან.

ადგილობრივი კერამიკის დანარჩენი ჯგუფებიც — ქოთნები, ორყურა ქვაბები, ღოქები, ლუთერიები, საერთოდ კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ნაწარმის ანალოგიურია.

ოჩამჩირეში განსაკუთრებით მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი ორყურა ქვაბები (ტაბ. XXIV, 2—5, 7, 8, 11). ადგილობრივი კერამიკის ეს სახეობა მრავალი ნიმუშითაა წარმოდგენილი (№ № IV/144; IV/110; IV/152; IV/166; IV/183; IV/192; IV/253; IV/81; IV/94; IV/192; IV/98; IV/166); ქოთნების ნატეხები უმნიშვნელო რაოდენობითაა აღმოჩენილი. მთელ გათხრილ ფართობზე რამდენიმე ნიმუშია დამოწმებული (IV/99; IV/253; IV/113).

ქოთნებიცა და ქვაბებიც უხეშად გაცრილი სილანარევი თიხისაგანაა, დამზადებული, გამომწვარია წაბლისფრად, ზოგჯერ უთანაბროდ.

რაც შეეხება ლუთერიებს, მათი კეცი უკეთაა დამუშავებული, წვრილმარცვლოვანია, გამომწვარია წითლად, თანაბრად; ზედაპირი საგანგებოდაა მოსწორებული. მოყვანილობით ისინი სინოპურ ლუთერებს ენათესავენთან, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით ბრტყელი, უქუსლო ძირები აქვთ (IV/387; IV/163; IV/166; IV/262; ტაბ. XXIV, 12, 14).

დოქების უმეტესობა შემთხვევითაა აღმოჩენილი. ყველა ძირითადად ერთი ტიპისაა. მათთვის დამახასიათებელია გარეთ გადაშლილი პირი, მაღალი ცილინდრული ყელი, ტალღოვანი და ნაპრიალები ორნამენტით შემკული სფერული კორპუსი. მათ შორის განსხვავება ძირითადად პირის მოყვანილობაში შეინიშნება — არის მრგვალპირიანი და სამყურასებური პირის მქონე დოქები (ტაბ. XXIV, 1, 6) აღნიშნული ნიმუშები ადრეელისტიკური ხანით თარიღდებიან<sup>10</sup>. დოქების სხვა სახეობები ოჩამჩირის მასალაში არ შეინიშნება.

ელისტიკური ხანის ფენიდან მომდინარე კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია აგრეთვე ამფორები, კერამიკის ეს სახეობა წარმოდგენილია ადგილობრივი და იმპორტული ამფორებით. ადგილობრივი ამფორები განსაკუთრებით მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი. მარტო 30-ე თხრილში, როგორც აღნიშნული იყო, ამფორას 15 ქუსლია, მთელ გათხრილ ფართობზე კი რამდენიმე ათეული ნიმუშია დადასტურებული.

ოჩამჩირეში ძირითადად ცილინდრულქუსლიანი ამფორებია აღმოჩენილი. ღილისებური მოყვანილობის მქონე ქუსლიანი ნიმუშები გათხრილ ფართობზე დამოწმებული არ არის.

იმპორტული ამფორებიდან აღსანიშნავია როდოსული და სინოპური ნაწარმი. სინოპური ამფორები პირების, ყურებისა და კედლების ცალკეული ნატეხებითაა წარმოდგენილი. მათთვის დამახასიათებელია მაღალი ცილინდრული ყელი, ბრტყელი ყური და შესქელებულწიბოიანი პირის კიდე (ტაბ. XXIII, 9). აღნიშნული ნიმუშებით ეს ნიმუშები ძვ. წ. III—II სს. თარიღდებიან<sup>11</sup>.

როდოსული ამფორებიც ძირებისა და ყურების ცალკეული ნატეხებითაა წარმოდგენილი ქუსლები ქვემოდან მომრგვალებული, მაღალი ცილინდრის ფორმისაა. ყურები მასიურია, მრგვალგანიკვე-

<sup>10</sup> შუაღ. Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, II, табл. 73.

<sup>11</sup> შუაღ. И. Б. Зеест, Керамическая тара..., с. 90.

თიანია (ერთზე სწორკუთხა დამლის კვალია შემორჩენილი ტაბ. XXIII, 1) . მოყვანილობისათვის დამახასიათებელი წარმოდგენილი თავისებურებებით როდოსული ამფორებიც ძვ. წ. III—II სს. უნდა დათარიღდეს<sup>12</sup>.

როდოსული და სინოპური ამფორები ისევე, როგორც ვანში, ოჩამჩირეშიც თანაბარი რაოდენობითაა აღმოჩენილი და რაოდენობრივად ბევრად ჩამორჩება ადგილობრივ ამფორებს.

ბერძნული სამყაროს სხვა ცენტრებიდან მომდინარე ამფორები უფრო მცირერიცხოვანია, კერძოდ ჰერაკლეს ნაწარმი ქუსლისა და პირ-ყელის თითო ნიმუშითაა წარმოდგენილი (XXIII, 4, 5, 6) ეს ნიმუშები მოყვანილობისათვის დამახასიათებელი ნიშნებით (მაღალი ცილინდრული ყელი, სამკუთხა ჭრილის მქონე პირის კიდე. ოვალურგანივკვეთიანი ყური, კონუსური ძირი და ქვემოთ შეუშინეველად გაფართოებული ღრმა ფოსოიანი ქუსლი) ძვ. წ. III ს. თარიღდება<sup>13</sup>. ამგვარი დათარიღების საფუძველს მოყვანილობის გარდა შავიზღვისპირეთის ქალაქებში ჰერაკლეს იმპორტის ძვ. წ. III ს. მესამე მეოთხედში შეწყვეტის ფაქტიც იძლევა<sup>14</sup>. გარდა ამისა XXX თხრილის მომიჯნავე I თხრილში აღმოჩენილია ძვ. წ. IV—III სს. ქიოსური, ე. წ. ჩაჩისებურძირიანი ამფორის ქუსლი<sup>15</sup> (ტაბ. XXIII, 2, 3) ხოლო გორანამოსახლარის სამხ. ფერდზე შემთხვევით აღმოჩენილ სამარხეულ კომპლექსში დამოწმებულია ამფორის ნატეხები, რომლებიც ქუსლის მოყვანილობითა (ბიკონუსური, ფოსოიანი) და კეცის თავისებურებებით სოლოხა I-ის ტიპის ამფორას მიეკუთვნება და ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრით თარიღდება<sup>16</sup>.

ამგვარად, ოჩამჩირეში აღმოჩენილი იმპორტული ტარა აერთიანებს სამხ. შავიზღვისპირეთის, როდოსისა და ქიოსის ძვ. წ. III—II სს. დათარიღებულ ამფორებს. როგორც დავინახეთ, იგი შედგენილობით ვანის ნაქალაქარზე დამოწმებული თანადროული ტარის ანალოგიურია.

ოჩამჩირის ნამოსახლარიდან მომდინარე ელინისტური ხანის სხვა კერამიკული ნაწარმიდან აღასანიშნავია პირამიდული საწაფები და კრამიტი.

<sup>12</sup> შვად. ი. ბ. Зеест, Керамическая тара..., с. 102.

<sup>13</sup> ი ქ ვ ე, გვ. 100, ტაბ. XXII, 45.

<sup>14</sup> ი ქ ვ ე, გვ. 47.

<sup>15</sup> ი ქ ვ ე, გვ. 78.

<sup>16</sup> ი ქ ვ ე, გვ. 91.

კრამიტი მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ამ გარემოებას ნ. ივაშჩენკო მის გვიანდელ ხანაში გამოყენებით ხსნის<sup>17</sup>, მაგრამ შესაძლებელია ეს მოვლენა კრამიტით გადახურული ნაგებობების შედარებითი სიმცირითაც აიხსნას.

ოჩამჩირეშიც ისევე, როგორც კოლხეთის სხვა ნამოსახლარებზე, ადგილობრივ კრამიტთან ერთად სინოპური კრამიტიც გვხვდება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მცირერიცხოვანია.

წარმოდგენილი ჯგუფებით ამოიწურება ოჩამჩირეში აღმოჩენილი ელინისტური ხანის კერამიკული ნაწარმი, როგორც დავინახეთ, იგი ძვ. წ. III—II სს. თარიღდება, უფრო გვიანდელი, კერძოდ. ძვ. წ. I ს. ნიმუშები აღნიშნულ მასალაში არ შეინიშნება. აქედან გამომდინარე ფენაც ძვ. წ. III—II სს. უნდა დათარიღდეს.

ამგვარად, ოჩამჩირის ნამოსახლარზე გათხრილ ფართობზე ძვ. წ. I ს. ფენა მიკვლეული არა ყოფილა. ეს მოვლენა აღნიშნულ ხანაში საქალაქო ცხოვრების დაქვეითებით უნდა აიხსნას, თუ გათხრების მცირე მასშტაბით, შესწავლილობის დღევანდელ ეტაპზე ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, არსებული მასალის მიხედვით ძვ. წ. II—I სს. მიჯნაზე კატასტროფა თუ არა, გარკვეული კრიზისი მაინც სავარაუდოა. სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა გათხრილ ფართობზე ძვ. წ. I ს. მასალის არ არსებობა.

სო ხ უ მ ი ს (დიოსკურიის) არქეოლოგიურ შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისმა სიძველეებმა ფართო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებში მიიქცია. აღნიშნული გარემოება ადგილობრივი ენთუზიასტის ვ. ჩერნიავსკის მოღვაწეობას უკავშირდება. მან 1876 წ. რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელ კომიტეტს წარუდგინა წერილი, რომელშიც შემთხვევითი აღმოჩენების აღნუსხვასთან ერთად, ამ ძეგლის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობაც იყო დასაბუთებული. წერილმა სათანადო გამოხმაურება პოვა მოსამზადებელი კომიტეტის სხდომებზე, მაგრამ გათხრების წარმოება მხოლოდ 1888 წ. მოხერხდა. მისი ინიციატორი მოსკოვის არქეოლოგიური კომისია იყო. კომისიამ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს არქეოლოგიური ძეგლების, მათ შორის სოხუმის შესწავლა ვ. სიზოვს დაავალა.

ვ. სიზოვი ზაფხულში ჩამოვიდა სოხუმში, გაეცნო ვ. ჩერნიავსკის კოლექციებს და მოინახულა სოხუმის მიდამოები. ამის შემდეგ

<sup>17</sup> Н. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი.

შეარჩია გათხრებისათვის ადგილები ყოფილ ოლლას ქუჩაზე და მდ. ბესლეთკას მიდამოებში.

მდ. ბესლეთკასთან ვ. სიზოვმა გამოავლინა ფეოდალური ხანის ძეგლები. ოლლას ქუჩაზე კი ფეოდალურ-ბიზანტიური და რომაული ხანის ფენებთან ერთად ძვ. წ. V—II სს. ფენასაც მიაკვლია. ეს უკანასკნელი მან ანტიკური წყაროების დიოსკურიას დაუკავშირა<sup>18</sup>.

ამის შემდეგ, ვიდრე 1925 წ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემთხვევით აღმოჩენებს, რომელთა შესახებაც მხოლოდ ცნობებია დაცული, სოხუმში არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა.

1925 წ. აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების დავალებით ა. ბაშკიროვმა აწარმოვა გათხრები<sup>19</sup>. იგი ვ. სიზოვის კვალს გაჰყვა, თხრილები გაავლო ოლლას ქუჩის მახლობლად მდებარე მოედანზე და სოხუმის ციხესთან. ამას გარდა დაზვერა ბაგრატიის ციხის, ვენეციური ხიდისა და აფხაზეთის დიდი კედლის მიდამოები. მაგრამ მისი აღმოჩენები, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ვ. სიზოვის აღმოჩენებთან შედარებით ნაკლებად ღირსშესანიშნავი აღმოჩნდა. მის მიერ გათხრილ ფართობზე გამოვლენილ ფენათა შორის ყველაზე ადრეული ახ. წ. II—III სს. ფენა იყო<sup>20</sup>. ეს გარემოება, როგორც ჩანს, იმით იყო გამოწვეული, რომ ა. ბაშკიროვმა გათხრები ლურჯ თიხნარამდე, მისი აზრით, დედაქანამდე აწარმოვა. ვ. სიზოვმა კი სწორედ ამ ფენებში მიაკვლია ადრეანტიკური ხანის ძეგლებს.

ა. ბაშკიროვის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების ამგვარმა შედეგმა ერთგვარად განაპირობა სოხუმის არქეოლოგიური შესწავლის შემდგომი ბედი. ამის შემდეგ არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალმშენებლობებთან სამეთვალყურეო ექსპედიციების მოწყობით შემოიფარგლა.

სამეთვალყურეო ექსპედიცია მოეწყო 1940 წ. სასტუმრო „რი-

<sup>18</sup> თურქული ციხე (სოხუმის ციხე) ვ. სიზოვს საინტერესო ძეგლად მიუჩნევია, მაგრამ დროისა და სახსრების უქონლობის გამო ეს ნაწილი მას არ გაუთხრია. კედლის წყობის დათვალიერების შედეგად იგი იმ დასკვნამდე მისულა, რომ ციხე თურქულ ხანაზე ბევრად ადრეული იყო. მისი აზრით, იგი ბიზანტიურ ხანაში უნდა ყოფილიყო აშენებული (იხ. В. С. С и з о в, Восточное побережье Черного моря. МАК, II, 1889, с. 9 და შემდ.).

სიზოვს გათხრებით მოპოვებულა მასალა ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში.

<sup>19</sup> გათხრებისათვის საჭირო თანხები გაიღო აფხაზეთის საბჭოთა მეურნეობამ და აღმოსავლეთის კომიტეტმა (იხ. А. С. Б а ш к и р о в, Археологические изыскания в Абхазии, Известия Абхазского народного общества, IV, 1928, с. 1).

<sup>20</sup> А. С. Б а ш к и р о в, დასახ. ნაშრ., გვ. 5 და შემდ.



წას“ მშენებლობის დროს. ექსპედიცია დაკმაყოფილდა შენობის 'საძირკვლის დროს ამოყრილი მასალის შეგროვებით<sup>21</sup>.

50-იან წლებში სოხუმის არქეოლოგიურ შესწავლაში ერთგვარი აღმავლობა შეინიშნება. ამ დროს სამეთვალყურეო ექსპედიციების პარალელურად მცირე გათხრებიც ეწყობა, რის შედეგადაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალის გამოვლენაც ხერხდება.

1950 წ. სოხუმის მთაზე, პარკის მშენებლობასთან დაკავშირებით მოეწყო ექსპედიცია, რომელმაც დაზვერვებთან ერთად გათხრებიც აწარმოვა და სხვა მნიშვნელოვან მასალებთან ერთად ელინისტური ხანის სამარხებიც შეისწავლა<sup>22</sup>.

1952 წ. მარტში სოხუმის ციხის სამხ. კედელთან მ. თრაპშის ხელმძღვანელობით მოეწყო მცირე გათხრები. ექსპედიციამ ქალაქის ამ ნაწილში დაადასტურა ოთხი კულტურული ფენა — გვიანფეოდალური, შუაფეოდალური, რომაული (ახ. წ. I—III სს.) და ადრეანტიკური (ძვ. წ. V—II სს.). იმავე წლის ზაფხულში მ. თრაპშისვე ხელმძღვანელობით გათხრები ჩატარდა სოხუმის მახლობლად, გუადიხუზე. გათხრების შედეგად გვიან ბრინჯაოს ხანის მასალებთან ერთად ძვ. წ. V—II სს. სამარხებიც იქნა გამოვლენილი<sup>23</sup>.

1956—1957 წწ. მ. თრაპშის ხელმძღვანელობით გათხრები მოეწყო სოხუმის გარეუბანში, წითელ შუქურასთან. ექსპედიციის შუშაობის შედეგად გამოვლინდა ელინისტური ხანის სამარხები და კერამიკული საწარმოს ნაშთები<sup>24</sup>.

1957 წ. სანაპიროს მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩენილი კედლების შესწავლის მიზნით მოეწყო სამეთვალყურეო ექსპედიცია (ლ. შერვაშიძე, ლ. სოლოვიოვი), რომელმაც გაწმინდა რომაული ხანის კედლები და პარალელურად აწარმოვა წყალქვეშა დაზვერვები. დაზვერვების შედეგად გამოავლინა ნაგებობების ნაშთები და ელინისტური ხანის კერამიკის ნიმუშები<sup>25</sup>. ამ ექსპედი-

<sup>21</sup> Л. Н. Соловьев, Диоскурия - Севастополь - Цхум, Труды Абхазского гос. Музея, I, 1947.

<sup>22</sup> ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1952.

<sup>23</sup> М. М. Трапш, Археологические раскопки в окрестностях Сухуми, ТАИЯЛИ, XXVI, 1955.; მ ი ს ი ე ვ, Некоторые итоги археологического исследования Сухуми 1951—53 гг., СА, XXIII, 1955.

<sup>24</sup> М. М. Трапш, Археологические раскопки в окрестностях Сухуми, ТАИЯЛИ, XXIX, 1958, с. 188 და შემდ.

<sup>25</sup> Л. А. Шервашидзе, Л. Н. Соловьев, Исследование древнего Севастополиса, СА, 1960, №3, с. 171 და შემდ.

ციამ მცირე ინტერვალებით 1959 წ. იმუშავა. 1959 წ. ამ ექსპედიციის ბაზაზე მოეწყო საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის და აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებული ექსპედიცია. ამ ექსპედიციამ საკმაოდ მოზრდილი ფართობი გათხარა სოხუმის ციხესთან და საყურადღებო მასალასაც მიაკვლია. ამ მასალის ერთი ნაწილი ძვ. წ. V—II ს. თარიღდება<sup>26</sup>.

ამგვარად, სოხუმსა და მის მიდამოებში გამოვლენილია ძეგლების მთელი ჯგუფი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ხანით, კერძოდ ძვ. წ. III—II სს. თარიღდება. ნაშრომში მხოლოდ სოხუმის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ სოხუმის ციხისა და სასტუმრო „რინასთან“, აგრეთვე ყოფილ ოლღას ქუჩაზე აღმოჩენილი კერამიკის შესწავლის შედეგებია წარმოდგენილი. ეს გარემოება იმითაა გაპირობებული, რომ აღნიშნულ პუნქტებში დამოწმებული ძეგლები ანტიკური წყაროების დიოსკურიას უკავშირდებიან, წითელ შუქურასთან, გუად-იხუზე და სოხუმის მთაზე გამოვლენილი ძეგლები კი ქალაქის გარეუბნებადაა მიჩნეული<sup>27</sup>.

ქალაქის ცენტრში გარკვეული პირობების გამო (გრუნტული წყლები, დღევანდელი ქალაქის არსებობა) გათხრების წარმოება შეზღუდულია, არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ის გარემოებაც აფერხებს, რომ ნაქალაქარის მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად ზღვაშია ჩაძირული. ამიტომ ანტიკური ხანის ფენები, როგორც დავინახეთ, მცირე ფართობზეა გამოვლენილი. შესაბამისად მასალაც მცირერიცხოვანია, მაგრამ ამისდა მიუხედავად, საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი აერთიანებს შავლაკიან, წითელლაკიან, ლაკით დუფარავ სუფრის კურკელს, სამზარეულო, სამეურნეო და სამშენებლო კერამიკას.

1

---

<sup>26</sup> А. М. Апакидзе, О. Д. Лордкипанидзе, Новые материалы к археологии Диоскурии — Севастополиса, ТАИЯЛИ, XXXIII—XXXIV, 1963; М. М. Трапш, Раскопки древнего Севастополиса в р-не Сухумской крепости в 1952 г., ТАИЯЛИ, XXXIII—XXXIV, 1963.

<sup>27</sup> დიოსკურიის ლოკალიზაციის შესახებ იხ. А. А. Милер, Разведки на Черноморском побережье Кавказа в 1907 г. ИАК, 33, 1909; Н. М. Ивашенко, К вопросу о местонахождении Диоскурии древних..., Известия Абхазского науч. Общества, IV, Сухуми, 1926; А. С. Башкиров, დასახ. ნაშრომი; Л. Н. Соловьев, Диоскурия...; И. Орбели, Город близнецов Диоскуриас и племя возниц Нгоχοи. Журнал министерства народного просвещения, 1911.

შავლაკიან კერამიკაში ტექნოლოგიური თავისებურებების მიხედვით ისევე როგორც ვანსა და ოჩამჩირეში რამდენიმე ჯგუფთ გამოიყოფა.

პირველი მოყვითალო-წაბლისფერი (იშვიათად ხაცრისფერი) ძალიან სუფთა კეცისა და მბრწყინავი ლაკის მიხედვით ატიკას უკავშირდება და ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდება. ეს ჯგუფი კანთაროსების, სათევზე ლანგრებისა და ნახევარსფერული თასების ნიმუშებითაა წარმოდგენილი. (ტაბ. XXV).

კანთაროსებისაგან საფეხურებად შემალლებული ძირებია გადაარჩენილი (მოსკოვის ისტ. მუზ. კოლექცია № 93995/7; 93993/28, 26). როგორც ოჩამჩირეში აღმოჩენილი ანალოგიური ქუსლების მქონე კანთაროსების აღწერის დროს იყო აღნიშნული, ბერძნული, კერამიკის ეს სახეობა ხმარებაში იყო ელინისტურ ხანაში. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. III ს. აღნიშნული ხანის ნაწარმისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შორის დასახელებული იყო ღრმა, კონუსური ძირი, პროფილირებული პირის კიდე და თანაბრად შემალლებული, ღეროიანი ქუსლი. ქრონოლოგიური ხასიათის სხვა თავისებურებებიდან აღნიშნული იყო შემკულობის ხასიათიც.

ვინაიდან სოხუმში მხოლოდ ძირებია აღმოჩენილი მათი დათარიღებისათვის დასახელებულიდან მხოლოდ ქუსლის მოყვანილობა შეიძლება იქნეს გათვალისწინებული. კერძოდ დაბალი ღერო და თანაბარი საფეხურების მქონე ქუსლი ამ ნიმუშებს ძვ. წ. III ს. პირველ ნახევარს აკუთვნებენ.

სათევზე ლანგრების აღნიშნული ხანით დათარიღების საფუძველს იძლევა სწორი კუთხით გადახრილი შვეული პირის კედითიქმის ბრტყელი ძირი და ლაკის ფონზე ამოკაწრული სარტყლები პირის კიდესთან (მოსკოვის ისტ. მუზეუმის კოლექციიდან; № 939995/8, სოხუმის მუზეუმის კოლექცია „რიწა“).

ნახევარსფერულ თასებსაც ძვ. წ. III ს. პირველ ნახევარში გავრცელებული ნაწარმისათვის დამახასიათებელი მოყვანილობა აქვთ. მათთვის დამახასიათებელია თანაბრად მომრგვალებული, დაბალი კედლები, მაღალი ქუსლები, ლაკის ფონზე ამოკაწრული ღარები პირის კიდესა და ქუსლის ირგვლივ და ფაქიზად შესრულებული „ფრჩხილოვანი“ ორნამენტაცია ფსკერზე (მოსკოვის ისტ. მუზეუმის კოლექცია № 93993/6).

სოხუმში აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკის მეორე ჯგუფისათვის დამახასიათებელია მოწითალო-წაბლისფერი, ქარსიანი.

მშრალი, ზოგჯერ არათანაბრად გამომწვარი (გადანატეხში ორი შრე შეინიშნება) კეცი და მქრქალი ლაკი. აღნიშნული ტექნოლოგიური თავისებურებების მიხედვით იგი მცირე აზიას უკავშირდება (ტაბ. XXIV). ეს ჯგუფი კანთაროსებს, ლანგრებსა და თასების გარდა თეფშებსაც აერთიანებს.

კანთაროსები და ნახევარსფერული თასები ატიკური ნაწარმისაგან ძრითადად კეციოთა და ლაკით განსხვავდებიან. მოყვანილობის მხრივ თავისებურებები ცალკეული დეტალების პროფილირებაში შეინიშნება. კერძოდ ნახევარსფერულ თასებს აქვთ დაბალი, არამკვეთრი ქუსლები და დაგრძელებული „ფრჩხილოვანი“ ორნამენტით შემკული ძირები. კანთაროსების ქუსლები უთანაბრო საფეხურების მქონეა. მეორე საფეხური ხშირად რელიეფური წიბოთაა გადმოცემული. ამასთანავე არც ერთ ნიმუშზე არაა ლაკის ფონზე ამოკაწრული სარტყლები, რაც ასე დამახასიათებელია ატიკური ნაწარმისათვის. უფრო მეტ თავისებურებებს ავლენენ სათევზე ლანგრები. მათ აქვთ შედარებით ღრმა, მომრგვალებული ძირი და გარეთ გადახრილი პროფილირებული ფართო პირის კიდე.

შავლაკიანი თეფშები ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი. ესენია კიდეჩაკეცილი და შვეულპირიანი თეფშები, ამ უკანასკნელთა კეცი ყოველთვის ნაცრისფრადაა გამომწვარი, გამოირჩევა მინარევების სიჭარბითა და მყიფე სტრუქტურით. აღნიშნულ თეფშებს აქვთ ბრტყელი, დატვიფრული პალმეტებითა და „ფრჩხილოვანი“ ორნამენტით შემკული ძირები და სწორკუთხა კრილის მქონე ქუსლები. კეცი მოწითალო-წაბლისფერია.

განხილული კერამიკა ორონტის-ანტიოქიის, ტარზუსის, ათენის, აგორის, ჩრდ. შავი ზღვისპირეთის, აგრეთვე ვანისა და ოჩამჩირის ანალოგიური მასალის საფუძველზე ძვ. წ. III—II სს., უმეტესად კი ძვ. წ. II ს. თარიღდება.

სოხუმში დამოწმებულია შავლაკიანი კერამიკის კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც უმთავრესად ნახევარსფერული ჯამების ძირების ნატეხებითაა წარმოდგენილი. ამ ნიმუშისათვის დამახასიათებელია კონუსური ძირები და არაპროპორციულად პატარა, კრილში არათანაბარი სისქის ქუსლები. დაფარული არიან ძალიან მქრქალი, თხელი ლაკით. აქვთ მშრალი, მინარევებიანი, წითლად გამომწვარი კეცი. აღნიშნული ტექნოლოგიური თვისებებითა და მოყვანილობისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით ეს ჯგუფი განყენებულად დგას დანარჩენი ნაწარმისაგან. ამდენად, მისი წარმომავლობის დადგენა არ ხერხდება. სავარაუდოდ შეიძლება სოხუმთან არსებულ კერამი-

კულ სახელოსნოს დაუკავშირდეს. ამ მოსაზრების საფუძველს იძლევა ის გარემოებაც, რომ ეს კერამიკა ძირითადად სომხუმის მიდამოებშია დამოწმებული. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მ. თრაპზის მოსაზრებაც სოხუმში შავლაკიანი კერამიკის წარმოების შესახებ<sup>28</sup>.

მთლიანად ლაკით დაფარული ჭურჭლის გარდა სოხუმში ლაკის ზოლებით შემკული კერამიკაც გვხვდება. ამ სახის ნაწარმიდან აღსანიშნავია პირგადაშლილი ლანგრები, რომელთაც ზედაპირი მოთეთრო ანგობის ფონზე დატანილი შავი ლაკის ფართო სარტყლებითა აქვთ შემკული. ამ კერამიკის კეცი მოყვითალო-ჩალისფერია, სუფთა, თანაბრად, გამომწვარი; ლაკი თხელია; მქრქალი. როგორც ვანში აღმოჩენილი ანალოგიური კერამიკის განხილვასთან დაკავშირებით იყო აღნიშნული, ამ კერამიკის საწარმოო ცენტრი განსაზღვრული არაა, მაგრამ სავარაუდოდ იგი შეიძლება ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხ. აღმ. ნაწილს დაუკავშირდეს.

სოხუმში აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკის შემდეგი ჯგუფი „მეგარულ“ თასებს აერთიანებს. რელიეფური კერამიკის აღნიშნული სახეობა რამდენიმე ნიმუშის მცირე ნატეხითაა წარმოდგენილი. ნატეხების მიხედვით მოყვანილობის აღდგენა არ ხერხდება. რელიეფის ცუდი დაცულობის გამო შემკულობის ხასიათის დადგენაც ჭირს. ამიტომ განსაზღვრა მიახლოებითია. ყველა ნიმუში (სულ 5 ნატეხია) შემკულია მცენარეული ორნამენტით. ეს გარემოება ამ ნიმუშების ძვ. წ. II ს. დათარიღების საფუძველს იძლევა. კეცის თავისებურება (ნაცრისფერია, მინარევებიანი) მათ მცირეაზიურ წარმომავლობას ადასტურებს (ტაბ. XXV, 1—3).

სოხუმში აღმოჩენილი ლაკით დაფარული სუფრის ჭურჭლის სხვა ნიმუშებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ჩალისფერკეციანი წითელლაკიანი თეფშების ნატეხები, რომლებიც ვანის მონაცემებით ძვ. წ. II—I სს. მიჯნით თარიღდებიან.

ლაკით დაუფარავ სუფრის ჭურჭელში, ოჩამჩირის მსგავსად, სოხუმის მონაპოვარშიც ორგვარი კეცის, კერძოდ ყვითელკეციანი და წითელკეციანი ნაწარმი გამოიყოფა.

ყვითელკეციანი კერამიკა საკმაოდ მრავალრიცხოვნადაა აღმო-

<sup>28</sup> სოხუმში შავლაკიანი კერამიკის წარმოების შესახებ მოსაზრება გამოთქმული აქვს მ. თრაპზს. მხოლოდ იგი არ მიუთითებს მასალას, რომლის საფუძველზედაც აყენებს აღნიშნულ დებულებას, მაგრამ როგორც ჩანს, იგი ეყრდნობა ეშერასთან შემთხვევით აღმოჩენილ ჭურჭლთან მომდინარე მასალას, სამწუხაროდ, ქურის მასალები გამოქვეყნებული არაა (იხ. М. М. Т р а п з, Труды..., II, 1965, с. 235).

ჩენილი. წარმოდგენილია სათევზე ლანგრებითა და გვერდებმომრგვალებული ჭამებით.

სათევზე ლანგრებს აქვთ არაღრმა სასაწებლე და მსხვილი, უხეშად მოდელირებული ქუსლი. გვერდებმომრგვალებულ ჭამებსაც აქვთ ანალოგიური ქუსლები, ოდნავ მომრგვალებული კედლები და შიგნით გადახრილი პირები.

წითელკეციანი კერამიკაც გვერდებმომრგვალებულ ჭამებს აერთიანებს. ჭამების უმეტესობისათვის კოლხეთში გავრცელებული ნაწარმის ანალოგიური მარცვლოვანი, სილანარევი კეცია დამახასიათებელი. მაგრამ ნაწილი დამზადებულია საგანგებოდ გაცრილი სილის შემცველი თიხისაგან; თხელკედლიანი, თანაბრად გამომწვარი, ეს ჭგუფები დღესდღეობით სოხუმშია აღმოჩენილი. რამდენიმე ნატეხი ოჩამჩირეშიცაა შენიშნული. როგორც ჩანს, ლაკით დაუფარავი სუფრის ქურკლის საწარმოო ცენტრი სოხუმის მიდამოებშია საძიებელი (ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს „წითელ შუქურასთან“ და ეშერასთან კერამიკული საწარმოს აღმოჩენის ფაქტიც).

სამზარეულო კერამიკა კოლხეთის სხვა პუნქტებში აღმოჩენილ ფორმებით, კერძოდ ქოთნებითა და ორყურა ქვაბებითაა წარმოდგენილი.

სამეურნეო კერამიკიდან აღსანიშნავია ქვევრები და ამფორები. ამფორები მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი. მათგან აღსანიშნავია ძვ. წ. IV—III სს. დათარიღებული ე. წ. ჩაჩისებურძირიანი ქიოსური და ჰერაკლეს ამფორები. აგრეთვე ძვ. წ. III—II სს. როდოსული და სინოპური ნაწარმი.

ადგილობრივი ამფორები სოხუმშიც მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი. საყურადღებოა, რომ სოხუმის ადგილობრივ ამფორებს ვანის ამფორებისათვის დამახასიათებელი წაბლისფერი კეცისაგან განსხვავებით მოყვითალო ფერის კეცი აქვთ.

სოხუმში აღმოჩენილი ელინისტური ხანის სხვა კერამიკული ნაწარმიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე საწაფები და კრამიტიკრამიტი, როგორც სინოპური, ისე ადგილობრივი, უმთავრესად ბრტყელი ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ლარიანი კრამიტის უმნიშვნელო ნატეხებია აღმოჩენილი.

წარმოდგენილით ამოიწურება სოხუმში აღმოჩენილი ელინისტური ხანის კერამიკა. მისი ძირითადი ნაწილი ძვ. წ. III—II სს. თარიღდება. მათ შორის ყველაზე გვიანდელი ძვ. წ. II—I სს. მიჯნით დათარიღებული წითელლაკიანი კერამიკაა.

ამგვარად, სოხუმშიც ძვ. წ. I ს. მასალა დღესდღეობით დამოწ-

მებული არაა<sup>29</sup>. ეს გარემოება როგორც ჩანს აღნიშნულ ხანაში დი-  
ოსკურიაში საქალაქო ცხოვრების დაქვეითებით უნდა აიხსნას. ყუ-  
რადღებას იქცევს ის გარემოება, რომ 1957—1959 წწ. სოხუმის ცი-  
ხესთან წარმოებული გათხრების დროს სტრატეგრაფიულ კრილში  
ძვ. წ. I და ახ. წ. I სს. ფენა სუსტადაა წარმოდგენილი<sup>30</sup>. ამდენად,  
ძვ. წ. I ს-ში ქალაქის დღეისათვის გამოვლენილ ნაწილში ცხოვრე-  
ბის შეწყვეტა თუ არა, გარკვეული დაქვეითება მაინცაა სავარაუდო<sup>31</sup>.

### ძვ. წ. III—I სს. კოლხეთის ეკონომიკა კერამიკული მასალის მიხედვით

#### ა) ვ ა ჯ რ ო ბ ა

ვაჯრობას ანტიკური ხანის კოლხეთის ეკონომიკაში მნიშვნელო-  
ვანი ადგილი ეჭირა. მისი როლი განსაკუთრებით გაიზარდა ელი-  
ნისტურ ხანაში, ვინაიდან ამ დროს ქვეყანა მკვიდროდ დაუკავშირ-  
და ელინურ სამყაროს. ელინიზმის ეკონომიური საფუძველი კი, რო-  
გორც ცნობილია, საერთაშორისო ვაჯრობა იყო. აღნიშნულ ხანაში  
ვაჯრობამ ხომ მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია და სავარაუ-  
დოა რომ კოლხეთის ეკონომიკაც ძირითადად საერთაშორისო ვაჯ-  
რობას დაექვემდებარა.

ელინისტური ხანის კოლხეთის სავაჯრო ურთიერთობათა კვლე-  
ვის დარგში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდ-  
გა. როგორც აღნიშნული იყო, უკვე დადგენილია ბერძნული სამყა-  
როს ის ძირითადი სავაჯრო ცენტრები, რომლებთანაც ურთიერთო-  
ბა ჰქონდა კოლხეთს აღნიშნულ ხანაში; გარკვეულია ექსპორტისა  
და იმპორტის ხასიათი; შესწავლილია სავაჯრო გზების, ფულადი მი-  
მოქცევის საკითხები<sup>1</sup>; მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ შესწავლის

<sup>29</sup> სასტუმრო „რიწასთან“ დამოწმებულ კულტურულ ფენას ლ. სოლოვიოვი  
ძვ. წ. III—II სს. ათარიღებს (იხ. Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

<sup>30</sup> А. А. Апакидзе, О. Д. Лордкипანიдзе, Новые мате-  
риалы к археологии Диоскурии—Севастополиса, ТАИЯЛИ, XXXIII—XXXIV,  
1963, с. 222; М. М. Трапш, Раскопки древнего Севастополиса в рай-  
оне Сухумской крепости, с. 241.

<sup>31</sup> შეად. მ. ი ნ ა ძ ე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები, გვ. 132; მ ი ს ო  
ვ ე, Причерноморские города древней Колхиды, с. 79.]

<sup>1</sup> ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და კოლხეთი, თბ., 1966;  
М. И. И н а д з е, Причерноморские города Колхиды, Тб., 1968 და იქ მი-  
თითებული ლიტერატურა.

პროცესშია. კერძოდ, თითქმის არაფერია ცნობილი აღნიშნული ხანის სავაჭრო ურთიერთობათა ეტაპების, მასშტაბების, გავლენის სფეროების შესახებ; ნაკლებადაა გამოვლენილი ამ ურთიერთობათა შედეგები, არასრულადაა წარმოდგენილი იმპორტი და შესაბამისად კოლხეთთან ურთიერთობაში მყოფი ცენტრები. აღნიშნულ საკითხებს გარკვეულ შუქს ჰყენს კოლხეთის ცალკეული სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებიდან მომდინარე ზემოთ განხილული იმპორტული კერამიკის შესწავლის შედეგების შეჯერება.

კოლხეთის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი იმპორტული კერამიკის მიხედვით. ძვ. წ. III—I სს. სავაჭრო ურთიერთობა ფართო და საინტერესო ასპექტში წარმოგვიდგება. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პუნქტებში დასტურდება ბერძნული სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების, კერძოდ მცირე აზიის, ატიკის, საბერძნეთის კუნძულების, ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქების ნაწარმი, ამ ცენტრებთან ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობისა და საერთოდ ვაჭრობის ფართო ქსელის არსებობის უტყუარ საბუთად გვევლინება. ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ანალოგიური ნაწარმი ჩნდება არა მარტო საქალაქო ცენტრებში, მსგავსი კერამიკა გვხვდება აღნიშნული ხანის ყველა შემთხვევათა თუ გათხრებით გამოვლენილ ძეგლებზე როგორც ზღვის სანაპირო ზოლში, ისე შიდა კოლხეთში<sup>2</sup>, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტის ხასიათი და მასშტაბები ელინისტური ხანის მთელ მანძილზე ერთგვაროვანი არაა. მისი თვისობრივი შედგენილობა დროის გარკვეულ ინტერვალებში მნიშვნელოვნად იცვლება.

როგორც დავინახეთ, ატიკური ნაწარმი წარმოდგენილია ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრისა და ძვ. წ. II—I სს. მიჯნით დათარიღებული კერამიკით. ძვ. წ. III ს. მეორე ნახევრითა და ძვ. წ. II ს. პირველი ნახევრით დათარიღებული ატიკური ქურჭელი ნაქალაქარების მასალებში არ შეინიშნება.

სამაგიეროდ, მცირეაზიური, მათ შორის პერგამონული კერამიკა სწორედ ძვ. წ. III ს. მეორე ნახევრიდან ჩნდება და ძვ. წ. I ს. დასაწყისამდე უწყვეტილად შემოაქვთ.

დროის მხოლოდ ერთ გარკვეულ მონაკვეთში, კერძოდ ძვ. წ.

---

<sup>2</sup> შტრ. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და კოლხეთი, გვ. 125—135.



III ს. დასაწყისში დასტურდება თასოსის, ქიოსისა და ჰერაკლეს იმპორტი. უფრო გვიან ამ ცენტრების ნაწარმი აღარ გვხვდება.

სინოპური და როდოსული იმპორტი თითქმის თანაბარი რაოდენობით ჩნდება ძვ. წ. III—II სს. კოსური და კნიდოსური ტარის იმპორტი უმთავრესად ძვ. წ. II—I სს. წარმოებს. ამავე ხანას უკავშირდება ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხ.-აღმოსავლეთ სანაპიროს ცენტრების ნაწარმის გაჩენაც.

აღნიშნული გარემოება საფუძველს ვეაძლევს კოლხეთის იმპორტულ კერამიკაში გამოვეყოთ ოთხი ქრონოლოგიური ჯგუფი.

პირველი ჯგუფი თარიღდება ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით. იგი წარმოდგენილია ატიკური მოხატული და სადა შავლაკიანი კერამიკით, თასოსის, ქიოსისა და ჰერაკლეს ამფორებით. ამავე ჯგუფში ექვევა სინოპური ამფორების ერთი ნაწილიც.

რაოდენობრივად ეს ჯგუფი მცირერიცხოვანია. ვანში ატიკური მოხატული კანთაროსების რამდენიმე ნიმუშია აღმოჩენილი. სოხუმისა და ოჩამჩირის მასალებში ამგვარი კერამიკის არც ერთი ნატეხი არ გვხვდება. შედარებით მრავალრიცხოვანია სადა შავლაკიანი სუფრის ქურჭელი (თეფშები, სათევზე ლანგრები, ნახევარსფერული თასები), მაგრამ ეს უკანასკნელიც შეზღუდული რაოდენობითაა წარმოდგენილი.

განსაკუთრებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი ამფორები. ვანსა და ოჩამჩირეში ამგვარი კერამიკის თითო-ოროლა ნიმუში გვხვდება. სოხუმში შედარებით მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი თასოსისა და ჰერაკლეს ამფორები.

მეორე ჯგუფი ძვ. წ. III ს. მეორე ნახევრითა და ძვ. წ. II ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ ნაწარმს აერთიანებს. ეს ჯგუფი ძირითადად მცირეაზიური ნაწარმითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია პერგამონული მოხატული და რელიეფური კერამიკა, უცნობი ცენტრებიდან მომდინარე სადა შავლაკიანი სუფრის ქურჭელი, „მეგარული“ თასები, წითელი ზოლებით მოხატული დოქები, აგრეთვე სინოპური და როდოსული ამფორები.

ეს ჯგუფები მრავალრიცხოვანია. როგორც სუფრის ქურჭელი, ისე ამფორები მრავლადაა აღმოჩენილი სამივე ნაქალაქარზე. ამგვარი ნაწარმი დასტურდება სამაროვნების მასალებშიც.

მესამე ჯგუფი ძვ. წ. II ს. მეორე ნახევრიდან ვიდრე ძვ. წ. II—I სს. მიჯნამდე ხანით თარიღდება. ამ ჯგუფში შედის ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ცენტრებიდან მომდინარე წითელლაკიანი სუფრის ქურჭელი, პერგამონული

წაბლისფერლაკიანი და რელიეფური კერამიკა, ატიკური მოხატული კანთაროსები და წაბლისფერლაკიანი თეფშები, როდოსული, სინოპური, კოსური და კნიდოსური ამფორები.

მეოთხეჯგუფი ძვ. წ. I ს. თარიღდება. იგი წარმოდგენილია „წაბლისფერკეციანი“ წითელლაკიანი სუფრის ჭურჭლით. რაც შეეხება თეთრანგობიან ამფორებს, რომლებიც ძვ. წ. და ახ. წ. მიჯნით თარიღდებიან და ამდენად ქრონოლოგიურად ერთგვარად ამჯგუფს უკავშირდებიან, მათი ამჯგუფში გაერთიანება მაინც მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული, ვინაიდან ამ ამფორების კოლხეთში გაჩენა სავაჭრო ურთიერთობაში ახალი ეტაპის დაწყებას უნდა მოასწავებდეს. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოება. აღნიშნული ამფორები უკავშირდებიან საწარმოო ცენტრს (თუ ცენტრებს), რომელიც დღესდღეობით დადგენილი არაა, მაგრამ აშკარაა, რომ ესაა მანამდე უცნობი ცენტრები, რომელთა პონტოს აუზის სავაჭრო არენაზე გამოსვლა ძვ. წ. და ახ. წ. მიჯნაზე შექმნილ სიტუაციას უკავშირდება და, ამდენად, ახალი ეტაპის დასაწყისად გვევლინება.

წაბლისფერკეციანი წითელლაკიანი კერამიკა კი, როგორც აღნიშნული იყო, სამხრეთ-აღმოსავლეთ პონტოს ლოკალური მნიშვნელობის ცენტრს უკავშირდება. ამდენად, კოლხეთში აღმოჩენილი იმპორტული კერამიკის მეოთხეჯგუფი მხოლოდ პონტოს აუზის ნაწარმს აერთიანებს.

აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ჯგუფი მხოლოდ ვანის ნაქალაქარზეა დამოწმებული. სოხუმსა და ოჩამჩირეში ამგვარი კერამიკა არ გვხვდება. როგორც ჩანს, ეს მოვლენა შემთხვევითი არ არის. სავარაუდოა, რომ ძვ. წ. II—I სს. მიჯნაზე კოლხეთში მომხდარი სამხედრო კატასტროფის შემდეგ ზღვისპირა ქალაქებში ერთხანს ცხოვრება მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც წყდება. შიდა კოლხეთში კი, როგორც ვანის მასალის შესწავლა გვარწმუნებს, კატასტროფას, რომლის კვალიც აშკარად შეინიშნება, ხანგრძლივი კრიზისი არ გამოუწვევია.

წარმოდგენილი კერამიკული ჯგუფების შესაბამისად ელინისტურ სამყაროსთან კოლხეთის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში ოთხი პერიოდი გამოიყოფა.

პირველი პერიოდი პირველ კერამიკულ ჯგუფს შეესატყვისება და შესაბამისად ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდება. ამ პერიოდში კოლხეთში ატიკის, ქიოსის, თასოსის, ჰერაკ-

ლესა და სინოპეს ნაწარმი, კერძოდ სუფრის ქურქელი და მაღალ-  
ხარისხოვანი ღვინო და ზეთი შემოქმონდათ<sup>3</sup>.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, აღნიშნული ცენტრებიდან  
რომელიმე მათგანის დომინირებული მდგომარეობის დადგენა არ  
ხერხდება. თუ ძვ. წ. V—IV სს. ატიკური და ქიოსური იმპორტი ჩანს  
წამყვანი, ძვ. წ. III ს. პირველ ნახევარში ყველა ცენტრის ნაწარმი  
თანაბრად მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ეს გარემოება იმ-  
ხანად არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ სიტუაციას, კერძოდ  
შავიზღვისპირეთის ვაჭრობაში ძვ. წ. IV ს. ბოლოდან ატიკის პრი-  
ორიტეტის დაკარგვას უკავშირდება და არ უნდა მომდინარეობდეს  
ქვეყნის შინაგანი მდგომარეობიდან. როგორც ჩანს, ატიკის შავი-  
ზღვისპირეთის არენიდან გასვლას შედეგად მოჰყვა ვაჭრობის საერ-  
თო შესუსტება<sup>4</sup>. სავარაუდოა, რომ ამ დროს ძველ ცენტრებთან ურ-  
თიერთობა, ინერციით, ახალი ცენტრების სრულ გაბატონებამდე  
გაგრძელდა. ძვ. წ. III ს. შუა ხანებიდან კი ათენში ეკონომიური  
კრიზისის გამწვავებისა და პონტოს აუზში მცირეაზიური სავაჭრო-  
სახელოსნო ცენტრების გაბატონების შემდგომ კოლხეთის ბაზარს  
არენაზე ახლად გამოსული ცენტრების ნაწარმი იპყრობს.

ამ ხანას უკავშირდება გარესამყაროსთან კოლხეთის სავაჭრო  
ურთიერთობის მეორე პერიოდის დაწყება. იგი მოიცავს  
ძვ. წ. III ს. მეორე ნახევარსა და ძვ. წ. II ს. პირველ ნახევარს.

ეს პერიოდი იმპორტის განსაკუთრებული მოზღვაევებით აღი-  
ნიშნება. ძვ. წ. III—II სს. იმპორტული კერამიკა მრავალრიცხოვ-  
ნადაა აღმოჩენილი განხილულ ნაქალაქარებზე, აგრეთვე აღნიშნუ-  
ლი ხანის სამაროვნებზე.

ამ დროს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, კოლხეთში უმთავ-  
რესად მცირეაზიული ცენტრების, მათ შორის პერგამონის, სინოპეს  
ნაწარმი შემოქმონდათ. აღნიშნულ ხანას უკავშირდება როდოსული  
ამფორების გაჩენაც. ამ ცენტრთან ურთიერთობა განსაკუთრებით  
ინტენსიური ჩანს ძვ. წ. III—II სს. მიჯნაზე, ძვ. წ. 220—180 წწ.

<sup>3</sup> კოლხეთის ექსპორტის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დაწვრი-  
ლებითაა შესწავლილი, იხ. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და  
კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 87, 89, 123; М. П. И н а д з е, Причерноморские  
города Колхиды, с. 209 და შემდ.

<sup>4</sup> F. M. Heiheiheim. An ancient economic History. III. Leiden. 1970.  
გვ. 26 და შემდ.; J. D a y, An Economic History of Athen under Roman Domi-  
nation, New-York, 1942; Я. Л. Л е н ц м а н, იხ. რუენზია ამ წიგნზე, ВДИ,  
1947 №3, с. 123—129.

როდოსული დამლიანი ტარა მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი ჩრდ. შავიზღვისპირეთისა<sup>5</sup> და კოლხეთის<sup>6</sup> ქალაქებში. როდოსული ნაწარმი შავიზღვისპირეთში, როგორც ჩანს, სინოპეს საშუალებით შემოქონდათ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია სინოპეს საშუამავლო როლი შავიზღვისპირეთის ვაჭრობაში<sup>7</sup>.

როდოსის ეკონომიური ინტერესებით უნდა იყოს გაპირობებული მისი აქტიური ჩარევა სინოპეს პოლიტიკურ საქმეებში. პოლიბოსთან დაცულია ცნობა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ძვ. წ. 220 წ. როდესაც სინოპე ფარნაკეს ჯარებით იყო ალყაშემორტყმული, როდოსმა მას გაუგზავნა 14 000 დრაქმის ღირებულების იარაღი და სურსათი, მათ შორის 10 000 კერამია ღვინო<sup>8</sup>.

ძვ. წ. 183 წ. როდოსმა საგანგებო ელჩობა გაგზავნა რომის სენატში და გააპროტესტა ფარნაკეს მიერ სინოპეს დაპყრობა. მაგრამ ცოტა მოგვიანებით, როდესაც სინოპე პონტოს შემადგენლობაში შევიდა, როდოსმა შესცვალა პოლიტიკა და პონტოს მეფეების კეთილგანწყობილების მოპოვებას შეეცადა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კ. დელოსზე აღმოჩენილი ექსედრა, რომელიც ფარნაკეს დის, ლაოდიკესადმი იყო მიძღვნილი<sup>9</sup>.

ბერძნული სამყაროდან ამ დროსაც ძირითადად სუფრის ჭურჭელი, ღვინო და ზეთი შემოქონდათ. განსაკუთრებით გაზრდილა ჩანს მოთხოვნილება სუფრის ჭურჭელზე. კერამიკის ეს სახეობა ამ დროს, როგორც ჩანს, ყოველდღიურ სახმარ დანიშნულებას ასრულებდა და აღარ წარმოადგენდა ფუფუნების საგანს. ეს მოვლენა კი თავისთავად ქვეყნის მაღალი მსყიდველობითი უნარისა და შესაბამისად მაღალი ეკონომიური დონის მაჩვენებელია. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა არა მარტო ამგვარი კერამიკის მრავალრიცხოვნება ნაქალაქარების მასალებში, არამედ ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ხანის ადგილობრივი წარმოების სუფრის ჭურჭელი თითქმის სრულიად არ დასტურდება. ამასთანავე იმპორტული სუფრის ჭურჭელი ფართოდაა გავრცელებული კოლხეთის მთელ ტე-

<sup>5</sup> Б. А. Г р а к о в, Древнегреческие кленма с именами астипомов, М., 1929, с. 32 და შემდ.

<sup>6</sup> რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი.

<sup>7</sup> М. П. И н а д з е, Причерноморские города..., с. 218.

<sup>8</sup> М. И. М а к с и м о в а, Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1956, с. 178.

<sup>9</sup> М. И. М а к с и м о в а, დასახ. ნაშრ., გვ. 247.

რიტორიაზე. მცირეაზიური შავლაკიანი კერამიკა აღმოჩენილია მრავალ პუნქტში, მათ შორის დაბლაგომში, სოხუმის მთაზე, „წითელ შუქურასთან“<sup>10</sup>.

რაც შეეხება იმპორტულ ტარას, კერძოდ სინოპურ და როდოსულ ამფორებს, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კერამიკის ეს სახეობა მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩევა. ჩრდ. შავიზღვისპირეთის ქალაქებთან შედარებით კოლხეთის ქალაქებში ეს ჭგუფი მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ეს გარემოება ალბათ ღვინოსა და ზეთზე მოთხოვნილების დაბალი დონით უნდა აიხსნას, რაც თავის მხრივ ამ პროდუქტების ადგილობრივი წარმოების არსებობის მაჩვენებელი ჩანს. უფრო მეტიც, აღნიშნულ ხანაში ადგილობრივი ამფორების წარმოების ფაქტი ამ პროდუქტების სასაქონლო ხასიათის მაჩვენებლადაც გვევლინება. ტარის წარმოების დაწყება ხომ თხევადი პროდუქტების — ღვინოსა და ზეთის ბაზარზე გატანას უკავშირდება<sup>11</sup>.

ღვინის ადგილობრივი წარმოება ექვს არ ბადებს. რაც შეეხება ზეთს, ცნობილია, რომ აღნიშნულ ხანაში ფართოდ იწარმოებოდა მისი შემცველი პროდუქტები, კერძოდ სელის ზეთი. მისი წარმოებისა და საკვებად გამოყენების შესაძლებლობა დასტურდება წერილობითი წყაროებითაც<sup>12</sup>.

მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი კოლხეთში ზეთუნის ზეთის წარმოების შესაძლებლობის შესახებ. ამ მოსაზრების ავტორს გ. ლორთქიფანიძეს საბუთად მოჰყავს ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. II—I სს. ფენაში ზეთუნის ზეთის წარმოებისათვის განკუთვნილი სამეურნეო იარაღის — ტრაპეტას აღმოჩენის ფაქტი. აგრეთვე პ. ყუყოვსკის მოსაზრება ბერძნების მიერ ზეთისხილის კოლხეთში შემოტანის შესახებ და ნ. კეცხოველის ვარაუდი კოლხეთის ზღვისპირა ზოლში ზეთისხილის მოყვანისათვის საჭირო კლიმატური პირობების შესახებ<sup>13</sup>.

<sup>10</sup> კოლხეთში მცირეაზიური კერამიკის გავრცელებს უცხატებ იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური საქარო და კოლხეთი, გვ. 131 და უმღ.

<sup>11</sup> Б. Н. Г р а к и в, Клейменная тара эпохи эллинизма как источник для изучения истории производства и торговли, Рукопись, 1939, Архив ИА АН ССР, №38.

<sup>12</sup> М. П. И п а д з е, Причерноморские гонимы..., с. 150; Г. А. Л о р д к и п а н и д з е, К истории Колхиды..., с. 57.

<sup>13</sup> Г. А. Л о р д к и п а н и д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

ამ მოსაზრებას ერთგვარად ამავრებს ზოგიერთი არაპირდაპირი საბუთიც. კერძოდ ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კოლხური ამფორების აღმოჩენის ტოპოგრაფია. როგორც ცნობილია, კოლხური ამფორები გვხვდება არა მარტო ზღვისპირა ცენტრებში, ადგილობრივი კერამიკის აღნიშნული სახეობა საკმაოდ ხშირად ჩნდება ქვეყნის შიგნითაც<sup>14</sup>, სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, სადაც სავარაუდოა ადგილობრივი ღვინისა და სელის ზეთის წარმოება. ამდენად აღნიშნული ამფორებით შეიძლება ამ მხარისათვის დეფიციტური პროდუქტის, კერძოდ ზეთუნის ზეთის შეტანა ვივარაუდოთ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია კოლხური ამფორების ბოსფორის ქალაქებში აღმოჩენის ფაქტიც. როგორც ცნობილია, ჩრდ. შავიზღვისპირეთის ქალაქებში აღნიშნული ამფორები ადრეელინისტური ხანიდან ჩნდება, მაგრამ ფართოდ მხოლოდ ძვ. წ. I ს. და ახ. წ. I ს. ვრცელდება<sup>15</sup>. ამ ხანას უკავშირდება ზეთუნის ზეთის მიმწოდებელი ცენტრის, სინოპეს ეკონომიური კრიზისი. ახ. წ. II ს. სინოპეს აღორძინების ხანიდან ბოსფორში ისევ მცირდება კოლხური ამფორების რიცხვი. ზეთუნის ზეთს ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა ბოსფორის იმპორტში. ამითაა განპირობებული ძვ. წ. I ს.-მდე სინოპური ამფორების მრავალრიცხოვნება ამ მხარეში. სავარაუდოა, რომ სინოპედან აღნიშნული პროდუქტის შეტანის შეწყვეტამ განაპირობა მისი სხვა ცენტრიდან, ამ შემთხვევაში კოლხეთიდან შეტანის აუცილებლობა.

კოლხეთში ზეთუნის ზეთის წარმოების შესაძლებლობა, ცხადია, შემდგომ დასაბუთებას საჭიროებს, მაგრამ თუნდაც გამოირიცხოს ამ პროდუქტის ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობა, იმპორტული ტარის შედარებითი სიმცირე გარკვეულ საფუძველს იძლევა ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფართო მასშტაბით წარმოება ვივარაუდოთ. ამავე დროს ეს ფაქტი აღნიშნულ ხანაში ქვეყნის შინაგანი ეკონომიური დონით გაპირობებული რეგულირებული სავაჭრო ურთიერთობის მაჩვენებელიცაა. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროს კოლხეთი საერთაშორისო ბაზარზე ფიგურირებს როგორც დამოუკიდებელი, საკუთარი ინტერესების მქონე, თანასწორუფლებიანი პარტნიორი. ამგვარი სავაჭრო

<sup>14</sup> კოლხურ ამფორების გავრცელების შესახებ იხ. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ თ ძ ე, ანტაკურა საყარო და კოლხეთი, გვ. 137 და შემდ.

<sup>15</sup> И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора, МИА, 83, с. 108.

ურთიერთობა ქვეყნის შემდგომ ეკონომიურ დაწინაურებასა და საქალაქო ცხოვრების აყვავებას განაპირობებდა. საქალაქო ცხოვრების დაწინაურების მაჩვენებლად გვევლინება სინოპური სამშენებლო კერამიკის იმპორტი და ამგვარი კერამიკის ადგილობრივი წარმოების გაფართოება.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ ხანას უკავშირდება ახალი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების, კერძოდ პიტუსისა და აფსაროსის აღმოცენება<sup>16</sup>.

საერთოდ აღნიშნული პერიოდი, რომელიც 100 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, ურთიერთობათა გარკვეული სტაბილიზაციით ხასიათდება. ამ ნიშნით იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება მომდევნო ხანმოკლე და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდისაგან.

მომდევნო პერიოდში განსაკუთრებით ფართოვდება სავაჭრო ურთიერთობათა არეალი. ძვ. წ. II ს. მეორე ნახევრიდან, უფრო კი საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან შეინიშნება ურთიერთობის აღორძინება ატიკასთან<sup>17</sup>. აღნიშნული ხანიდან იწყება კოსის, კნიდოსის ამფორების, ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრ.-აღმ. სანაპიროს ნაწარმის (წითელლაკიანი სუფრის ქურქელი) მოზღვავება, ჩნდება ეგეოსის ზღვის მცირე კუნძულების, მათ შორის დელოსური შავლაკიანი სუფრის ქურქელი და რელიეფური კერამიკა. ამასთანავე არ წყდება ურთიერთობა როდოსთან, სინოპესთან, პერგამონთან.

ვაჭრობის ამგვარი აღმავლობა მითრიდატე ევპატორის საქმიანობას უნდა დაუკავშირდეს. იგი თავისი ფართო პოლიტიკური მიზნების განხორციელებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა საგარეო ვაჭრობას. სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება სპობდა ქალაქების სეპარატიზმს და ქვეყნის განვითარებისათვის მტკიცე ეკონომიურ საფუძველს ქმნიდა. ამიტომ იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს ვაჭრობის განვითარებას მთელს შავიზღვისპირეთში. ამასთანავე ცდილობდა ეს მხარე მჭიდროდ დაეკავშირებინა დანარჩენ ბერძნულ სამყაროსთან. ამით იყო გაპირობებული ახალი სავაჭრო ცენტრების დაარსება პონტოს სამხ. სანაპიროზე, სამონეტო რეა-

<sup>16</sup> მ. ი ნ ა ძ ე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, IV, გვ. 131.

<sup>17</sup> შუად. И. Б. Брашинский, Афины и Северное Причерноморье, с. 153—166.

ფორმა<sup>18</sup>. ამ პოლიტიკის გამოხატულება იყო აგრეთვე ათენთან ურთიერთობის დამყარებაც.

პონტოს სახელმწიფოს ათენთან ურთიერთობით დაინტერესებას ეკონომიურის გარდა პოლიტიკური საფუძველიც ჰქონდა. ძველი დიდების დაკარგვის მიუხედავად, ათენს ბერძნულ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი ეკირა. მის კეთილგანწყობილებაზე დიდად იყო დამოკიდებული მითრიდატეს საქმიანობის ავტორიტეტი. ათენის მხარდაჭერას შეეძლო რომანტიული ელფერიც კი მიენიჭებინა პონტის სამეფოს პოლიტიკისათვის. ათენის კეთილგანწყობილების მოპოვება კი დაკავშირებული იყო მითრიდატესაგან ეკონომიურ მხარდაჭერაზე, რაც პირველ რიგში ვაჭრობის გაფართოებას გულისხმობდა. როგორც ჩანს, მითრიდატე ყოველნაირად უწყობდა ხელს ათენის სავაჭრო ოპერაციების წარმატებით განხორციელებას. უთუოდ ყურადსაღებია, რომ აღნიშნულ ხანას უკავშირდება ათენის ეკონომიური აღორძინება, რაც სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოებაში გამოიხატება. აღნიშნული ხანის ატიკური კერამიკა და მონეტები მრავალრიცხოვნადაა აღმოჩენილი მთელს აღმოსავლურ ბერძნულ სამყაროში<sup>19</sup>. ათენსა და შავიზღვისპირეთს შორის ურთიერთობის გაფართოების უტყუარ საბუთად გვევლინება კუნძულ დელოსზე, რომელიც გვიანელინისტურ ხანაში ათენის სავაჭრო ოპერაციების პლაცდარმის დანიშნულებას ასრულებდა, სინოპური დამლიანი ტარის გაჩენა, აგრეთვე დელოსზევე აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებშიაც სინოპელი და ამისოელი მოქალაქეები არიან მოხსენებული<sup>20</sup>. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე კუნძულ დელოსზე აღმოჩენილი ათენელი მოქალაქეების მიძღვნითა ხასიათის შენაწირები მითრიდატეს სახელზე. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მითრიდატეს ძეგლი კაბირების სამლოცველოსთან აგებული ათენელი ქურუმის გელიანაკსის მიერ და სარაპისის სამლოცველო და ქანდაკება აგრეთვე ათენელი დიკაიოსის მიერ მითრიდატეს სახელზე შეწირული. აღნიშნული სტატუარული და ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც რუსელი და მ. მაქსიმოვა ვარაუდობენ, შეწირულია ათენელი მოქალაქეების მიერ მითრიდატეს მიერ გაწეული შემწეობისათვის<sup>21</sup> (ნიშანდობლივია, რომ აღნიშნუ-

<sup>18</sup> М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 189 და შემდ.

<sup>19</sup> J. Day, დასახ. ნაშრომი.

<sup>20</sup> М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 240.



ლი ხანიდან ჩნდება წარწერები, რომლებშიც ათენელი მოქალაქეები პონტოს მეფის მეგობრის ტიტულით მოიხსენიებიან<sup>22</sup>.

რაც შეეხება ურთიერთობის ხასიათს, გამორიცხული არაა, რომ ათენს შავ ზღვასთან, მათ შორის კოლხეთთანაც უშუალო კავშირი დაემყარებინა. მაგრამ სავარაუდოა, რომ ძირითადი ოპერაციები მცირე აზიის ცენტრებთან და ათენთანაც უმთავრესად სინოპეს საშუალებით ხორციელდებოდა. ცნობილია, რომ ძვ. წ. II ს. მას შემდეგ რაც იგი პონტოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა, სინოპეს როლი განსაკუთრებით გაიზარდა შავიზღვისპირეთის ვაჭრობაში. ამ დროიდან, მართალია, სინოპემ დაჰკარგა გარესამყაროსთან დამოუკიდებელი ურთიერთობის წარმოების უფლება, მაგრამ პონტოს სახელმწიფოს ინტერესებისაგან გამომდინარე იგი გადაიქცა ძირითად სავაჭრო ცენტრად მთელ შავიზღვისპირეთში.

შავიზღვისპირეთის ვაჭრობაში სინოპეს (აგრეთვე ამისოს) განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ამ ქალაქების მონეტების გამრავლება კოლხეთსა და ბოსფორში. (ბოსფორის ქალაქებში, კერძოდ, აღნიშნული ხანის სინოპური ამფორებისა და მონეტების რიცხვი რამდენჯერმე აღემატება წინამორბედი ხანის ამავე სახის ნაწარმს)<sup>23</sup>.

გარდა აღნიშნული ქალაქებისა, შავიზღვისპირეთის ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა კუნძულ როდოსსაც. მისი როლი განსაკუთრებით გაზრდილი ჩანს ხმელთაშუა ზღვის სამხ-აღმოსავლეთ ნაწილთან ურთიერთობაში<sup>24</sup>.

მაგრამ ვაჭრობის ამგვარი აღმავლობა ძვ. წ. II—I სს. მიჯნამდე, მითრიდატე ევპატორის საომარი საქმიანობის დაწყებამდე გაგრძელდა. მითრიდატეს ომებს, რომელიც მცირე ინტერვალებით დაახლოებით ნახევარი საუკუნის მანძილზე წარმოებდა, ქვეყნისათვის პოლიტიკურს გარდა ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა, ვინაიდან ამ დროიდან შავიზღვისპირეთი და მათ შორის კოლხეთი მთლიანად მოსწყდა დანარჩენ ბერძნულ სამყაროს. ამ დროიდან შეწყდა საერთაშორისო მნიშვნელობის ბერძნული ცენტრების ნაწარმის იმპორტი კოლხეთში და სავაჭრო ურთიერთობის არეალიც მხოლოდ შავიზღვისპირეთის აუზით შემოიფარგლა. ამგვარი ვითარება

<sup>22</sup> ი ქ ვ ე, გვ. 242.

<sup>23</sup> М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 220—228.

<sup>24</sup> შავიზღვისპირეთის ვაჭრობაში როდოსის საშუამავლო როლის შესახებ. იხ. მ. ი ნ ა ძ ე. სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძვ. კოლხეთში. გვ. 113.

გაპირობებული იყო ერთი მხრივ, საომარი მდგომარეობით შექმნილი საშიშროებით და აგრეთვე იმ განსაკუთრებული ეკონომიური ღონისძიებებით, რომლებსაც მითრიდატე მიმართავდა შავიზღვისპირეთიდან პროდუქტების გატანის შეზღუდვის მიზნით<sup>25</sup>. ვანის არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვით ჩანს რომ, მოსახლეობა ამ დროიდან ძირითად მოთხოვნილებას ადგილობრივი ნაწარმით იკმაყოფილებდა. აღნიშნულ ვითარებას უკავშირდება ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. I ს. ფენებში ბერძნული სუფრის ჭურჭლის კოლხური მინაბაძების და ადგილობრივი ამფორების გამრავლება და იმპორტული ნაწარმის თითქმის სრული გაქრობა.

ასეთია ბერძნული სამყაროსა და კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების ეტაპები ძვ. წ. III—I სს. საქალაქო ცენტრებში აღმოჩენილი იმპორტული კერამიკის მიხედვით. როგორც დავინახეთ წარმოდგენილი ეტაპები გაპირობებულია ელინისტურ სამყაროში შექმნილი საერთაშორისო ხასიათის პოლიტიკური და ეკონომიური სიტუაციით და ქვეყნის შინაგანი განვითარებით.

## ბ) კ ე რ ა მ ი კ უ ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ა

ელინისტური ხანის კოლხეთის კერამიკული წარმოების შესწავლა — წარმოების პროცესის, ლოკალური ვარიანტების, განვითარების ეტაპების დადგენა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. სიძნელეებს ქმნის ის გარემოება რომ დღესდღეობით აღნიშნული ხანის არც ერთი კერამიკული საწარმოს ნაშთი სათანადოდ გამოვლენილი და შესწავლილი არაა<sup>26</sup>, ამასთანავე მცირე გამოჩაქლისს გარდა, სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენილი ნაწარმი ტექნოლოგიური თავისებურებებით და ფორმებით თითქმის ერთგვაროვანია.

<sup>25</sup> მ. ი ნ ა ძ ე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები, გვ. 135.

<sup>26</sup> ელინისტური ხანის ერთადერთი ქურა, რომელიც 1964 წ. შემთხვევით იქნა აღმოჩენილი ეშერასთან, ამ სახელოსნოდან მომდინარე ნაწარმის თავისებურებების დადგენის საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან ლიტერატურაში მხოლოდ აღმოჩენის ფაქტი დათარიღია მოცემული, მასალა კი გამოქვეყნებული არაა (იხ. М. М. Т р а п ш, Труды, III, 1970, გვ. 313), რაც შეეხება 1956 წ. წითელშუქურასთან გათხრილ ქურის ნაშთებს, რომელსაც მ. თრამში ელინისტური ხანის ათარიღებდა (იხ. М. М. Т р а п ш, Археологические раскопки в окрестностях Сухуми, ТАИЯЛИ, ХХІХ, 1958, стр. 190), როგორც ახლად გამოქვეყნებული მასალების მიხედვით ირკვევა, გვიანდელი, კერძოდ გვიანანტიკური ხანისაა (შეად. М. М. Т р а п ш, Труды, II, с. 81). ქურის მდინარეებში აღრეელინისტური ხანის მასალის აღმოჩენის შემთხვევებში ქურის მშენებლობის დროს აღნიშნული ხანის ფენის ჩაქრით უნდა ითხარისხდეს.

ამიტომ აღნიშნული საკითხების შესწავლა მხოლოდ ზოგადად, სპეციალური ლიტერატურის და თვითონ ნაწარმის ანალიზის მიხედვით ხერხდება.

კერამიკული ნაწარმის ხასიათისა და სტრუქტურის განსაზღვრის საშუალებას აღნიშნულ ხანაში ანტიკურ სამყაროში დადასტურებული ტრადიციების გათვალისწინება იძლევა.

ნაწარმო ზოგადად აერთიანებდა სახელოსნოს და ქურას. სახელოსნოში წარმოებდა ქურკლის დამზადება — საქურკლე თიხის მომზადება და ქურკლის ამოყვანა, ქურაში მზა ნაწარმის გამოწვა. ანტიკურ სამყაროში გავრცელებული იყო მრგვალი, ელიფსის, იშვიათად სწორკუთხა ქურები<sup>27</sup>. ქურის მოცულობა დამოკიდებული იყო გამოსაწვავი კერამიკის ხასიათზე. მონუმენტური კერამიკისათვის შენდებოდა დიდი ზომის ქურები, სუფრის ქურკლისათვის კი პატარა ქურები იყო განკუთვნილი (მათი დიამეტრი არ აღემატებოდა 2 მ-ს, უმეტესად კი ამგვარი კერამიკისათვის 1 მ-ის დიამეტრის ქურებია დადასტურებული) საერთოდ ფაქიზი და დახვეწილი ნაწარმის გამოწვა პატარა ქურებში წარმოებდა, ვინაიდან მათში გამოწვის პროცესის რეგულირება შედარებით იოლი იყო.

საშენ მასალად იყენებდნენ ჩალანარეე თიხას (ალიზის მასალას) და ალიზს. ეს მასალა რომაულ ხანამდე ერთადერთი იყო (რომაულ ხანაშიც მხოლოდ ზოგიერთ ადგილას ხმარობდნენ აგურს). ქურების მშენებლობაში ალიზის ფართოდ გამოყენება აიხსნება ამ მასალის სიიფით, აგრეთვე მყარი შეკავშირების უნარით და გამოწვის პროცესისადმი მდგრადობით. გარდა ამისა, სითბოს ცუდი გამტარობის გამო, აღნიშნული მასალა მაიზოლირებელ დანიშნულებასაც ასრულებდა — შედარებით ხანგრძლივად უნარჩუნებდა ქურას საჭირო ტემპერატურას.

ქურა შედგებოდა საცეცხლე და გამოსაწვავი განყოფილებისაგან. მათ შორის მოთავსებული იყო ალიზის კონსტრუქცია, რომელიც ერთი მხრივ, ერთმანეთისაგან მიჯნავდა ცეცხლსა და ქურკელს

---

<sup>27</sup> В. Ф. Гайдукевич, Античные керамические обжигательные печи, ИГАИМК, вып. 70; М. М. Худяк, Раскопки святилища Нимфея, СА, XVI, 155; მისივე, Из истории Нимфея, СА, 2, 1962; В. Д. Блаватский, Раскопки Паитикалея, КСИМК, XXXVII, 1951; Т. Н. Книпович, Таганаис, М.—Л., 1949, стр. 28; В. В. Борисова, Керамическое производство античного Херсонеса (по материалам раскопок ергастерней конца IV—II вв. до н. э.). Автореферат диссертации, Л., 1966; И. Т. Кругликова, О гончарной мастерской Горгилий, СА, 1962.

და მეორე მხრივ არეგულირებდა გამოსაწვევ კამერაში თბილი გაზე-  
ბის მოხვედრასა და განაწილებას<sup>28</sup>.

ქურები ეწყობოდა მიწის ზემოთ. ზოგჯერ ქვედა, საცეცხლე  
განყოფილება თავსდებოდა მიწის ქვემოთ. ამგვარი ქურები უმთავ-  
რესად ჩრდ. შავიზღვისპირეთისათვის იყო დამახასიათებელი. სამხ-  
რეთში (მათ შორის საბერძნეთში) გავრცელებული იყო მთლიანად  
მიწის ზემოთ მოწყობილი ქურები, დადასტურებულია აგრეთვე შე-  
დარებით პრიმიტიულად მოწყობილი ქურებიც. მათ ქვედა — საცე-  
ცხლე განყოფილება ქანში ამოჭრილ ორმოში, ამოშენებული კედ-  
ლების გარეშე ჰქონდათ მოწყობილი. (ამგვარი ქურების ნაშთები —  
დედაქანში ამოჭრილი ცეცხლისაგან გაწითლებული ორმოები აღ-  
მოჩენილია ხერსონესში).

სახელოსნო, იმის მიხედვით თუ რა სახის კერამიკის წარმოება-  
ზე იყო დახელოვებული, იყო დიდი და მცირე.

მცირე სახელოსნოში უმთავრესად სუფრის ჭურჭელს, მხატვ-  
რულ კერამიკას, ტერაკოტებს... ამზადებდნენ. ასეთ სახელოსნოში  
განსაკუთრებული გულმოდგინებით მზადდებოდა საჭურჭლე თიხა.  
გასრესილსა და გაცრილ თიხას, პლასტიკურობისა და მეტი მდგრად-  
ობის მინიჭების მიზნით, უმატებდნენ საგანგებო მინარევებს  
(ქარსს, კვარცს, გაცრილ სილას) შემდეგ ნარევს წყალში ხსნიდნენ  
და ლექავდნენ. გალექვის დროს თიხის უხეში ნაწილი ქვემოთ რჩე-  
ბოდა. ზემოთ კი შედარებით სუფთა ნაწილი ექცეოდა. ჭურჭლის და-  
სამზადებლად ამ უქანასკნელს იყენებდნენ. ჭურჭლის ღირსება თი-  
ხის ხარისხზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ზოგჯერ გალექვას რამ-  
დენჯერმე იმეორებდნენ. ამ პროცესის მრავალჯერ გამეორება გა-  
ნაპირობებდა საჭურჭლე თიხის მაღალხარისხოვნებას.

საჭურჭლე თიხის მომზადების შემდეგ იწყებოდა ჭურჭლის  
ამოყვანა და საბოლოო გაფორმება — საფარველით (ლაკით ან ან-  
გობით) დაფარვა, მოხატვა და რელიეფებით შემკობა<sup>29</sup>.

საფარველად იყენებდნენ საგანგებო ხსნარს, რომელსაც თიხა-  
ზე მკავეს ზემოქმედებით ღებულობდნენ. ჭურჭლის საფარველით  
დაფარვა მისი ხსნარში ჩაძირვით ხდებოდა, ხსნარში ჩაშვებული  
ჭურჭლის ზედაპირზე ილექებოდა მასში არსებული თიხის მცირე

<sup>28</sup> ქურების შესახებ იხ. В. Ф. Гайдукевич, დასახ. ნაშრ., გვ. 9 და  
შემდ.

<sup>29</sup> В. Ф. Гайдукевич, Античные керамические обжигательные пе-  
чи, с. 11; В. В. Борисова, დასახ. ნაშრომი.

ნაწილაკები. რაც უფრო დიდ ხანს იყო ქურქელი, ჩაჩირული, საფარველი უფრო სქელი და თანაბარი გამოდიოდა<sup>30</sup>.

ელინისტურ ხანაში გავრცელებული იყო წითელი, შავი ლაკით ან მოთეთრო ანგობით დაფარული ქურქელი (ანგობა უმთავრესად მოხატულობის „მიწის“ დანიშნულებას ასრულებდა) საფარველის შეფერილობას თიხის შედგენილობა და გამოწვის თავისებურება განაპირობებდა. კერძოდ, წითელ და შავ ლაკს რკინის ქანგის ქარბად შემცველი თიხისაგან ლებულობდნენ. შეფერილობაში განსხვავება გამოწვის განსხვავებული რეჟიმით ხორციელდებოდა — შავ ლაკს ქანგბადის შეზღუდული მიწოდებით ლებულობდნენ, წითელი ლაკის მიღება კი საწინააღმდეგო პროცესს — ქანგბადის ქარბ მიწოდებას საჭიროებდა<sup>31</sup>.

საფარველით იფარებოდა როგორც სადა სუფრის ქურქელი, ისე მხატვრული კერამიკა. მხატვრული კერამიკის რელიეფებით ან საღებავით შესრულებული სახეებით შემკობა საფარველით დაფარვისა და გამოწვის შემდეგ ხდებოდა (გამონაკლისს წარმოადგენდა დაყალიბებული კერამიკა, რომლის შემკულობაც ამოყვანის დროს, წინასწარ დამზადებული ყალიბის მიხედვით ხდებოდა).

რელიეფებით შემკული კერამიკის წარმოების ძირითადი დეტალი თიხის ყალიბი იყო. მას უმეტეს შემთხვევაში მზა სახით ლებულობდნენ. ვარაუდობენ, რომ არსებობდა საგანგებოდ ყალიბების წარმოებაზე დახელოვნებული სახელოსნოები<sup>32</sup>. მაგრამ ყალიბებს, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივადაც ამზადებდნენ მცირე ხელოვნების ძეგლებიდან.

უფრო რთული იყო მოხატული კერამიკის წარმოება. მიუხედა-

---

<sup>30</sup> ტექნოლოგიის შესახებ იხ. A. Lane, Greek Pottery, London, 1948, გვ. 7 და შემდ.

<sup>31</sup> პროცესი შემდეგი ქიმიური რეაქციით აიხსნება: იმ დროს, როდესაც ქურაში ქანგბადის მიწოდება შეზღუდულია. წვის დროს გამოყოფილი ნახშირბადი მხოლოდ ერთ ქანგბადს მიიერთებს და წარმოიქმნება (CO) იგი არააღვრადია და ამასთანავე აქტიურია. ნაკლებ ქანგბადს იგი თიხაში შემავალი რკინის ქანგიდან მიიერთებს და მას რკინის ქვეყანგად აღადგენს. რკინის ქვეყანგი, რკინის ქანგისაგან განსხვავებით შავი ფერისაა. სწორედ ამ ნივთიერების გამო იღებს საფარველი შავ ფერს ქანგბადის რეგულარული მიწოდებისას კი აღარ ხდება რკინის ქანგის აღდგენის რეაქცია, რადგან სრული წვა მიმდინარეობს და წარმოიქმნება მდგრადი ნახშირორქანგი გაზი. ამიტომ საფარველი წითელი რჩება (რკინის ქანგი წითელი ფერისაა). იხ. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

<sup>32</sup> М. И. Максимова, Образотка издѣлни (керамика), Эллинистическая техника, М.-Л., 1948, с. 226.

ვად იმისა, რომ აღნიშნულ ხანაში უაღრესად გამარტივდა 'შემკუ-  
ლობის თემატიკა, მისი წარმოება ხელოსნისაგან ტექნოლოგიის  
ცოდნის გარდა, გარკვეულ მხატვრულ უნარსაც მოითხოვდა. ამი-  
ტომაა, რომ მოხატული კერამიკა უმთავრესად ძველი ტრადიციების  
მქონე ცენტრებში (ათენში, ალექსანდრიაში, პერგამონში...) იწარ-  
მოებოდა. რელიეფური კერამიკის წარმოების ნიშნები კი თითქმის  
ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ცენტრშია დამოწმებული<sup>33</sup>.

შემკულობა დაჰქონდათ ხელით ან ჩარხით. ხელით შედარებით  
რთულ გამოსახულებებს ასრულებდნენ, სადა კონცენტრულ  
წრეხაზებს კი ქურქლის ჩარხზე ტრიალით ღებულობდნენ. იარაღად  
იყენებდნენ ფუნჯს, ზოგჯერ მილაკს. მოსახატავად ხმარობდნენ უმ-  
თავრესად თეთრ, მოყვითალო და წითელ საღებავებს. შემკულობა  
შედგებოდა სტილიზებული მცენარეული და გეომეტრიული სახე-  
ებისაგან და უმთავრესად დეკორატიული დანიშნულებისა იყო.

მცირე სახელოსნოებში სამუშაო უაღრესად სპეციალიზებული  
იყო. დიდ სახელოსნოებში მზადდებოდა სამეურნეო, სამშენებლო  
და ნაწილობრივ სამზარეულო კერამიკა. ამგვარ სახელოსნოებში  
სამუშაო ნაკლებად სპეციალიზებული მაგრამ უფრო მძიმე იყო —  
აუცილებლად საჭიროებდა არათავისუფალ შრომას. დიდი სახელოს-  
ნოები ექვემდებარებოდნენ სახელმწიფოებრივ კონტროლს.

ასეთია ზოგადად ანტიკურ სამყაროში დამოწმებული კერამიკუ-  
ლი საწარმოს სტრუქტურა. განხილული კერამიკა კოლხეთშიაც რამ-  
დენიმე მსგავსი საწარმოების არსებობის ვარაუდის საფუძველს იძ-  
ლევა. რაც შეეხება კონსტრუქციის კონკრეტულ ხასიათს, მის შე-  
სახებ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება, ვინაიდან, რო-  
გორც აღნიშნული იყო დღესდღეობით ელინისტური ხანის საწარ-  
მოს ნაშთები შესწავლილი არაა. აღნიშნული ხანის ერთადერთი ქუ-  
რა, რომელიც 1964 წ. შემთხვევით აღმოჩნდა ეშერასთან, იმდენად  
ცუდად იყო შემონახული, რომ შემორჩენილი ნაშთების მიხედვით  
ქურის მოყვანილობის აღდგენაც კი არ მოხერხდა. ამ აღმოჩენის  
მიხედვით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ქურის მშენებლობა-  
ში ფართოდ იყენებდნენ თიხას.

კოლხური ქურების შესწავლის საშუალებას თვითონ კერამიკის  
ტექნოლოგიური თავისებურებების გათვალისწინების გარდა ვანში,

<sup>33</sup> მხატვრ. კერამიკის ტექნოლოგიის შესახებ დეჯერ. იხ. წილინდუბაჩე ნაწკოიის  
გვ. 33. და შემდ.

სოხუმში, წითელ შუქურასთან და ბიჭვინტაში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ქურების ნაშთები იძლევა.

აღნიშნული ქურების მონაცემებზე დაყრდნობა გამართლებულია მათი აღმოჩენის პირობებით — ქურების ნაშთები დამოწმებულია ძირითადად იმავე პუნქტებთან, საიდანაც განხილული კერამიკა მომდინარეობს. ამდენად მათ მოწყობაში ძველი ტრადიციების არსებობა სავსებით კანონზომიერი მოვლენა ჩანს, მით უფრო, რომ საერთოდ ქურების მოწყობის პრინციპი ზოგადად ერთგვაროვანია და საკმაოდ კონსერვატულიც — ცალკეული კონსტრუქციული გადახვევები ამა თუ იმ მხარის კლიმატური პირობებითა და ბუნებრივი რესურსებითაა გაპირობებული<sup>34</sup>.

წითელ შუქურასთან აღმოჩენილი ქურა ცუდადაა მოლწეული. თარიღი და ხასიათი, როგორც აღნიშნული იყო, დაზუსტებული არაა. იქ აღმოჩენილ ბრტყელი აგურის მიხედვით, შეიძლება იგი რომაული ხანით დათარიღდეს<sup>35</sup>. ქურის მოყვანილობის დადგენა არ ხერხდება მისი ნაშთები აღმოჩენილია  $4 \times 5$  მ<sup>2</sup> ფართობზე. კედლები ამოყვანილი ჰქონია აგურით, გრანიტითა და კირქვით. შემაკავშირებლად და კონსტრუქციული დეტალებისათვის ცეცხლგამძლე თიხა გამოუყენებიათ.

სოხუმში აღმოჩენილი ქურა (გაითხარა 1959 წ. სოხუმის ციხის არქეოლოგიური შესწავლის დროს) რომაული ხანისაა. იგი საკმაოდ კარგადაა მოლწეული — თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი ქვედა განყოფილება. ქურა დიდი ზომისა ( $6,25 \times 5$  მ<sup>2</sup>), სწორკუთხა მოყვანილობის მიწისზედა ნაგებობაა, სამშენებლო მასალად გამოყენებულია აგური და ცეცხლგამძლე თიხა. საცეცხლე განყოფილება გამოსაწვავი კამერისაგან სწორკუთხა საბჯენებზე დაყრდნობილი თაღოვანი კონსტრუქციით ყოფილა გამოყოფილი. ქურაში მონუმენტური კერამიკა (ამფორები, კრამიტი) გამოიწვებოდა<sup>36</sup>.

ბიჭვინტაში ქურა გაითხარა 1967 წელს. იგი თანმხლები მასალით და არქეომაგნიტური მეთოდით ახ. წ. VI ს. თარიღდება<sup>37</sup>. მის-

<sup>34</sup> ამ მოსაზრებას ამაგრებს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული მასალა. შეად. ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა I (კახური), თბ., 1949, გვ. 32 და შემდ.

<sup>35</sup> М. М. Трапш, Труды, II, с. 225.

<sup>36</sup> М. М. Трапш, Раскопки древнего Севастополиса в р-не Сухумской крепости, ТАИЯЛИ, XXXIII—XXXIV, с. 247—252.

<sup>37</sup> არქეომაგნიტური მეთოდით ქურა დათარიღდა ზ. ჰელიძემ. იხ. ზოგიერთი არქეოლოგიური ობიექტის არქეომაგნიტური მეთოდით დათარიღების ცდები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973\_წ., თბ., 1974, გვ. 86.

გან შემორჩენილია საცეცხლე განყოფილება მთლიანად და გამოსაწვავი კამერა ნაწილობრივ. იგი საშუალო ზომისაა, საცეცხლე განყოფილება მიწაშია ამოკრილი. კედლები ამოშენებული აქვს კრამიტით, თიხის ხსნარზე; შელესილია თიხით. საცეცხლე და გამოსაწვავი კამერების გამყოფი კონსტრუქცია ორ ცენტრალურ საბჯენზე დაყრდნობილი თიხის გუნდებითაა მოწყობილი<sup>38</sup>.

ვანში აღმოჩენილი ქურისაგან (გაითხარა 1970 წ.) დედაქანში ამოკრილი მრგვალი საცეცხლე განყოფილება, ქურის ყელი და გამოსაწვავი კამერის ფრაგმენტია შემორჩენილი. ქურაში ელინისტური ხანის მასალასთან ერთად ადრეფეოდალური ხანის დერგის ნატეხიცაა აღმოჩენილი. აქედან გამომდინარე, რ. ფუთურიძე ქურას ადრეფეოდალური ხანით ათარილებს<sup>39</sup>.

ქურის კედლები კრამიტის ნატეხებითაა ამოყვანილი. დამაკავშირებლად თიხაა გამოყენებული. ქურა ალბათ წვრილი ჭურჭლის გამოსაწვავად იყო განკუთვნილი.

წარმოდგენილი გვიანდელი ხანის მონაცემების მიხედვით ელინისტურ ხანაშიც მრგვალი და სწორკუთხა ქურების არსებობა უნდა ვივარაუდოთ. როგორც ჩანს ხმარებაში იყო როგორც შედარებით პრიმიტიული, დედაქანში ამოკრილი საცეცხლე განყოფილებიანი, ისე მთლიანად ნაშენი ქურები. საერთოდ, დამახასიათებელი ჩანს საცეცხლე განყოფილების მიწის ქვეშ მოწყობა. სამშენებლო მასალად კრამიტი, ქვა და თიხა ყოფილა გამოყენებული. თიხა (და არა ალიზი) გამოუყენებიათ კონსტრუქციული დეტალები-სათვისაც.

გამოწვის პროცესის შესაბამისად ქურების მოწყობის ღირსებაზე წარმოდგენას იძლევა ნაწარმის თავისებურების გათვალისწინება.

განხილული კერამიკა ხასიათდება საკმაოდ მაღალი ტექნოლოგიური თვისებებით — გამომწვარია თანაბრად, დაახლოებით 900° ტემპერატურაზე. ამდენად გამომწვარია კარგი კონსტრუქციის ქურაში, ვინაიდან აღნიშნული ტემპერატურის მიღება მოსახერხებელია კარგად მოწყობილ საცეცხლეში. ხოლო თანაბრად გამომწვარი ჭურჭლის წარმოება შესაძლებელია კამერაში, სადაც ტემპერატურა.

<sup>38</sup> ლ. ასათიანი, ბიკინტის კერამიკული ქურა, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეც. მუშაკთა კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1972.

<sup>39</sup> ქურა არქეომაგნიტური მეთოდით დაათარია ზ. კელიძემ. ცხ. ზ. კელიძე, დასახ. ნაშრომი.



თანაბრად ნაწილდება, ე. ი. მიღწეულია ტემპერატურის სრულყოფილი რეგულირება.

გარდა ამისა, როგორც აღნიშნული იყო, განხილული კერამიკის ძირითადი ნაწილი წითლადაა გამომწვარი, შედარებით მცირეა შავადგამომწვარი ქურქელი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კოლხი მექოთნეებისათვის ცნობილი იყო გამოწვის ყველა საიდუმლოება და კარგად იყენენ დაუფლებულნი გამოწვის პროცესის რეგულირების რთულ ტექნიკას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ნიმუშები, რომელთაც კეცი წითლად აქეთ გამომწვარი, ზედაპირი კი შავად შებოლილი და გაპრიალებული. ამ შემთხვევაში ერთი და იგივე ქურქელზე გვხვდება გამოწვის განსხვავებული პროცესის წარმატებით შეხამების მაგალითი.

კერამიკის წარმოების პროცესი — თიხის მომზადება, ქურქლის მოდელირება, გაშრობა და გამოწვა ზემოთ აღწერილი პროცესის ანალოგიური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში რამდენადმე გამარტივებული. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია კოლხური კერამიკის ის ნაწილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მარცვლოვანი, მინარევებიანი კეცი. ამგვარი ნაწარმისათვის, როგორც ჩანს, თიხას ნაკლები გულმოდგინებით ამზადებდნენ და უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ერთხელ ან ხშირად სულაც არ ლექავდნენ<sup>40</sup>. მაგრამ სუფრის ქურქელი, კერძოდ წითლად გაპრიალებული და სალბავით მოხატული თევშები და ღოჭები, ორყურა ჯამები, ნახევარსუფრული თასები, როგორც აღნიშნული იყო, დამზადებულია სუფთა, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. აღნიშნულის მიხედვით აშკარაა, რომ კოლხურ კერამიკულ წარმოებაში დანერგილი იყო თიხის მომზადების რთული ტექნოლოგია.

გარკვეული გამარტივებები შეინიშნება ნაწარმის მოდელირებაშიც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ამფორების ქუსლები და ღარიანი კრამიტი. ამფორებს ქუსლები ხელით, თიხის თასმის თანდათანობითი დახვევით უკეთდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ უსწორდებოდათ ჩარხზე<sup>41</sup>. ღარიანი კრამიტი, როგორც ჩანს, ხელით იძერწებოდა, ჩარხის გარეშე მრგვალი ხის დახმარებით (ღარიან კრამიტს შიდაპირზე ეტყობა ხის ანაბეჭდები).

<sup>40</sup> ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თიხის გასუფთავება მინარევებისაგან მოზღვრვის დროს, ხელით ხდება, გაულექავად. იხ. ლ. ბოკოროშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25 და შემდ.; ც. კ ა კ ა ბ ა ძ ე, შრომული კერამიკა (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1973, გვ. 21.

<sup>41</sup> И. Б. Зеев, Керамическая тара Боспора, МИА, 103, с. 125.

ქვევრებს ტრადიციული წესით აწარმოებდნენ — ჩარხზე ამოიკვანებოდა ცალკეული ნაწილები, სრულ გაშრობამდე ნაწილები ერთმანეთს უკავშირდებოდა, იფარებოდა სახეებით და საბოლოო გაშრობის შემდეგ გამოიწვებოდა (ქვევრების გამოწვის დროს ქურაში შეზღუდული იყო პაერის მიწოდება, ამასთანავე გამოწვა უფრო დაბალ ტემპერატურაზე სწარმოებდა).

წვრილი კერამიკის (სუფრის ჭურჭლის, მოხატული კერამიკის) წარმოების პროცესი ანტიკურთან შედარებით ნაკლებად სპეციალიზებული, მაგრამ წინამორბედ ხანასთან შედარებით ბევრად გართულებული ჩანს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ჭურჭლის მოდელირება და ზედაპირის დამუშავება.

წვრილი კერამიკის მოდელირებაში შეინიშნება მეტი სრულყოფილება, ამ მხრივ აღსანიშნავია ახალი, მანამდე უცნობი დეტალების კერძოდ ქუსლის გაჩენა. ქუსლები ხშირად არამკვეთრია, ზოგჯერ შეუსაბამოდ პატარა ან უხეშად პროფილირებული, ამასთანავე მოდელირება არაა სტანდარტიზებული (მაგალითად, ყვითელკეციან ჯამებს ქუსლები ცალკე დამზადებულ თიხის რგოლითა აქვთ შექმნილი, წაბლისფერკეციანი ჯამების ნაწილზე იგივე დეტალი ჩარხით გამოყვანილი თხელი ქუდითა აქვთ წარმოდგენილი), მაგრამ მისი გაჩენა მაინც საკმაოდ ნათლად ადასტურებს მოდელირების პროცესის დახვეწასა და სრულყოფის ტენდენციას. ამასთანავე აღნიშნული ხანის კერამიკული ნაწარმი გამოირჩევა ფორმების მრავალფეროვნებით. თუ ძვ. წ. VI—IV სს. სუფრის ჭურჭელი ძირითადად ჯამებითა და სასმისებითაა წარმოდგენილი, ელინისტურ ხანაში ფართოდ იწარმოება თეფშები, ლანგრები, თასები ჯამები... ხმარებაში შემოდის ღოჭების მრავალი სახეობა, იწყება ამფორებისა და კრამიტის წარმოება.

მრავალფეროვნება შეინიშნება ზედაპირის დამუშავებაშიც. წინაელნისტური ხანის ჭურჭლისაგან განსხვავებით, რომელიც შემკულია სველ ზედაპირზე დატანილი სახეებით, ელინისტური ხანის ნაწარმზე ამგვარი შემკულობის გვერდით საღებავით შესრულებული ორნამენტიც ჩნდება. ხმარებაში შემოდის აგრეთვე მთლიანად საღებავით დაფარული ჭურჭელიც. ხოლო საფარველის გარეშე დატოვებული ნაწარმი, საგანგებოდაა მოსწორებული ჩარხზე და გაპრიალებულია.

საღებავით დაფარული ან მოხატული ჭურჭლის წარმოება, საკმაოდ რთულ ტექნოლოგიურ პროცესს უკავშირდება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ იგი საჭიროებს ორჯერ გამოწვას; საღებავის მომ-

ზადებისა და დატანის ცოდნას. მართალია საფარველის თანაბარი ფენით დაფარული ნიმუშების გვერდით გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომლებზედაც ანტიკურ კერამიკულ წარმოებაში დამოწმებული წესისაგან განსხვავებით საღებავი რბილი იარაღითაა დატანილი, ამასთანავე შემკულობა მარტივია — ძირითადად კონცენტრული წრეხაზებითაა წარმოდგენილი, მაგრამ ზოგადად გამარტივებების მიუხედავად აღნიშნული ხანის ნაწარმი გამოირჩევა მაღალი ტექნოლოგიური და, შეიძლება ითქვას, ესთეტიკური ღირსებებით. ყოველივე ზემოთქმული კოლხური კერამიკული წარმოების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფილი სახელოსნოების არსებობის ვარაუდის საფუძველს იძლევა.

ლოკალური ვარიანტების გამოყოფა, როგორც აღნიშნული იყო, გაძნელებულია, მაგრამ ზოგიერთი ჯგუფის გამოყოფა მაინც ხერხდება.

ერთი ასეთი ჯგუფი ყვითელკეციანი სათევზე ლანგრებითა და ჯაშებით, აგრეთვე შავლაკიანი ნახევარსფერული თასებითაა წარმოდგენილი. იგი გავრცელების არეალის (აღმოჩენილია სოხუმსა და ოჩამჩირეში), აგრეთვე კეცისა და მოყვანილობისათვის დამახასიათებელი თავისებურებების საფუძველზე სავარაუდოდ შეიძლება სოხუმთან არსებულ სახელოსნოს დაუკავშირდეს და ძვ. წ. III—II სს. დათარიღდეს.

მეორე ჯგუფი ძვ. წ. II—I ს. დათარიღებულ წითლად ვარიალებულ ან წითელი საღებავით დაფარულ და მოხატულ ჯამებს, თევშებს, დოქებს, ამფორებს აერთიანებს. იგი აღმოჩენის პირობების მიხედვით ვანთან არსებული სახელოსნოდან უნდა მომდინარეობდეს.

ორივე ჯგუფი, როგორც აღნიშნული იყო, მოყვანილობით ანტიკურ კერამიკასთან ავლენს სიახლოვეს და, ამდენად, ამ უკანასკნელის გავლენას უკავშირდება. მაგრამ თითოეული მათგანი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. თავისებურებები შეინიშნება მოყვანილობისთვის დამახასიათებელ ცალკეულ დეტალებშიც და ტექნოლოგიურ თვისებებშიც.

სოხუმში აღმოჩენილ კერამიკას აქვს საკმაოდ კარგად განლექილი წვრილმარცვლოვანი, ყვითლად ან წითლად გამომწვარი კეცი. ვანური ნაწარმის კეცი შედარებით მსხვილმარცვლოვანია, ჭარბად შეიცავს მინარევებს (ოქროსფერ ქარსსა და გატრილ სილას). ხშირად დაფარულია წითელი საფარველით, რომელიც ზედაპირზე რბილი იარაღითაა წასმული, ან გაპრიალებულია. სოხუმიდან მომ-

დინარე ქურქელი ან საფარველის გარეშეა, ან დაფარულია შავ ფერის ლაკის თანაბარი ფენით, რომელიც ქურქლის საღებავში ჩაძირვითაა მიღებული.

ვანიდან მომდინარე ჯგუფი გამოირჩევა მკვეთრი და დახვეწილი პროპორციებით. უმეტესობა ზუსტად იმეორებს ანტიკურ ფორმებს, განსაკუთრებით კარგად აქვთ პროფილირებული ქუსლები. სოხუმში აღმოჩენილი კერამიკის მოყვანილობისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან აღსანიშნავია ხელით მიძერწილი არათანაბარი სისქის, ზოგჯერ არაპროპორციულად პატარა ქუსლები, შედარებით არამკვეთრი პროფილი (ამ მხრივ აღსანიშნავია სათევზე ლანგრები, რომლებსაც სასაწებლე შეუნჩნეველი რელიეფით აქვთ გამოყოფილი).

კერამიკის სხვა (სამზარეულო კერამიკის, ამფორების...) წარმომავლობისა და დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფა არ ხერხდება, ვიზუალურად ყველას აქვს მოწაბლისფროდ გამომწვარი, მარცლოვანი, ქარსისა და სილის შემცველი კეცი. მოყვანილობაც სტანდარტიზებულია. ამდენად, მიზანშეწონილი უნდა იყოს ცალკეული ჯგუფების აღმოჩენის ადგილის მახლობლად მდებარე სახელოსნოებთან დაკავშირება.

კერამიკული წარმოების განვითარების გზების, ეტაპების შესახებ განხილული ნაწარმის შესწავლის შეჯერება ზოგიერთი ზოგადი ხასიათის დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

როგორც აღნიშნული იყო, ვანის ადგილობრივ კერამიკაში გამოიყოფა ორი ქრონოლოგიური ჯგუფი, კერძოდ ძვ. წ. III—II სს. და ძვ. წ. I ს. ჯგუფები. სოხუმსა და ოჩამჩირეში აღმოჩენილ კერამიკაში მხოლოდ ძვ. წ. III—II სს. ჯგუფი დასტურდება. ძვ. წ. I ს. დათარიღებული, ვანური ნაწარმის ანალოგიური კერამიკა ამ ნაქალაქარებზე არ შეინიშნება. ეს გარემოება ამ ცენტრებში აღნიშნული ხანის ფენების შეუსწავლევლობით უნდა აიხსნას.

აღნიშნულის საფუძველზე კოლხური კერამიკული წარმოების განვითარებაში შეიძლება ორი ეტაპი გამოიყოს.

პირველი ეტაპი კერამიკის პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფს შესატყვისება და შესაბამისად ძვ. წ. III—II სს. თარიღდება. ამ ჯგუფში გაერთიანებული მასალა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მისი ერთი ნაწილი, კერძოდ ტალღოვანი ორნამენტით შემკული დოქები, ქოთნები, ქვევრები... მოყვანილობით წინამორბედი ხანის კოლხურ ნაწარმს ენათესავება და მის შემდგომ განვითარებად გვევ-

ლინება, ნაწილი კი (ქვაბები, ამფორები, ქუსლიანი ჯამები, სათევზე ლანგრები) ბერძნულ კერამიკასთან ავლენს სიახლოვეს, და, ამდენად, ამ უკანასკნელის გავლენას უკავშირდება. გარდა ამისა, აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებული კერამიკის მცირე ნაწილი (ბრტყელპირიანი ჯამები, ფართოპირიანი დოქები) აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ კერამიკასთან ავლენს სიახლოვეს. ეს გარემოება ერთი მხრივ, აღნიშნულ ხანაში ეკონომიური კავშირების გაფართოებით უნდა აიხსნას, მაგრამ ამავე დროს ამგვარი კერამიკის გავრცელება შეიძლება ეთნიკურ მიგრაციასთან იქნეს დაკავშირებული (როგორც ცნობილია, ელინისტურ ხანაში გარკვეული პოლიტიკური სიტუაციის შემდეგ შეინიშნება მოსხური ტომების ჩრდილოეთისაკენ გადმონაცვლება<sup>42</sup>).

აღნიშნულის მიხედვით პირველი ეტაპის დამახასიათებელ თავისებურებად ადგილობრივი და ანტიკური ფორმების თანაარსებობა უნდა მივიჩნიოთ.

მეორე ეტაპი კერამიკის მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფს შეესაბამება. ეს ჯგუფი, როგორც აღნიშნული იყო, წარმოდგენილია ანტიკური კერამიკის მიბაძვით დამზადებულ სუფრის და მხატვრული საღვინე ჭურჭლით, სამზარეულო კერამიკით, ამფორებით... ამდენად მეორე ეტაპის დამახასიათებელ ნიშნად ანტიკური ფორმების სრული გაბატონება უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, იგი აღინიშნება სუფრის ჭურჭლის წარმოების გაფართოებით, მაშინ როდესაც ძვ. წ. III—II სს. შინსახმარი, სამეურნეო და სამშენებლო კერამიკის წარმოება საგრძნობლად აღემატება ამგვარი კერამიკის წარმოების მასშტაბებს. ეს გარემოება, შესაძლებელია, ძვ. წ. I ს. მითრიდატეს ომების გამო პონტოს აუზში ბერძნული იმპორტის შეზღუდვას დაუკავშირდეს.

როგორც აღნიშნული იყო, ძვ. წ. I ს. ნაწარმი მხოლოდ ვანშია დადასტურებული. ეს გარემოება ერთგვარად ექვის ქვეშ აყენებს ზღვისპირა ნაწილში ანალოგიური სიტუაციის შესახებ ვარაუდს. მაგრამ ეშერის მასალის მიხედვით<sup>43</sup>, ანალოგიური ტენდენციის არსე-

<sup>42</sup> Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, с. 301 и след.; ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ვანის ქალაქი, „ცისკარი“, 1968, №7, გვ. 140.

<sup>43</sup> ეშერის ნამოსახლარიდან მომდინარე მასალის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. ძირითადი ნაწილი გამოუქვეყნებელია. გამოუქვეყნებელი მასალის ნაწილი გავაცნო გ. შამბამ, რისთვისაც დიდ მადლობას ზოგახსენებთ.

